პალიტრა მედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
10 ოქტომბერი **შაბათი** 2009
№ 239 (12 918) ფასი 60 თეთრი

## შვიდკაცა რაგბი და გოლფი ოლიმპიურ ოჯახში

>> გვერდი 16

# შესანიშნავი შვიდეული

## ...მაგრამ ჯერ არველაძის გარეშე. ვინ არის ინკოგნიტო მეშვიდე?

>> გვერდი 2




## კიდევ ერთი ყრილობა ნოემბერში



## ირლანდიაში ქულა ივანიშვილმა მოგვიტანა, შვედეთში ფარცვანიამ მოგვიგო

გიორგი ივანიშვილი

>> გვერდი 2



## სკიტამ პანიონიოსი შეარჩია

>> გვერდი 12

## 11 ნოემბერს საკალათბურთო არჩევნებია

>> გვერდი 12

## გერმანელები მოსკოვში




## გადამწყვეტი დღეები

>> გვერდი 6

პრესკონფერენცია



მარცხნიდან: გიორგი ნემსაძე, ალექსანდრე ჩივაძე, ზვიად სიჭინავა, გია ფირცხალავა, ლევან ყიფიანი

# სიჭინავა წარმოგიდგენთ შესანიშნავ შვიდეულს...

## ...მაგრამ ჯერ მინუს ერთით. 15 ნოემბერს კიდევ ერთი ყრილობაა

ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი კულისებში დიდხანს აწარმოებდა მოლაპარაკებებს და ბოლო დღემდე უცნობი იყო, ვინ მოხვდებოდა ზვიად სიჭინავას რჩეულთა შორის. გუშინ 15 საათზე მან ფარდა ასწია და გამოჩნდნენ: ალექსანდრე ჩივაძე, გიორგი ნემსაძე, გია ფირცხალავა და ლევან ყიფიანი. არის კიდევ ერთი - რევაზ არველაძე, რომელიც ასევე სიჭინავას გუნდშია, მაგრამ წარდგენას ვერ დაესწრო, რადგან ეროვნულ ნაკრებს ჩერნოგორიაში ახლავს. მოკლედ, გუნდი სახეზეა, თუმცა ჯერ კიდევ უცნობია, ვინ რა პოსტს დაიკავებს. სიჭინავა კვანძის გახსნას ერთი თვის შემდეგ გვპირდება.

ზვიად სიჭინავა: „დღეს მზად ვარ, დავასახელო ის ადამიანები, რომლებთან ერთადაც ვაპირებ საქმიანობას. თუმცა ახლა ვერაფერს გეტყვით თანამდებობებზე. გუნდი სულ 7 კაცისგან დაკომპლექტდება, 6 უკვე ცნობილია, თუმცა დღეს მხოლოდ ხუთნი ვართ, რევაზ არველაძე ჩერნოგორიაში გაემგზავრა. გუნდის ერთი წევრის ვინაობაც მერე გაირკვევა. ერთ თვეში, ალბათ 15 ნოემბერს, გაიმართება საანგარიშო ყრილობა, რომელზეც ორ საკითხს განვიხილავთ: პირველი, რომ ჩამოყალიბდება ფედერაციის აღმასკომი, დამტკიცდება გენერალური მდივნისა და ვიცე-პრეზიდენტების კანდიდატურები, და მეორე - შევა ცვლილებები წესდებაში. ყრილობისთვის სამზადისი ორშაბათს დაიწყება. გვეყოლება ოთხი ვიცე-პრეზიდენტი, გენერალური მდივანი და პრეზიდენტის ორი მრჩეველი. ხვალ დასავლეთ საქართველოში მივემგზავრები, რათა შევხვდე იმერეთის, გურიის, აჭარის, რაჭის რეგიონის საფეხბურთო ხელმძღვანელებს. თბილისში სამშაბათს დავბრუნდები".

შემდეგ სიჭინავას კითხვები დავუსვით:

**- გუნდის მეშვიდე წევრს ვერ დაასახელებთ?**

- ჯერ ვერა.

**- ვინ იქნება ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი?**

- ამას გაიგებთ მაშინ, როცა ექტორ კუპერს კონტრაქტი დაუმთავრდება. ახლა მთავარ მწვრთნელზე ლაპარაკი ნაადრევია, რადგან წინ ორი ოფიციალური და ერთი ამხანაგური მატჩი გვაქვს. არ გვსურს ისეთივე შეცდომების დაშვება, როგორიც კლაუს ტოპმიოლერსა და ალენ ჟირესთან მიმართებაში მოხდა. ამავე დროს, მსურს მადლობა გადავუხადო გაზეთ „ოლიმპს", რომელმაც გამოაქვეყნა გამოკითხვის შედეგები და აღმოჩნდა, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მხარს უჭერდნენ თემურ ქეცბაიას (ეს გამოკითხვა გაზეთმა „ლელომაც" ჩაატარა - რედ.).

**- ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის კანდიდატურასაც განიხილავთ?**

- არ არის გამორიცხული (სიჭინავამ ამ კითხვას ღიმილით უპასუხა და ამით ყველაფერი ცხადი გახდა - ავტ).

**- გენერალური მდივანიც ამ შვიდეულიდან შეირჩევა?**

- შეიძლება, ასეც იყოს. მაგრამ ჯერ კარგად უნდა მოვიფიქრო, არ მინდა, შეცდომა დავუშვა.

**- კონკრეტულ პოსტებს არ ასახელებთ, მაგრამ არსებობს გარკვეული სფეროები, რომელთაც 15 ნოემბრამდე კონკრეტულმა პირებმა უნდა უხელმძღვანელონ.**

- დროებით ისე იქნება, როგორც აქამდე იყო.

**- ფეხბურთის ფედერაციის ძველ თანამშრომლებთან ურთიერთობის გაგრძელებას აპირებთ?**

- ჯერჯერობით, კი.

**- პროფესიული ფეხბურთის ლიგასთან დაკავშირებით რა გადაწყვეტილება მიიღეთ?**

- არ ვიცი, საიდან მოდის ჭორები, თითქოს პროფლიგის დაშლას ვაპირებთ. როგორც არის, ასევე გააგრძელებს არსებობას, მაგრამ მსაჯობასა და ლიგაზე კონტროლი გამკაცრდება. იმუშავებს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ხალხი.

**- ინფრასტრუქტურის განვითარება ნაკრების ბაზაზე ორი სტანდარტული მოედნის მოწყობით დაიწყეთ. რას აპირებთ შემდგომში?**

- არასერიოზულია, როცა ეროვნული ნაკრების ბაზა სასტუმროდ გამოიყენება. იქ უკვე შესულია ორი კომპანია და იმედია, დეკემბრამდე მოედნები მოეწყობა. ბაზაზე ისეთი მოედნები უნდა გაკეთდეს, როგორზეც ჩვენი ფეხბურთელები უცხოეთში თამაშობენ.

**- არსებობს ინფორმაცია, თითქოს ფედერაციაში ფინანსური პრობლემები დაგხვდათ...**

- მხოლოდ რამდენიმე დღეა, ვმუშაობ და მცირე დროში დასკვნის გამოტანა ჩემზე ჭკვიან ხალხსაც გაუჭირდებოდა. ბევრი რამაა სანახავი. რეალური სურათი უეფას თუ ფიფას აუდიტის შემდეგ გამოჩნდება.

**- თქვენ საფეხბურთო სამყაროს გაერთიანება ახსენეთ...**

- ჩემს გვერდით დღეს ხედავთ ადამიანებს, რომელთაც უყვართ და სჯერათ ქართული ფეხბურთის. არა მგონია, მათი ერთად დგომა მეორედ მოსვლა იყოს. მოხდა ის, რაც მოხდა.

**- მიშელ პლატინისთან შეხვედრის დეტალები თუ დააზუსტეთ?**

- მიმიწვია, ჩავალ და დავლევთ ყავას... ჩვეულებრივი შეხვედრაა.

**- მედიისთვის უცნობია, ვინ იქნება ფედერაციის პრესატაშე?**

>> მე-4 გვერდზე

U 21 ევროპის ჩემპიონატი

# ნაბრძოლი ქულა ირლანდიიდან

**ირლანდია-საქართველო 1:1**

1:0 ჯაჯი (28), 1:1 ივანიშვილი (89)

ირლანდია: რედმონდი, კოულმენი (86. ჰიუტონი), ჰანინგი, მოლონი, მორისი, გლისონი, ჯაჯი, გარვანი, შერიდანი, მაკარტი (90. კოლინზი), ტრეისი (80. ოში).

საქართველო: კვასხვაძე, თომაშვილი (88. ჭედია), თოთაძე, ხიდეშელი, კაკუბავა, დაუშვილი, კლიმიაშვილი, გუგავა (62. კუტალია), ყენია, ვანაძე (73. ჯანელიძე), ივანიშვილი.

გაფრთხილება: კოულმენი (2), გარვანი (24), ყენია (25), გლისონი (70), ხიდეშელი (72), კუტალია (88)

**ოთარ გაბელიას** გუნდს დუბლინიდან დამსახურებული და მეტად საჭირო ქულა მოაქვს. მატჩი უკეთ დაიწყეს მასპინძლებმა და ორჯერაც დაარტყეს ჩვენი კარისკენ. მერე ქართველებიც გამოცოცხლდნენ - თამაში გაათანაბრეს და ასევე ორჯერ დაემუქრნენ ირლანდიელებს, მაგრამ **ყენიას** ჯარიმასა და **ვანაძის** ძლიერ დარტყმას შედეგი არ მოჰყოლია.

მერე თამაში გაბელიას შეგირდთა კარნახით გაგრძელდა, თუმცა ერთი ჩვეულებრივი შეტევისას **ალან ჯაჯიმ** ჩვენს მცველებს აჯობა და ანგარიში გახსნა - 1:0.

გოლმა მასპინძლებს თითქოს მადა გაუხსნა, მაგრამ ტაიმის ბოლო ხუთ წუთში უპირატესობა კვლავ ჩვენი ბიჭების ხელში იყო. სწორედ ამ დროს **თოთაძემ** საფირმო ჯარიმაც შეასრულა, თუმცა უშედეგოდ.

მეორე ტაიმის დასაწყისშიც უკეთ და აქტიურად მასპინძლები გამოიყურებოდნენ. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. თამაში მალე გათანაბრდა და ჯერ ყენიას, მერე კი ივანიშვილს თითო საგოლე მომენტი შეექმნათ.

სწორი შეცვლების წყალობით გაბელიამ შეგირდთა თამაში უკეთესობისკენ შეცვალა. ჩვენი იერიშები უფრო მწვავე გახდა და იგრძნობოდა, რომ მასპინძლებს კარის ბოლომდე „მშრალად" შენახვა გაუჭირდებოდათ...

...და ჰა, 89-ე წუთზე **გიორგი ივანიშვილმა** წონასწორობა აღადგინა. ირლანდიელები დაიბნენ და დარჩენილ დროში იმავე ივანიშვილმა და **კუტალიამ** კიდევ გაანერვიულეს მეტოქე, თუმცა ამით აღარაფერი შეცვლილა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 4 | 3 | 0 | 1 | 9-4 | 9 |
| 2. ესტონეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 3. თურქეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-6 | 6 |
| 4. საქართველო | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 5. ირლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-5 | 4 |
| 6. სომხეთი | 3 | 0 | 0 | 0 | 4-10 | 0 |

**დავით ცაბაძე**


ანგარიში ივანიშვილმა გაათანაბრა

U 19 ევროპის ჩემპიონატი

# საქართველოს ფარცვანიამ მოუგო

## დარჩენილ მატჩებში ანანიძესთან ერთად?

**უკრაინა-საქართველო 1:0**

1:0 ფარცვანია (67. ფედოტოვის პასით)

უკრაინა: ლევჩენკო, პოლიშჩუკი, ფარცვანია, პრიიმა, ფედოტოვი (78. გრეჩიშკინი), სიდორჩუკი, ზადოია, კარასიუკი, კარნოზა (89. კარავჩენკო), ოვჩინიკოვი (46. პავლოვი), ოლიინიკი.

*სათადარიგოები: კოვალი, ვორობეი, გოლიკოვი, სოკურენკო.*

საქართველო: ნიორაძე, კვეკვესკირი, კვერკველია, ბრაჭული, კაკუშაძე (90. კობახიძე), ელიზბარაშვილი, ძალამიძე, ბალაძე (87. ქურდობაძე), შეყილაძე, ჩაფიძე, კაჭახიძე.

*სათადარიგოები: მეშველიანი, გუგუჩია, ჩელებაძე, კუბლაშვილი*

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი მარცხით დაიწყო. უკრაინელებმა ქართველი **თემურ ფარცვანიას** ერთადერთი გოლის წყალობით მოგვიგეს. ეს გოლი 67-ე წუთზე **ფედოტოვის** მიერ ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა. ფარცვანიამ ჩვენი მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლა და რიკოშეტის შემდეგ ბურთი ქართველთა კარში აღმოჩნდა.

მატჩი თანაბარ, ხისტ ბრძოლაში წარიმართა, რაზეც 5 ყვითელი ბარათიც მეტყველებს. უკრაინელებს ორი, ჩვენებს კი სამი საგოლე შანსი ჰქონდათ. შესვენებამდე რეალური ხიფათი არც ერთ კართან არ შექმნილა...

პირველად გელა შეყილაძის ბიჭებმა შეამოწმეს მეკარის სიფხიზლე - მე-7 წუთზე **ლევჩენკომ კაჭახიძის** დარტყმული მოიგერია. რა თქმა უნდა, ჩვენს კართანაც დაირლვა სიმშვიდე, მაგრამ **ნიორაძემ** მომენტის განმუხტვა მცველების დახმარებით მოახერხა.

მეორე ტაიმში, ვიდრე ფარცვანია გაგვიტანდა, თავის გამოჩენა ჯერ **ჩაფიძეს** (8 მეტრიდან ააცილა კარს), მერე იმავე კაჭახიძეს შეეძლო. ეს შანსები გოლამდე გავანიავეთ. სხვათა შორის, ფარცვანიამ ლამის საკუთარი კარიც დალაშქრა - მან ჩაჭრა **ძალამიძის** პასი, რომლის ადრესატიც **შეყილაძე** გახლდათ. ბურთი კინაღამ ბადეში აღმოჩნდა, არადა, გადაცემა შეყილაძეს რომ მისვლოდა, ცარიელ კარში გატანა არ გაუჭირდებოდა...

გოლის შემდეგ ჩვენებს უპირატესობა კი ჰქონდათ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ჩვენსავე ჯგუფში მასპინძელი შვედეთი ჩერნოგორიას უგოლოდ დაუზავდა.

მეორე ტურის მატჩები 11 ოქტომბერს გაიმართება. საქართველოს ნაკრები შვედეთის დამარცხებას შეეცდება, რათა ჯგუფიდან გასვლის უკეთესი შანსი მიიღოს.

მნიშვნელოვანი დეტალი - დარჩენილი ორი მატჩისთვის შეყილაძე **ჯანო ანანიძეს** დაიმატებს. ამ უკანასკნელს 21-წლამდელთა შორის ირლანდიაში უნდა ეთამაშა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ეს ვერ შეძლო და იმედია, 19-წლამდელთა დასახმარებლად მზად იქნება.

**დავით ცაბაძე**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სამწვრთნელო თემაზე**

# ვიდრე კუპერს გავაცილებთ...





**ორი ტური** და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დასრულდება. ჩვენთვის, რალა თქმა უნდა, ევროპის ზონაა საინტერესო და დღევანდელმა თუ ოთხშაბათის შეხვედრებმა ყველაფერი უნდა გაარკვიოს. ისე, მართლაც უცნაურია - ქართველ გულშემატკივართა უმრავლესობას ამ ხუთი დღის განმავლობაში საფიქრალ-სანერვიულო რომ არ გამოელევა; სხვანაირად ხომ ვერც იქნება - მაგალითად, შეძლებენ თუ არა საფრანგეთის, პორტუგალიის, საბერძნეთის, ხორვატიისა და უკრაინის ნაკრებები პლეი-ოფის საგზურის მოპოვებას? ეგ კი არა, ლამის არის, სლოვენიისა თუ ირლანდიის ბედ-ილბალით დავინტერესდეთ და ამ დროს კი... რალაცა „გვავიწყდება"! არა, არც არაფერი დაგვვიწყნია - ყველამ კარგად ვიცით, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ძალიან ბევრ გუნდთან (ტიტულიანებთან და ალმავლობის გზაზე მყოფთან, მუდმივ ფაორიტებთან და მუდმივ აუტსაიდერებთან) ერთად... ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, მოკრძალებული მიზნების მქონე და უამბიციო გუნდიც ასპარეზობს. თუმცა, უკაცრავად - რატომ, მოკრძალებული მიზნების მქონე? ალბათ, უფრო პირიქითაც არის: იმ „ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ" გუნდს ხომ დარჩენილ ორ შეხვედრაში მიზანიც უსერიოზულესი აქვს და მოტივაციაზე ხომ, საერთოდ, ალარც ღირს ლაპარაკი!..

აი, ამასაც მოვესწარით; ადრე (თან, არცთუ დიდი ხნის წინათ), საქართველოს ნაკრებზე რომ ვსაუბრობდით, ყოველთვის ხაზს ვუსვამდით, რომ თითოეული ჩვენგანისთვის ეს არ იყო „ჩვეულებრივი გუნდი"; ჰო, ნამდვილად, უფრო მეტადაც მიგვაჩნდა, მაგრამ ქრონიკულმა წარუმატებლობებმა ძალიან ბევრი რამ შეცვალა. რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობთ, რომ მუდამ წარმატებული პერიოდი გვქონდა და მხოლოდ ამ შესარჩევ ციკლში ჩავფლავდით; მაგრამ იმას, რაც ახლა ხდება, ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდით - შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე კვლავაც ბოლო ადგილზე ვართ და, რაც ყველაზე გულსატკენია, ჩვენს ნაკრებს მოგებათა გრაფაში კვლავაც ნული უწერია! არადა, ბოლო ადგილზე ადრეც ვყოფილვართ; ეგ კი არა, ზედიზედ მეოთხე შესარჩევი ციკლია, საქართველოს ნაკრების პროგრამა-მაქსიმუმი თუ მინიმუმი... ჯგუფში ბოლოსწინა ადგილის დაკავებაა! სამწუხაროდ, წინა ციკლისგან განსხვავებით, ამჯერად ჩვენთან ერთად ფარერების ნაკრები ალარ მოხვდა; მაგრამ მეორე მხრივ, ისიც საკითხავია, ამ შესარჩევში შევძლებდით თუ არა კუნძულელების დამარცხებას? ჰო, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ფარერელებს ამ ციკლში ჩვენზე მეტი - 4 ქულა აქვთ მოპოვებული და, რაც მთავარია, ერთი გამარჯვებითაც იწონებენ თავს. ჩვენ კი... ჩვენ ისევ პირველი გამარჯვების მოლოდინში ვართ; არადა, ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებზე საქართველოს ნაკრებს თუნდაც ერთი მატჩი რომ არ მოეგოს, მსგავსი არასდროს მომხდარა! იმაზე ალარაფერს ვამბობთ - ჯგუფში მესამე ადგილზე რომ გავდიოდით და შესარჩევ ტურნირსაც, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, 15 ქულით რომ ვასრულებდით! თუმცა, ხშირად „გვიკიჟინებენ" - წარსულს ნუ მისტირითო, ჰოდა, დღევანდელ სამწუხარო რეალობას დავუბრუნდეთ და ჩვენნაირ „შავ დღეში" მყოფი გუნდები ვახსენოთ; აი, ისინიც, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მოუგებლად დასრულება რომ „ემუქრებათ": მალტა, ლიხტენშტეინი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ანდორა, სან-მარინო, ჩერნოგორია და საქართველო. ამ გუნდებიდან ლიხტენშტეინი და აზერბაიჯანი ერთმანეთს დღეს შეხვდებიან და დიდი შანსია, რომელიმემ გაიმარჯვოს კიდეც; ამას გარდა, ლიხტენშტეინს ოთხშაბათს კვლავაც საშინაო მატჩი ელოდება ყოვლად უმოტივაციო უელსთან, ანუ მოგების შანსი იქაც ექნება; არ დაგვავიწყდეს, რომ უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში... მოლდოვამაც მოგვიგო და მალტამაც! ესე იგი, ფაქტობრივად, სან-მარინოსა და ანდორის დონეზე ვყოფილვართ „დაშვებული", იმიტომ, რომ კიდევ ერთი მოუგებელი გუნდი... დღეს ჩვენი მეტოქეა...

ჰო, ჩერნოგორიასაც არ მოუგია არც ერთი მატჩი, მაგრამ არა გვგონია, რომ ამ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზორან ფილიპოვიჩი** ან ნაკრების ფეხბურთელები, ყოველივე ამის გამო წნეხში იყვნენ მოქცეულნი. ბოლოს და ბოლოს, ჩერნოგორიელებისათვის ხომ ეს სადებიუტო ციკლია და ამის ფონზე ხუთი ქულა ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. თან, ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩერნოგორიელები სამჯერ დამარცხდნენ და აქედან ორჯერ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ იტალიასთან...



ყოველივე ამის მიუხედავად, ჩერნოგორიელებს არ სურთ შესარჩევი ეტაპის მოუგებლად დასრულება; მით უფრო, რომ დღევანდელ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში, შესაძლოა, ჯგუფში მეოთხე ადგილის დაკავებაზეც იფიქრონ. ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ასევე მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს საქართველოს ნაკრების ჯერ კიდევ მთავარი მწვრთნელი **ექტორ რაული კუპერი**. როგორ ფიქრობთ, არგენტინელ მწვრთნელს არ უნდა აქედან „თავანეული" წასვლა? ან, საერთოდ, ისიც საკითხავია, უნდა თუ არა წასვლა საქართველოდან...

ისე, მართლაც, უცნაური და, ცოტა არ იყოს, კურიოზული სიტუაციაა: კუპერის ხელმძღვანელობით ჩვენს ნაკრებს ორი ოფიციალური შეხვედრა აქვს ჩასატარებელი და მთელმა საქართველომ იცის, რომ ამ ორი მატჩის მერე... საქართველოს ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება! როგორ გგონიათ, ყოველივე ეს, კუპერმა არ იცის? აქვე, აუცილებლად მიგვაჩნია იმის განმარტებაც, რომ „ორი ხელით" მივესალმებით, ფაქტობრივად, 99 პროცენტით გადაწყვეტილ ამბავს; **თემურ ქეცბაიაზე** მოგახსენებთ. საკლუბო დონეზე ბოლო წლების ყველაზე წარმატებულ ქართველ მწვრთნელზე და იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს, კარგად ექნება გათვითცნობიერებული, თუ რამდენად საპასუხისმგებლო საქმეს შეეჭიდა.

...დამაინც, გვინდა რომ კუპერის მდგომარეობაშიც „შევიდეთ"; წარმოგვიდგენია, თუ რამხელა სტიმული თუ მოტივაცია ექნება არგენტინელ მწვრთნელს ჩერნოგორიასა და ბულგარეთთან შეხვედრებში. ალბათ, თვითონაც კარგად იქნება სატურნირო ცხრილში „ჩახედული" და იმედია ვინმე იმასაც ეტყოდა, რომ საქართველოს ნაკრებს შესარჩევი ციკლი მოუგებლად არასდროს დაუსრულებია; „ვინმე", ალბათ, იმასაც ეტყოდა, რომ საქართველოს ნაკრებმა საკუთარი ანტირეკორდი დაამყარა - თოთხმეტი მატჩი მოუგებლად! ისე, მართლაც, რა დრო უნდა გავიდეს, მსგავსი მაჩვენებელი რომ გავაუმჯობესოთ; ჰოდა, დღევანდელ და ოთხშაბათის შეხვედრებში, კუპერმა, მართლაც, ყველაფერი უნდა ილონოს, რომ ეს მოუგებელი სერია არ გაიზარდოს. ამას გარდა, საკუთარ სამწვრთნელო რეპუტაციაზეც ხომ უნდა იფიქროს; მით უმეტეს, თუ გავიხსნებთ, რომ ბოლო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში სადაც კი უმუშავია, ყველგან („მალორკა", „ბეტისი", „პარმა") ფიასკო ელოდა. ახლა ამას საქართველოს ნაკრებში წარუმატებელი მოღვაწეობა დაემატება და ვილას გაახსენდება ჩემპიონთა თასისა (ორჯერ) და თასების მფლობელთა თასის წაგებული ფინალები, ან ბოლო ტურში (თან - 45 წუთში) დაკარგული იტალიის ჩემპიონობა...

...კუპერი იქით იყოს და, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებსაც არანაკლები სტიმული თუ მოტივაცია მოეთხოვებათ ამ ორ დარჩენილ შეხვედრაში; ჯერ ერთი, ნაკრების ქრონიკული წარუმატებლობა თუ ცამეტთვიანი მოუგებელი სერია რომ მხოლოდ მწვრთნელის ბრალი არ არის, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება; მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, ალბათ, ელემენტარული თავმოყვარეობის გრძნობაა - მიდით, და დაამტკიცეთ, რომ „რალაც" შეგიძლიათ...

**გია ტუხაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილისა და გოგიტა ბუხაიძის ფოტოები





**P.S.**

*8 ოქტომბრის „ლელოში" დაბეჭდილ ინფორმაციაში, ჩვენი გაზეთის ჟურნალისტს „სანდო წყარომ" აცნობა, რომ ოქტომბრის ბოლოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და ექტორ კუპერი ერთმანეთს შეხვდებოდნენ და მომავალ ... თანამშრომლობასა თუ განშორებაზე ისაუბრებდნენ. შეგახსენებთ, რომ არგენტინელ მწვრთნელს ჩვენს ფედერაციასთან კონტრაქტი დეკემბრის ბოლომდე აქვს გაფორმებული. ანუ, რა მიხვედრა უნდა, რომ ლაპარაკი... „ტკბილად დაშორებაზე" იქნება - კუპერს, დარჩენილი ორ თვის ხელფასს, ალბათ წინასწარ გადაუხდიან და კეთილი სურვილებითაც დაემშვიდობებიან. ჩვენ რომ გვკითხონ, ასეც უნდა იყოს, მაგრა, ვთქვათ, საქართველოს ნაკრებმა ორივე დარჩენილ შეხვედრაში გაიმარჯვა, მერე როგორლა იქნება საქმე?*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

# სიჭინავა წარმოგიდგენთ შესანიშნავ შვიდეულს...

<< მეორე გვერდიდან

- დღესდღეობით, ამ ფუნქციას თათია ბურდული ასრულებს, სამომავლოდ კი დავით ქლიბაძის დანიშვნა მსურს.

**- სამწუხაროდ, მიზეზებთა გამო, საქართველოს ნაკრებში ვერ ვიყენებთ ფეხბურთელებს, რომელთაც გუნდის გაძლიერება შეუძლიათ - ასათიანს, გოგუას, ამისულაშვილს, ხოჯავას და ასე შემდეგ. ეცდებით ამ პრობლემის მოგვარებას?**

- ეს მწვრთნელის საქმეა და მასში არავინ არ უნდა ჩაერიოს.

**- ეს გასაგებია, მაგრამ როცა ნაკრები ვერ იყენებს საჭირო ფეხბურთელებს, ეს არ არის მისახედი?**

- მწვრთნელის საქმიანობაში არ ჩავერევით, თუმცა მან უნდა დაგვისაბუთოს, რა მიზეზით არ იწვევს ამა თუ იმ ფეხბურთელს. ამას კონტრაქტში ჩავუწერთ.

**- კითხვა ლევან ყიფიანს: დიდხანს ფიქრობდით ამ შეთავაზებაზე?**

**ლევან ყიფიანი:** - გადაწყვეტილება ბევრი ფიქრის შემდეგ მივიღე, „ჩვენი ფეხბურთის" წევრებსაც შევუთანხმე. როცა ხელს გიწვდიან, არ უნდა აუკრა. ჩვენ გაგვაჩნია პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, ხალხს კი შედეგი აინტერესებს და არა ის, თუ ვინ ვისთანაა დაპირისპირებული. საერთო საქმე უნდა გავაკეთოთ. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენს პრინციპებზე ხელი ავიღეთ.

**- რა გეგმები აქვს თქვენს ორგანიზაციას?**

- სასიამოვნოა, რომ ზვიად სიჭინავა მიხეილ ყაველაშვილს დაუკავშირდა და თანამშრომლობა შესთავაზა. იმედია, ეს ურთიერთობა გაგრძელდება.

სიჭინავას რეპლიკა:

- მიმაჩნია, რომ დავით ყიფიანის შვილი ფეხბურთში უნდა იყოს. ვისაც არ ახსოვს წარსული, იმას არა აქვს მომავალი.

ჟურნალისტი **ლაშა თაბაგარი:**

- ფედერაციაში არა გვარების, არამედ მცოდნე ხალხის მიყვანაა საჭირო.

**ლევან ყიფიანი:** - აბსოლუტურად გეთანხმებით. ასე უნდა იყოს.

კითხვა კვლავ ფედერაციის პრეზიდენტს:

**- ქართულ ფეხბურთში უამრავი პრობლემა დაგროვდა, რომელთა დიდი ნაწილი უფულობას ან კანონმდებლობას უკავშირდება. მათ მოსაგვარებლად თუ აპირებთ მოლაპარაკებებს ხელისუფლების წარმომადგენლებთან?**

- ვიმედოვნებთ, რომ ეს პრობლემა მოგვარდება. მთავრობასთან უნდა იყოს დიალოგი და არა - კამათი. ჩვენ მათ კონკრეტული პროექტები უნდა დავუდოთ და არა მხოლოდ - „გვინდა". უნდა იცოდე, რა გინდა და ისე მიმართო. ჩვენ ქართული ფეხბურთის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა უნდა დავდოთ და განვახორციელოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

## ზურაბ ხიზანიშვილი

# ვიცი, რომ ყველა ქეცბაიას ემხრობა

**საქართველოს ნაკრები ბოლო ორი შესარჩევი მატჩის ჩასატარებლად თბილისიდან უკვე გაემგზავრა. მანამდე, ეროვნული გუნდის კიდევ ერთ სტაჟიან წევრს, ცენტრალურ მცველ ზურაბ ხიზანიშვილს გავესაუბრეთ. საინტერესოა, რას ფიქრობს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი უახლოეს მატჩებზე, გუნდის მომავალზე, „ნიუკასლზე"... ზურაბს სწორედ ამ თემებზე ველაპარაკეთ...**

**- რას უნდა ელოდოს ქართველი გულშემატკივარი შესარჩევი ციკლის დასკვნით ორ შეხვედრაში?**

- ვიბრძოლებთ იმ შედეგისთვის, რაც ჩვენს ქომაგებს გაახარებს და ვნახოთ, რა გამოვა. აქამდე, არც ერთი საკვალიფიკაციო ეტაპი არ ყოფილა, ჩვენს ნაკრებს ერთი მატჩი მაინც რომ არ მოეგო. მართალია, სტუმრად ვთამაშობთ, მაგრამ მაინც შეიძლება წარმატებაზე ზრუნვა.

**- სამწუხაროდ, ჩერნოგორიაში ვერ ითამაშებს დისკვალიფიცირებული ლევან კობიაშვილი და ლევან ყენია, რომელიც ექტორ კუპერმა ახალგაზრდულ ნაკრებს დაუთმო. არსებული შემადგენლობითაც შეიძლება გამარჯვებაზე ფიქრი?**

- შეიძლება. თან ნუ გავიწყდებათ, რომ მეტოქესაც აქვს დანაკლისი. ჩვენგან ახლა მაქსიმალური თავდადება, ბოლომდე დახარჯვაა საჭირო და ეს თუ იქნა, იმედია ფორტუნა ზურგს არ შეგვაქცევს.

**- ნაკრებს კიდევ ერთი დებიუტანტი ჰყავს „ვიტ ჯორჯიას" შემტევი ნახევარმცველის ჯაბა ლიპარტიას სახით. რა წარმოდგენა შეგექმნათ ახალ ფეხბურთელზე?**

- ვაკვირდებოდი ვარჯიშებზე, ძალიან მონდომებულია, კარგი მონაცემიც არაერთი აქვს და დასახვეწი კომპონენტებიც. ჩემი აზრით, მას უფრო მაღალ დონეზე შეუძლია თამაში.

**- ბულგარეთთან მატჩზე რაღას გვეტყვით?**

- რა უნდა გითხრათ... გეხსომებათ, როგორ დავჯაბნეთ თბილისში, მაგრამ გოლი ვერაფრით გავუტანეთ. თუმცა ახლა სტუმრად ვთამაშობთ და ეს სულ სხვა ხასიათის მატჩი იქნება. ბულგარეთთან სტუმრად თამაში იოლი არავისთვის ყოფილა და გამონაკლისი არც საქართველოს ნაკრები იქნება, თუმცა დარწმუნებული ვარ, პოზიტიური შედეგის მიღწევა სოფიაშიც შეიძლება. ერთი რამ ვიცი - იმისთვის, რომ ამ ორ მატჩში კარგი შედეგი ვაჩვენოთ, ყველა ღონეს ვიხმართ.



**- ახლა საკლუბო კარიერაზე გადავიდეთ. სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო, „ბლექბერნიდან" „ნიუკასლში" გადახვედით. ახლა რა შეგიძლიათ თქვათ ამ ტრანსფერზე?**

- ჩემპიონშიფის კლუბებისგან არაერთი წინადადება მქონდა, მაგრამ „ნიუკასლში" რომ უნდა წავსულიყავი, ამაზე ბევრი არ მიფიქრია. ეს არის დიდი ტრადიციების კლუბი და ამ ფაქტორმა ჩემს არჩევანზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. დარწმუნებული ვარ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. პრემიერლიგის კლუბებიც მიკავშირდებოდნენ, მაგრამ... სკამზე ჯდომას ისევ ჩემპიონშიფში თამაში მერჩივნა და ამიტომაც გადავდგი ეს ნაბიჯი.

**- „ნიუკასლში" ალბათ თემურ ქეცბაიაზეც გესაუბრნენ...**

- იქ ახლაც ბევრს ახსოვს თემური. რიგითი ქომაგები მეკითხებოდნენ - თემური როგორ არის, საბერძნეთიდან წასვლის შემდეგ რას აპირებსო... ქეცბაიას თემას ვერც ჟურნალისტები უვლიდნენ გვერდს. დღესაც მიაჩნიათ, რომ ის იმდროინდელი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. ქეცბაია ჩემი უფროსი მეგობარია, ეროვნული ნაკრების გარდა, „დანდიშიც" ერთად ვიყავით.

**- თითქმის გადაწყვეტილია, რომ ექტორ კუპერის შემდეგ ეროვნულ გუნდს თემურ ქეცბაია ჩაიბარებს...**

- რასაც გაზეთებში ვკითხულობ, აშკარაა, რომ ყველა ქეცბაიას ემხრობა. არც არის გასაკვირი, მან უკვე დაამტკიცა, რომ ძლიერი სპეციალისტია...

**- „ნიუკასლთან" კონტრაქტი დეკემბერში" გიმთავრდებათ. მერე რას აპირებთ?**

- ვიცი, რომ კლუბს კონტრაქტის გაგრძელება სურს. ვნახოთ, მოვა დეკემბერი, დავილაპარაკებთ და ყველაფერი გაირკვევა. მანამდე მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ - მქონდეს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა, რაც კარგ ფორმაში ყოფნის გარანტიაა.

**დავით ცაბაძე**

ამხანაგური მატჩი

# რთული გამარჯვება ბავშვებთან

**დინამო-U 17 2:1**

0:1 ჭანტურია (1), 1:1 აკირემი (7. კოშკაძის პასით), 2:1 აკირემი (16. შ. კაშიას პასით)

დინამო: ლორია (73. ლოსაბერიძე) - მინდორაშვილი, გეთიაშვილი, კრშკო (77. ოთარაშვილი), ჩარასი (58. ლომია) - შ. კაშია (62. ლეკვთაძე), ჩადუნელი, მამუჩაშვილი (46. ზვიადაძე), ჯიშკარიანი - კოშკაძე (71. ქანთარია), აკირემი (67. სიხარულიძე).

U 17: ლეგაშვილი - ხარაბაძე, გაჩეჩილაძე, დოლიძე, ტვილდიანი - კოშაძე, ყაზაიშვილი, ხუბუა, რეხვიაშვილი - ხოჭოლავა, ჭანტურია. შეცვლაზე შევიდნენ: პარუნაშვილი, მაჭავარიანი, დრიაევი, სხირტლაძე.

თბილისის „დინამოს" რვა ფეხბურთელი სხვადასხვა ნაკრებშია გამოძახებული: ეროვნულ გუნდში **ექტორ რაულ** კუპერმა გურამ კაშიას, ლევან **ხმალაძესა** და გიორგი მერებაშვილს უხმო, ოთარ გაბელიამ ახალგაზრდულში - ლევან კაკუბავას, გულვერდ თომაშვილს, ვაჟა ნემსაძეს და მათე ვანაძეს, ეგვიპტეში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე კი **დონალდ ჯუისმა** კამერუნის ახალგაზრდულ ნაკრებში ორი შეხვედრა უკვე ჩაატარა, მაგრამ დღემდე არ ჩამოსულა. გუნდს აკლდნენ **დათო დილმელაშვილი** და **გია ნერგაძე.**

ამის მიუხედავად, საქართველოს თასის მფლობელი 17-წლამდელთა ნაკრებთან მაინც სოლიდური შემადგენლობით გამოვიდა მოედანზე - ძირითადი შემადგენლობიდან კახა კაჭარავამ **გიორგი ლორია, შოთა კაშია, გიორგი მამუჩიშვილი, ალეკო კოშკაძე** (რომელიც ტრავმას იშუშებს) და **ჯორჯ აკირემი** დააყენა, რაც 16 წლის ბიჭების წინააღმდეგ დიდი ძალა დახლდათ. ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშეს **მარკო ჩარასმა** და **მილოშ კრშკომ**, რომელმაც მატჩის შემდეგ გვითხრა, რომ ფეხი კიდევ აწუხებს.

ნაგების მიუხედავად, **გიორგი დევდარიანის** განვრთნილებმა შთამბეჭდავად ითამაშეს და დილმის ბაზაზე მისული საკმაოდ მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის პატივისცემა დაიმსახურეს. „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა, **კახა კაჭარავამ** აღნიშნა კიდეც, ეს გუნდი ძალიან ნიჭიერი ბიჭებითაა დაკომპლექტებული, სწორ გზაზე დგას და იმედია, დიდ ფეხბურთს ითამაშებენო.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ანგარიში უკვე პირველ წუთზე გახსნა: **გიორგი ჭანტურიამ** მახვილი კუთხიდან შენიშნა, რომ „დინამოს" მეკარე ახლო კუთხეს ვერ აკონტროლებდა და ურთულესი პოზიციიდან ულამაზესი გოლი გაიტანა - 0:1.

წინდაწინ ვიტყვით, რომ გიორგი ასაკისთვის შეუფერებლად თავდაჯერებით თამაშობდა, რამდენიმე ეპიზოდში კი გამოცდილი დინამოელები ისე გააცუცურაკა, მისი ნახვა სიამოვნება იყო. მას არც თანაგუნდელები ჩამორჩნენ. თუმცა საბოლოოდ, ასაკმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა. „დინამომ" ანგარიში მე-7 წუთზე გაათანაბრა: კოშკაძის პასით მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა **აკირემმა** ზუსტად დაარტყა - 1:1. გაბონელმა ფორვარდმა მე-16 წუთზე დუბლი შეასრულა: ამჯერად, მას ასისტენტობა შოთა კაშიამ გაუწია - 2:1.

მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგ ორივე გუნდმა საკმაოდ მრავალი საგოლე მომენტი შექმნა, ანგარიში აღარ შეცვლილა.

**მერაბ მამულაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# სტუმრებმა სპარინგები ჩაშალეს

„ვიტ ჯორჯია" ეროვნული ჩემპიონატის მომავალი ტურისთვის ინტენსიურად ემზადება. ბუნებრივია, ამ პროცესში არ მონაწილეობენ გუნდის ის ფეხბურთელები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში არიან გამოძახებულნი. ჯერჯერობით, საქართველოს მოქმედ ჩემპიონებს საკონტროლო მატჩი არ ჩაუტარებიათ. ვეტერინარები ჩვენთან შეკრებაზე მყოფ „სტანდარდსა" და „სიმურგთან" აპირებდნენ გაჯიბრებას, მაგრამ აზერბაიჯანელებმა შეთანხმება ჩაშალეს და შეხვედრაზე ბოლო მომენტში თქვეს უარი.

სათამაშო ტონუსის შესანარჩუნებლად „ვიტ ჯორჯიას" ძირითადი გუნდის რამდენიმე წევრმა შესაძლოა, დუბლშემადგენლობათა ჩემპიონატის მატჩში მიიღოს მონაწილეობა. უმაღლეს ლიგაში კი ვეტერინართა მორიგი მეტოქე „გაგრა" იქნება, რომელსაც **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდი გორში უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტზალი

# ელიტმეტოქეთა მოლოდინში




როგორც იცით, თბილისის „იბერიამ" წარმატებით გადალახა ევროპის ფუტზალის თასის პირველი ჯგუფური ეტაპი და ელიტრაუნდისთვის ემზადება. ელიტ-რაუნდის წილისყრა 13 ოქტომბერს ნიონში, უეფას შტაბბინაში გაიმართება. ალბათ, უინტერესო არ იქნება, თუ საქართველოს ჩემპიონის სავარაუდო მეტოქეთა ჩამონათვალს შემოგთავაზებთ.

პირველ კალათაში ოთხი გუნდია განთესილი: **„ინტერვიუ მადრიდი" (ესპანეთი, მოქმედი ჩემპიონი), „ვიზ-სინარა ეკატერინბურგი" (რუსეთი), მურსია (ესპანეთი), ქაირათი (ყაზახეთი).**

ელიტ-რაუნდში მოხვედრილი დანარჩენი 12 გუნდი კი კალათებად აღარ დაყვეს, ასე რომ, ამათგან „იბერიას" მეტოქედ ნებისმიერი შეიძლება ერგოს: **„ლუპარენსე" (იტალია), „ჩრუდიმი" (ჩეხეთი), „შარლერუა" (ბელგია), „ბენფიკა" (პორტუგალია), „არაზი" (აზერბაიჯანი), „მარლენე" (ჰოლანდია), „ლვოვი" (უკრაინა), „ნიკარს რიგა" (ლატვია), „ათინა" (საბერძნეთი), „პუნტარი" (სლოვენია), „პოჟეგა-ჩანი" (ხორვატია).**

ელიტრაუნდი 14-22 ნოემბერს გაიმართება, ოთხი ჯგუფიდან ფინალურ რაუნდში მხოლოდ გამარჯვებულები გავლენ და მომავალი წლის აპრილში ჩემპიონს ეკატერინბურგში გამოავლენენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**საქართველოს ჩემპიონატი**

**მეორე ლიგა**

**დასავლეთი. VIII ტური**

| | |
|---|---|
| ჩიხურა-მარგვეთი | 2:1 |
| იმერეთი-გურია 2 | 2:1 |
| დინამო (ქთ)-ქთ ტორპედო | 2:1 |
| ტორპედო 2-სულორი | 4:0 |
| ბახმარო-სქური | 0:1 |
| საირმე-ჩხერიმელა | 1:2 |
| სამგურალი-ადელი | 0:3 |

*ბათუმი 2 ისვენებდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ადელი | 8 | 7 | 0 | 1 | 19-8 | 21 |
| 2. იმერეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 24-13 | 16 |
| 3. ჩიხურა 2 | 8 | 4 | 1 | 3 | 15-13 | 13 |
| 4. გურია 2 | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 |
| 5. ტორპედო 2 | 6 | 3 | 2 | 1 | 11-5 | 11 |
| 6. ბათუმი 2 | 6 | 3 | 1 | 2 | 8-6 | 10 |
| 7. ჩხერიმელა | 8 | 3 | 1 | 4 | 10-17 | 10 |
| 8. ბახმარო | 7 | 3 | 0 | 4 | 11-12 | 9 |
| 9. დინამო (ქ) | 8 | 3 | 0 | 5 | 8-14 | 9 |
| 10. სამგურალი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-11 | 9 |
| 11. სქური | 7 | 2 | 1 | 4 | 5-9 | 7 |
| 12. მარგვეთი | 7 | 1 | 4 | 2 | 8-8 | 7 |
| 13. სულორი | 8 | 1 | 3 | 4 | 10-18 | 6 |
| 14. ქ. ტორპედო | 7 | 1 | 3 | 3 | 10-15 | 6 |
| 15. საირმე | 7 | 1 | 2 | 4 | 10-13 | 5 |

**U 19. თბილისის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| სასკო-ვეფხვები | 3:1 |
| XXI საუკუნე-35 მეტეხი | 4:3 |
| იმედი-აკადემია | 3:1 |
| შევარდენი-ავაზა | 0:3 |
| ალაზანი-35-ე სკოლა 1 | 0:1 |
| ოლიმპიკი-ოლიმპი | გადაიდო |
| ივერია-მაუდი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ავაზა | 4 | 4 | 0 | 0 | 18-3 | 12 |
| 2. 35-ე სკოლა 1 | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 3. აკადემია 91 | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 4. ივერია/მაუდი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-2 | 9 |
| 5. სასკო | 4 | 3 | 0 | 1 | 12-8 | 9 |
| 6. აკადემია 92 | 4 | 2 | 0 | 2 | 9-7 | 6 |
| 7. 35-მეტეხი | 4 | 1 | 1 | 2 | 9-8 | 4 |
| 8. ვეფხვები | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 3 |
| 9. ალაზანი | 4 | 1 | 0 | 3 | 1-4 | 3 |
| 10. ოლიმპიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-9 | 3 |
| 11. იმედი | 4 | 1 | 0 | 3 | 6-12 | 3 |
| 12. XXI საუკუნე | 4 | 1 | 0 | 3 | 6-20 | 3 |
| 13. ოლიმპი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-9 | 1 |
| 14. შევარდენი | 4 | 0 | 0 | 4 | 4-10 | 0 |

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სფფ-ის თანამშრომელი, ვეტერანი ფეხბურთელი და მსაჯი

**იუზა კანდელაკი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი



ზურაბ ჯავახაძე

# სავარდო და საბურთაო...

## ქუთაისში ფეხბურთის 100 წლის იუბილეს აღნიშნავენ

ახლოვდება 100 წლის იუბილე იმ დღიდან, რაც ქუთაისში პირველი საფეხბურთო მატჩი გაიმართა. ამასთან დაკავშირებით, 21 ოქტომბრისთვის რამდენიმე საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი. ამის შესახებ ქუთაისის სპორტული მუზეუმის დამაარსებელმა და ღონისძიებათა ორგანიზატორმა ზურაბ ჯავახაძემ სპეციალურ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. ის გახლავთ ავტორი წიგნისა - „ქუთაისური ფეხბურთი 100 წლისაა", რომელშიც დეტალურად აქვს აღწერილი რიონისპირა ქალაქში ფეხბურთის დაარსებისა და მისი განვითარების ისტორია.

„1909 წლის 21 ოქტომბერს ქუთაისში პირველი საფეხბურთო მატჩი ჩატარდა, - ამბობს ჯავახაძე, - ერთმანეთს ქუთაისში სტუმრად მყოფი თბილისის I და II კლასიკური გიმნაზიების მოსწავლეები გაეჯიბრნენ. მალე, რიონისპირა ქალაქში ნამდვილი საფეხბურთო ბუმი დაიწყო. იქმნებოდა ეგრეთ წოდებული „ველური გუნდები", უბანი უბანს ეჯიბრებოდა, ქუჩა ქუჩას, ცოლიანები უცოლოებს და ასე შემდეგ. პირველი საფეხბურთო გუნდები 1911-1916 წლებში გამოჩნდა - „სპორტი", „თერგი", „ვეფხვი" და სხვა. 1925 წლისთვის კი ქუთაისში უკვე 20 საფეხბურთო გუნდი იყო. მალე ასპარეზზე გამოჩნდა ქუთაისის „დინამო", რომელიც წარმატებით ასპარეზობდა საქართველოს ჩემპიონატში. 1957 წელს კი შეიქმნა ახალი გუნდი - „ლოკომოტივი", რომელსაც ორი წლის შემდეგ ქუთაისის „ტორპედო" დაერქვა. სწორედ „ტორპედოსთანაა" დაკავშირებული ქუთაისური ფეხბურთის აღმავლობა. 1962 წელს ქუთათურებმა უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვეს. მართალია, „ტორპედოს" არასდროს უბრძოლია უმაღლესი მიზნებისთვის, მაგრამ იყო დრო, როცა სსრკ-ის ჩემპიონის ბედი სწორედ ქუთაისში წყდებოდა. ჩვენმა გუნდმა 1964 წელს მოსკოვის „ტორპედოს", 1965 წელს კი კიევის „დინამოს" დააკარგვინა ჩემპიონობა. ქუთაისის მდიდარ საფეხბურთო ტრადიციებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აქ აღიზარდნენ ისეთი ვარსკვლავები როგორებიც იყვნენ: რამაზ ურუშაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ჯემალ ხერხაძე, სერგო კუტივაძე, გივი და ლევან ნოდიები, თენგიზ სულაქველიძე, თამაზ კოსტავა, რამაზ შენგელია და სხვები. ქუთათურებმა ეროვნულ ჩემპიონატშიც დატოვეს წარუშლელი კვალი - სამჯერ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები და საქართველოს ნაკრებს არაერთი ფეხბურთელი მიაწოდეს. საბედნიეროდ, „ტორპედომ" კვლავ დაიწყო აღორძინება. პირველ ლიგაში 7 თამაშიდან 7 მოგება აქვს. ეს არ არის პატარა საქმე და იმედი მაქვს, მომავალ წელს „ტორპედო" უმაღლეს ლიგაში იქნება".

ახლა კი 21 ოქტომბერს გასამართავ ღონისძიებების შესახებ. ქუთაისური ფეხბურთის 100 წლის იუბილეზე „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელები არიან მიწვეულნი. სამწუხაროდ, მათ შორის მატჩი ვერ შედგება, რადგან ამ დღეს „ტორპედო 2008" დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშებაში „ზესტაფონს" მასპინძლობს და სტადიონი დაკავებულია. ამიტომ, სტუმრებს ჯერ სპორტის მუზეუმში უმასპინძლებენ, შემდეგ კი გალერეაში გაიხსნება გამოფენა - „ქუთაისური ფეხბურთი 100 წლისაა". ბოლოს კი თეატრში ვეტერანებთან შეხვედრა გაიმართება.

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

სტუმრები

# პარტნიორობა ფეხბურთისთვის

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „სამტრედიამ" ევროთასებზე ითამაშა, მაგრამ თავად ქალაქს ევროთასებისთვის არასდროს უმასპინძლია. გაუმართავი ინფრასტრუქტურის გამო, უეფამ **ტარიელ ჩაჩუას** დროინდელ გუნდს მაკედონიის „ვარდართან" მატჩი ბათუმში ჩაატარებინა.

მაგრამ არა მარტო სამტრედია, მთლიანობაში საქართველოც არ არის განებივრებული საერთაშორისო მატჩებით. ამიტომაცაა სასიამოვნო პრეცედენტი კიევის „ობოლონის" სტუმრობა და კარგი იქნება, თუ გეოგრაფიაც გაფართოვდება და გაცილებით მაღალი რანგის კლუბებიც გვეწვევიან...

გუშინ უკრაინელებმა „მერანის" სტადიონზე ივარჯიშეს, რის შემდეგაც პრესკონფერენცია გამართეს.

**ლაშა ქაშაკაშვილი**, „ჯორჯიან ალიანსის" (ლუდი „ობოლონის" ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში) დირექტორი: *„კიევური კლუბის საქართველოში ჩამოსვლის იდეა ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიბადა. სამტრედიაში სოციალურად დაუცველ ბავშვებსა და მოხუცებს დავეხმარებით, საჩუქრებს გადავცემთ".*

**იური მაქსიმოვი**: *„სიმართლე გითხრათ, „სამტრედიას" შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ ბოლო ორ ტურში ჯერ თბილისის „დინამოს" მოუგო, შემდეგ კი საქართველოს ჩემპიონთან ფრედ ითამაშა. თუმცა საქართველოზე ბევრი რამ ვიცი, ახლოს ვიცნობ კახა ცხადაძეს და, როგორც მახსოვს, ახალგაზრდულ ნაკრებშიც მუშაობდა. კარგად მახსოვს ყიფიანის, შენგელიას, ჩივაძის, სულაქველიძის თაობა. საქართველო საფეხბურთო და სტუმართმოყვარე ქვეყანა რომ არის ახლა კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. თქვენთან ბევრი ნიჭიერი ბავშვი იზრდება, თუმცა ეკონომიკური კრიზისის გამო, ფეხბურთს პრობლემები ექმნება. იმედია, ეს პერიოდი მალე გაივლის და ყველაფერი კარგად იქნება".*

**სერგეი კრავეცი**, სააქციო საზოგადოება „ობოლონის" საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დირექტორი: *„ამ მატჩის ჩატარება იმიტომ გადაწყდა, რომ საქართველოში ჩვენი პარტნიორები ფეხბურთის უდიდესი მოყვარულები არიან, საფეხბურთო კლუბ „სამტრედიას" პრეზიდენტთან მეგობრობენ და მსურს, მადლობა გადავუხადო მათ ამ იდეის ხორცშესხმისთვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველო ჩვენი მეგობარი ქვეყანაა. ბუნებრივია, ეს ჩვენი პროდუქციის პოპულარიზაციისთვისაც გვჭირდება. „ობოლონი" უნიკალურია იმით, რომ ლუდის მწარმოებელ კომპანიას საკუთარი კლუბი არასდროს ყოლია. საერთოდ, ჩვენი კომპანია ფეხბურთს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, დავაარსეთ საკუთარი საფეხბურთო სკოლა, სადაც ძალიან ბევრმა ცნობილმა მოთამაშემ დაიწყო კარიერა - ანდრეი შევჩენკომ, ვლადისლავ ვაშჩუკმა, ალექსანდრ შოვკოვსკიმ და ასე შემდეგ. სხვათა შორის, ჩვენთან შევჩენკოს დედა და მისი რამდენიმე ნათესავი მუშაობს. უკვე დავასრულეთ ძალიან კოხტა და კომფორტული სტადიონის მშენებლობა, რომელიც 5 ათას მაყურებელს დაიტევს. ინგლისში საგანგებოდ დავათვალიერეთ „ნიუკასლის" სტადიონი და მისი პატარა ასლი ავაშენეთ. საერთოდ, „ობოლონში" გამძაფრებულია სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. როცა უკრაინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდა, ჩვენი მისი გენერალური სპონსორები გავხდით".*

შემდეგ ჟურნალისტებმა კრავეცს ჰკითხეს, გაგრძელდება თუ არა ქართულ ფეხბურთთან ურთიერთობა, რაზეც პასუხი ასეთი იყო: *„ჩვენ გავიცანით საფეხბურთო სკოლა „შევარდენის" ხელმძღვანელობა და „ობოლონის" საერთაშორისო ტურნირზე მივიწვიეთ. ამ შეჯიბრებას ყოველწლიურად ვატარებთ. მათ ორი ნიჭიერი ფეხბურთელის გასინჯვაც შემოგვთავაზეს - ხაჭიპერაძისა და მამკოლდაშვილის. რატომაც არა? საინტერესო ფეხბურთელებზე უარს არ ვიტყვით".*

**ზაზა ადეიშვილი**, „სამტრედიას" პრეზიდენტი: *„ჩვენთვის ამ შეხვედრას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენს ქალაქს საფეხბურთო რუკაზე ყოველთვის ეკავა თავისი ადგილი თბილისთან, ქუთაისთან, ლანჩხუთთან, ფოთსა და ბათუმთან ერთად. სამწუხაროდ, ერთი ხანობა ჩვენთან ფეხბურთი ჩამკვდარი იყო, მაგრამ ბოლო ორი წელიწადია, ამოვისუნთქეთ და უმაღლეს ლიგაში დაბრუნებით, სამტრედიაში საფეხბურთო ბუმი დაიწყო. „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩების შემდეგ ხომ საერთოდ „გლადიატორებსაც" გვეძახიან... ვფიქრობ, ჩვენი კლუბების სამომავლო პარტნიორობაც შესაძლებელია - ერთობლივ შეკრებებსა თუ საკონტროლო მატჩებს წინ რა უნდა დაუდგეს? მით უფრო საინტერესოა ეს პარტნიორობა, რომ სამტრედია სავსეა ტალანტებით. სურვილის შემთხვევაში, სიამოვნებით ვითანამშრომლებთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# გაგრა ახალი ნიგერიელების მოლოდინში



გაგრას პრესატაშე მიხეილ აფხაზავა და ნიგერიელი სტუმარი კოლავოლე ადეგბულუგბე ჩარლზი

**„გაგრას" დუბლშემადგენლობისა და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თამაშს „მიხეილ მესხის" სტადიონზე ნიგერიელი სტუმარი ესწრებოდა. როგორც შევიტყვეთ, ეს გახლდათ კოლავოლე ადეგბულუგბე ჩარლზი, რომელიც „ბრაიტონის" საფეხბურთო აკადემიის პრეზიდენტია და „გაგრასთან" მჭიდრო კონტაქტები აქვს. დანარჩენს მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**- როგორ მოხდა თქვენი აკადემიისა და „გაგრას" დაკავშირება?**

- გამოვნახეთ საერთო ნაცნობები, რომლებმაც ერთმანეთი გაგვაცნეს. ორივე მხარემ მივიჩნიეთ, რომ ხანგრძლივი ურთიერთობა სასარგებლო იქნებოდა. გავაფორმეთ თანამშრომლობის მემორანდუმი. ჩვენი ერთობლივი მუშაობა დიდი ხანი არაა, რაც დაიწყო, მაგრამ უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ნაყოფიერად ვითანამშრომლებთ და ბევრ წარმატებას მივაღწევთ. შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს „გაგრას" პრეზიდენტ ბესო ჩიხრაძესთან და კლუბის თითოეულ თანამშრომელთან.

**- თქვენი აკადემიის შესახებ რას გვეტყვით?**

- „ბრაიტონი" 1998 წელს დავაარსეთ. ტალანტებს მთელ ნიგერიაში ვეძებთ, რაც საკმაოდ რთულია. დიდი ფინანსური შესაძლებლობები ნამდვილად არ გვაქვს და ამიტომ ჩვენს აკადემიაში არცთუ ბევრი ბავშვი ვარჯიშობს. ჩვენი აკადემიის წევრია ასევე 50-მდე მოზრდილი ფეხბურთელი. აქცენტს ბუნებრივია, ფეხბურთელების საზღვარგარეთ გაშვებაზე ვაკეთებთ.

**- „ბრაიტონს" ნიგერიის ეროვნული ან ახალგაზრდული ნაკრების წევრები ხომ არ აღუზრდია?**

- სულ თერთმეტი წელიწადია, ვარსებობთ და ამიტომ, ბევრს ვერ მოვასწრებდით. ამის მიუხედავად, სიამაყით შემიძლია აღვნიშნო, რომ „ბრაიტონის" რამდენიმე აღზრდილი სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში გამოდის. გვყავს ეროვნული ნაკრების კანდიდატებიც. მათ შორის იყო „გაგრას" თავდამსხმელი ოვონიკოკოც, რომელიც ალბათ უკვე მიხვდით, რომ საქართველოში ჩვენი ჩამოყვანილია. დღეს კი იგი ნიგერიის ნაკრების მწვრთნელთა ყურადღების მიღმაა, რადგან ძალიან ძნელია საქართველოს ჩემპიონატზე რაიმე სახის ინფორმაციის მოპოვება. არადა, როგორც „გაგრას" მწვრთნელებმა მითხრეს, აქაურობას კარგად შეეწყო და შესამჩნევად პროგრესირებს.

**- თქვენ არ აპირებთ „გაგრას" ოფიციალურ მატჩზე დასწრებას (ოვონიკოკოს 17-წლამდელებთან არ უთამაშია - ავტ.)?**

- ამის დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ ვასწრებ, თბილისიდან პარასკევს მივემგზავრები. არადა, ძალიან მაინტერესებდა, როგორია საქართველოს ჩემპიონატის დონე.

**- თქვენი ახლანდელი ვიზიტის მიზანი რა არის?**

- დეტალურად ვეცნობი „გაგრას" ინფრასტრუქტურას, ვაკვირდები გუნდის საწვრთნელ პროცესს, კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად სამომავლო თანამშრომლობის დეტალებს განვიხილავ. ზოგადად ამის თქმა შემიძლია, ზოგიერთი დეტალი კი კონფიდენციალურია...

**- ალბათ, ახალი ფეხბურთელების ჩამოყვანასაც გეგმავთ?**

- რა თქმა უნდა, ეს ჩვენი ურთიერთობის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. ზაფხულში რამდენიმე ფეხბურთელი მყავდა სინჯებზე ჩამოყვანილი, რომელთაგანაც „გაგრას" მწვრთნელებმა მხოლოდ ოვონიკოკო დაიტოვეს. უახლოეს პერიოდში „გაგრაში" კიდევ რამდენიმე ნიგერიელი ფეხბურთელი გაისინჯება. წესით, ახლავე უნდა ჩამოსულიყო თავდამსხმელი ნაჯემი, მაგრამ იგი ნიგერიის 19-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს. ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და „გაგრაში" მოხვედრის შანსი აუცილებლად მიეცემა.

**- საქართველოს გარდა, რომელ ქვეყნებში მიდიან თქვენი ფეხბურთელები?**

- აფრიკულ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს, ევროპიდან კი ჯერჯერობით, მხოლოდ საქართველოსთან გვაქვს საქმიანი კონტაქტები.

**- ქართულ ფეხბურთზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

- სიმართლე გითხრათ, ბევრს არაფერს. საქართველოს ჩემპიონატზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, საქართველოს ნაკრების შედეგებს კი ინტერნეტით ვეცნობი. კარგად მახსოვს, 1994 წელს ნიგერიის ეროვნულმა ნაკრებმა საქართველოს 5:1 რომ მოუგო. მას შემდეგ ჩემს ქვეყანაში ფეხბურთი წინ მიდის, ვთამაშობთ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე, მოვიგეთ ოლიმპიადა და აფრიკის თასი. თქვენ კი მგონი, ბევრს ვერაფერს მიაღწიეთ. მაგრამ არა უშავს, ქართულ ფეხბურთს უდავოდ აქვს პოტენციალი და სწორი მუშაობა შედეგს აუცილებლად მოგიტანთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფელეტონი

# ძირს! საზღვარგარეთელები

Yოჩაღ, ძმაო, რუსეთი! რასაც ეხება, ყველაფერი ჭკვიანურად და სასიკეთოდ გამოსდის. აი, მაგალითად, თქვა თუ არა, აფხაზეთი დამოუკიდებელიაო, იმ წუთას აყვავდა აფხაზური ფეხბურთი. თვალის დახამხამება ვერ მოვასწარით, მსოფლიო დონის ვარსკვლავი გამოჩნდა - დროგბა! აბა, სანამ ქართველებთან ერთად იყვნენ, ჰყავდათ მაგის ბადალი ვინმე? არავინ.

რა, დროგბების გვარი არ გაგიგონიათ? ეგენი ხომ ძირძველი აფხაზები არიან, მეზობლური ერიდან გულრიფშში ცხოვრობენ, თუ საჭიროა - კიდევ უფრო ადრიდანაც. მაგრამ, მოდი, აფხაზებს დავანებოთ თავი, ჩვენი ამბავი ვთქვათ, ქართველების...

ნიჭიერი ხალხი რომ ვართ და ამდენი წელიწადია „ლიგა ჩემპიონოვში" გუნდი ვერ შეგვიყვანია, ვისი ბრალია ეს? - ვისი და მასონების. ნუ, მასონების როგორ ახლა, საზღვარგარეთელების - ეგ ხო ერთი და იგივეა. დაგიმტკიცოთ? პაჟალსტა: საზღვარგარეთელები ხომ საზღვარგარეთულად ლაპარაკობენ და რომ მოგვყავს ეს გერმანელი და არგენტინელი მწვრთნელები, ჩვენს ბიჭებთან გამონახავენ საერთო ენას? ვერა. ჰოდა, მეც სწორედ მაგას ვამბობ - ვერა! კანია და ვალია. ვერასთვის და ვალიასთვის არ უნდა დაგვენებებინა თავი. იქ მივქარეთ. ეს ფიქრი და ოხვრაც თავიდან რითი დავიწყე, დაგავიწყდათ? - რუსებით. ისინი ყველაფერს ჭკვიანურად აკეთებენ-მეთქი, ტყუილად კი არა ვთქვი. ბოლოს და ბოლოს, ენა მაინც ვიცოდეთ მაგათი. ეხლა ისიც აღარ ვიცით. და საერთოდ, აღარაფერი არ ვიცით.

აბა, მითხარით, როდის გაკეთდა ბოლო ფინტი საქართველოში. 2009-ში? 2008-ში? იქნებ, 2003-ში?... უიმე, დედა! არა, 2003-ის მერე უფრო კეთდება, რაც მართალია, მართალია. მაგრამ მანამდე?! მანამდე-მეთქი?! ტყუილად ტვინს ნუ იჭყლეტთ, ვერ გაიხსენებთ. ბოლო ფინტი საქართველოში „საიუზის" ბოლო ჩემპიონატის ბოლო ტურის წინადღეს, „მუშტაეთში" მაზიანზე თამაშის დროს გაკეთდა. აი, დიდი გუნდების შეხვედრა კი აღარ შედგა, „ნიტო" მიტინგი იყო, „ნიტო" ტრეფიკინგი. თუმცა არა, ტრეფიკინგი და ეგეთები უფრო მერე იყო, ფეხბურთის თამაში საერთოდ რომ დაგვავიწყდა, მაგრამ ჯერ რომ ვერ ვხვდებოდით, დავიწყებული რომ გვქონდა. აი, დღეს კიდევ, როდესაც თამაშიც დაგვავიწყდა და ძალიან კარგადაც ვხვდებით, რომ დაგვავიწყდა, აღარც მიტინგია და მგონი აღარც ტრეფიკინგი... დღეს მხოლოდ რინგია: გამოდის საზღვარგარეთულად მოლაპარაკე საზღვარგარეთელების გუნდი და გვირტყამს და გვირტყამს, რა ანგარიშითაც უნდა.

მაგრამ ადამიანი ოპტიმისტია, ოხერი. „ჩუნ ჩტო" და ეგრევე იმედი ესახება. აი, გამოვცვალეთ თუ არა პრეზიდენტი (ფეხბურთის ფედერაციის), იმწუთას იმაზე დავიწყეთ ფიქრი, დღეს რა ანგარიშით მოვიგებთ: 1:0-ს თუ 2:0-ს. გვეუბნებიან, გამარჯვება ეგრე იოლად არ მოდის, გამარჯვება ლომთა ხვედრიაო („ვსმისლე", ჯერ ინფრასტრუქტურაა მოსაწყობი) მაგრამ ჩვენ მაინც ვდგავართ და ველით. უსაზღვროა ჩვენი მოლოდინი. თან, ვიცით, რომ მწვრთნელად ჯერ კიდევ საზღვარგარეთელი გვყავს, მაგათი გაკეთებული საქმე კი ქვეყნად არავის უნახავს (ფაქტებით ვილაპარაკოთ, თუ გინდათ), მაგრამ მაინც...

ეჰ, თქვენ იყავით, შვილო, კარგად და მე, ჩემდა თავად, რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდები ერთ რამეში: სანამ ისევ რუსები არ დაგვიპყრობენ, მანამდე არაფერი გვეშველება. აი, რომ დაგვიპყრობენ, მერე ნახავთ, როგორ განვითარდება ფეხბურთი რიონის, მტკვრის და ივრის პირას. იორი, იორი, აღებაიორი! თითქმის, იორმულანლო, რა.

თქვა აუტის ხაზთან მდგომმა ფერდინანდე კუთხურსკიმ და სევდიანი ჩამოჯდა ფიქრთ გასართველად. ამასობაში მას მზაკვრულად წამოეპარა

**ილია ბაბუნაშვილი,**

რომელმაც ფიქრები მოჰპარა და რედაქციაში გააქანა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამხრეთ აფრიკა 2010. შესარჩევი მატჩების წინ. ევროპა

# ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს!

## მთავარი მატჩი მოსკოვში, პორტუგალია და თურქეთი ძრწიან, ინგლისმა უკრაინასთან ვაჟკაცურად უნდა იბრძოლოს და ხორვატიას თავი არ უნდა გაუყადროს

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი მთავრდება და შესაბამისად, დღეს და ოთხშაბათს ძალიან ბევრ გუნდს სერიოზული, გადამწყვეტი მატჩები ელის. ყურადღების ცენტრშია რუსეთისა და გერმანიის ნაკრები გუნდების დაპირისპირება მოსკოვში - მათ ერთმანეთში უნდა გაარკვიონ, ვინ დაიკავებს პირველ ადგილს და ვინ გავა პლეი ოფში. პორტუგალია შიშისგან ძრწის - კრისტიანო რონალდო და კომპანია უნგრელებს მასპინძლობენ და პარალელურად, კოპენჰაგენისკენ ექნებათ მზერა მიმართული, სადაც ლიდერი დანია მეორეადგილოსან შვედეთს ხვდება. შვეიცარიამ, წესით, დღეს მუნდიალის საგზური უნდა გაინაღდოს, იგივე ევალება სერბეთის ნაკრებსაც. სლოვაკეთის ნაკრებს არსებობის ისტორიაში პირველად შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება. არცთუ ურიგო შანსი აქვს ბოსნიასაც...



მთავარი მატჩი მოსკოვშია: გუუს ჰიდინკის რუსეთი იოახიმ ლიოვის გერმანიის წინააღმდეგ

### I ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| დანია-შვედეთი | 23:00 |
| პორტუგალია-უნგრეთი | 23:45 |

პირველი ჯგუფის გული კოპენჰაგენში ძგერს, სადაც დანიის ნაკრები (18 ქულა), მეორე ადგილზე მყოფ შვედეთს (15 ქულა) მასპინძლობს. არანაკლებ დამაინტრიგებელია პორტუგალიისა და უნგრეთის ჯახი - მათ 13-13 ქულა აქვთ. მოკლედ, დღეს ჯგუფის მოწინავე ოთხეულს ერთმანეთში აქვს დუელები. ამათგან, საუკეთესო მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, დანიაა. საკმარისია, დანიელებმა შვედები დაამარცხონ, რომ სამხრეთ აფრიკის ბილეთების შეკვეთა შეეძლებათ. თუმცა აღსანიშნავია, რომ შვედებს კოპენჰაგენში 1994 წლის შემდეგ აღარ წაუგიათ. *„მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ, სხვა შედეგი არ დაგვაკმაყოფილებს,"* - ეს დანიელთა საყრდენი ნახევარმცველის, **კრისტიან პოულსენის** სიტყვებია.

შვედების უმთავრესი იმედი, რა თქმა უნდა, „ბარსელონას" ვარსკვლავი **ზლატან იბრაჰიმოვიჩია**, რომელიც შვედეთის ნაკრებში, როგორც წესი, მთლად კარგად არ გამოიყურება ხოლმე. დიდი შანსია, რომ მის მხარდამხარ უბერებელმა **ჰენრიკ ლარსონმა** ისპაროზოს. თუკი დანიელებს გარკვეულწილად ფრეც აწყობთ, შვედებმა ეს თამაში აუცილებლად უნდა მოიგონ, რადგან მდევარმა პორტუგალიამ ბოლო ორ მატჩში 6 ქულა დაგეგმა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ პორტუგალიელებს პრობლემა შეექმნათ, რადგან ორივე მატჩს საკუთარ მოედანზე ატარებენ - დღეს უნგრეთს მასპინძლობენ, ოთხშაბათს კი მალტას. უნგრეთთან **კრისტიანო რონალდოს** თამაში გუშინ საღამომდე კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. აი, **პეპე** კი ნამდვილად ვერ ითამაშებს, რადგან დისკვალიფიცირებულია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 8 | 5 | 3 | 0 | 15-4 | 18 |
| 2. შვედეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 9-3 | 15 |
| 3. პორტუგალია | 8 | 3 | 4 | 1 | 10-5 | 13 |
| 4. უნგრეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-5 | 13 |
| 5. ალბანეთი | 9 | 1 | 4 | 4 | 5-9 | 7 |
| 6. მალტა | 9 | 0 | 1 | 8 | 0-22 | 1 |

**ბოლო ტური**

**14 ოქტომბერი**

პორტუგალია-მალტა
შვედეთი-ალბანეთი
დანია-უნგრეთი

### II ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| ლუქსემბურგი-შვეიცარია | 19:45 |
| საბერძნეთი-ლატვია | 22:30 |
| ისრაელი-მოლდოვა | 23:00 |

შვეიცარიის ნაკრებს ლუქსემბურგში გამარჯვების შემთხვევაში, მუნდიალის საგზურის განაღდებაც შეუძლია და თუ ვერ გაინაღდა, ამისკენ მნიშვნელოვან ნაბიჯს მაინც გადადგამს და მუნდიალის ფინალურ ეტაპზე ადგილის ოფიციალურად დაჯავშნას ოთხშაბათამდე გადადებს. შვეიცარია და ლუქსემბურგი - გახსოვთ პირველი წრის მატჩი? როგორ შეიძლება, არ გახსოვდეთ: პირველ წრეში, ლუქსემბურგელებმა შვეიცარიაში სენსაციური გამარჯვება იზეიმეს: 2:1. მოკლედ, **ოტმარ ჰიტცფელდის** შეგირდებმა ჯავრი უნდა იყარონ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ შვეიცარიელი ფორვარდები **ფრაი, ნ'კუფო** და **დერდიოკი** ბოლო დროს ძალიან შედეგიანები არიან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლუქსემბურგელთა კარის ბადე დღეს რამდენჯერმე შეირხევა.

მოკლედ, თუ შვეიცარიამ იმდენი შეძლო, რომ აღარ წაიფორხილა (ოთხშაბათს ისრაელს მასპინძლობს), ასეთ შემთხვევაში საბერძნეთის ნაკრებს სავარაუდოდ მეორე ადგილით და პლეი ოფით მოუწევს დაკმაყოფილება. ბერძნებმა მუნდიალზე მხოლოდ ერთხელ ითამაშეს - 1994 წელს. დღეს **ოტო რეჰაგელის** გუნდი უშუალო კონკურენტ ლატვიას მასპინძლობს. ბალტიისპირელებსაც 14 ქულა აქვთ და მესამე ადგილზე არიან. ასე რომ, ლატვიასაც შეუძლია საგზურისთვის ბრძოლა, მაგრამ ამისათვის საჭიროა, ლატვიელებმა საბერძნეთში მოიგონ ან ფრეს მიაღწიონ და სასწაულის იმედი ჰქონდეთ. რეჰაგელმა ნაკრებში უკლებლივ მყოფი **სეიტარიდისი** გამოიძახა, რის გამოც ბერძენი ჟურნალისტებისგან თავს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 8 | 5 | 2 | 1 | 15-8 | 17 |
| 2. საბერძნეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-7 | 14 |
| 3. ლატვია | 8 | 4 | 2 | 2 | 13-8 | 14 |
| 4. ისრაელი | 8 | 3 | 3 | 2 | 17-9 | 12 |
| 5. ლუქსემბურგი | 8 | 1 | 2 | 5 | 3-20 | 5 |
| 6. მოლდოვა | 8 | 0 | 3 | 5 | 3-12 | 3 |

**ბოლო ტური**

**14 ოქტომბერი**

საბერძნეთი-ლუქსემბურგი
ლატვია-მოლდოვა
შვეიცარია-ისრაელი

### III ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-პოლონეთი | 22:30 |
| სლოვაკეთი-სლოვენია | 22:30 |

სლოვაკეთის ნაკრები ძალიან ახლოსაა იმასთან, რომ არსებობის ისტორიაში პირველად ითამაშოს მსოფლიოს ჩემპიონატზე, რაც ამ გუნდისთვის სენსაციური მიღწევა იქნება. სლოვაკეთი პირველ ადგილზეა და ხუთი ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ სლოვენიას. ისინი დღეს ერთმანეთს ხვდებიან - თანაც, ბრატისლავაში. მიუხედავად იმისა, რომ სლოვაკებს **ჰოლოშკო** და ტოპ-თავდამსხმელი **შესტაკი** გამოაკლდათ, დღევანდელ მატჩს მაინც ოპტიმისტურად ხვდებიან. სლოვენიელთა უმთავრესი პლუსი კი ძლიერი დაცვაა - მათ მხოლოდ 4 გოლი აქვთ გაშვებული. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სლოვენიელებს ფრეც ეყოფათ იმისათვის, რომ მშვიდად იყვნენ, რადგან ოთხშაბათს სან მარინოს ხვდებიან და მეორე ადგილის დაკარგვის საფრთხე ფაქტობრივად არ ემუქრებათ.

ძალიან მცირე, მაგრამ თეორიული შანსი აქვს ჩრდილოეთ ირლანდიას. მაგრამ ამ გუნდის პრობლემა ის არის, რომ მხოლოდ ერთი მატჩიღა დარჩა ჩასატარებელი და ისიც ჩეხეთში. სხვათა შორის, მეორე ადგილზე გასვლის იმედი ჩეხებსაც აქვთ. თანაც, **მილან ბაროში** ძალიან კარგ ფორმაშია, **ტომაშ როსიცკი** კი ლაზარეთიდან დაბრუნდა. მოკლედ, ჩეხებმა ორივე მატჩი უნდა მოიგონ და თან იმის იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ სლოვენია სლოვაკეთში წააგებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლოვაკეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 21-8 | 19 |
| 2. სლოვენია | 8 | 4 | 2 | 2 | 13-4 | 14 |
| 3. ჩრ. ირლანდია | 9 | 4 | 2 | 3 | 13-9 | 14 |
| 4. ჩეხეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 15-6 | 12 |
| 5. პოლონეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 19-10 | 11 |
| 6. სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 1-44 | 0 |

**ბოლო ტური**

**14 ოქტომბერი**

სან მარინო-სლოვენია
ჩეხეთი-ჩრ. ირლანდია
პოლონეთი-სლოვაკეთი

### IV ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| ფინეთი-უელსი | 18:00 |
| რუსეთი-გერმანია | 19:00 |
| ლიხტენშტაინი-აზერბაიჯანი | 22:00 |

ცნობილია ის, რომ გერმანია და რუსეთი პირველ ან მეორე ადგილებს უკვე არავის დაუთმობენ, მაგრამ მთავარი გასარკვევია: ვინ დაიკავებს პირველ ადგილს და შესაბამისად, ვინ მოიპოვებს მუნდიალის საგზურს პირდაპირ? ყველაზე საინტერესო კი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ გერმანია (22 ქულა) და რუსეთი (21 ქულა) დღეს ერთმანეთს ხვდებიან - მოსკოვში, ხელოვნურსაფარიან „ლუჟნიკებზე". საკმარისია, **გუუს ჰიდინკის** გუნდმა **იოახიმ ლიოვის** სამწყსო დაამარცხოს (რაც ამ გუნდს ნამდვილად ხელეწიფება), რომ გერმანელები ლიდერობას დაკარგავენ და ფაქტია ისიც, რომ თუ ასე მოხდა, პირველ ადგილს ველარ დაიბრუნებენ, რადგან ბოლო ტურში რუსეთი აზერბაიჯანს სტუმრობს და წარმოუდგენელია, ვერ მოუგოს.

რუსეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლებში საკუთარ მოედანზე არასდროს (!) წაუგია, გერმანიას კი სტუმრად. მას ფრეც აწყობს იმისათვის, რომ მშვიდად იყოს, რადგან ლიოვის ბიჭები ასე პირველ ადგილს შეინარჩუნებენ და ბოლო ტურში (ალბათ) მშვიდად მოუგებენ ფინეთს. მოსკოვში უდიდესი ეიფორიაა, გერმანიაში კი ძალიან ფრთხილობენ, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ჰიდინკი ის მწვრთნელია, რომელსაც ნებისმიერი გრანდის გამწარება შეუძლია, მით უმეტეს რუსეთის ნაკრებით, რომელიც, უნდა ვაღიაროთ, გუუსის ხელში, ძალიან ძლიერი გუნდია. რაც მთავარია; ჰიდინკს **ანდრეი არშავინი** ჰყავს მწყობრში. ვინ შეუტევს გერმანიის კარს „არსენალის" ფორვარდთან ერთად, ეს ჯერ კიდევ უცნობია.

გერმანიას კი თავდასხმაში ძალიან უჭირს, რადგან **გომესი, კლოზე, კაკაუ** და **პოდოლსკი** ძალიან ცუდ ფორმაში არიან. დღესდღეობით ყველაზე შედეგიანი და საუკეთესო ფორმაში მყოფი გერმანელი თავდამსხმელი **შტეფან კისლინგი** კი, იოგიმ რატომღაც ისევ განაცხადს მიღმა დატოვა. მიუხედავად ამისა, ლიოვი არ ნერვიულობს და ამბობს, ვიცი, რაც შეუძლიათ ჩემს ფორვარდებს და მე მათ ვენდობიო. ძირითად შემადგენლობაში ის სავარაუდოდ კლოზე-გომესის წყვილს გაამწესებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 7 | 1 | 0 | 24-4 | 22 |
| 2. რუსეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 18-4 | 21 |
| 3. ფინეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-12 | 14 |
| 4. უელსი | 8 | 3 | 0 | 5 | 6-10 | 9 |
| 5. ლიხტენშტაინი | 8 | 0 | 2 | 6 | 2-19 | 2 |
| 6. აზერბაიჯანი | 8 | 0 | 1 | 7 | 1-13 | 1 |

**ბოლო ტური**

**14 ოქტომბერი**

ლიხტენშტაინი-უელსი
გერმანია-ფინეთი
აზერბაიჯანი-რუსეთი

### V ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| ესტონეთი-ბოსნია | 20:00 |
| სომხეთი-ესპანეთი | 20:00 |
| ბელგია-თურქეთი | 22:45 |

ამ ტურამდე, ევროპიდან მუნდიალის საგზური სამ გუნდს აქვს განაღდებული და ერთ-ერთი მათგანი კონტინენტის ჩემპიონი ესპანეთის ნაკრებია, რომელმაც რვიდან რვავე თამაში მოიგო. ასე რომ, დღეს ესპანელებს შეუძლიათ, პუბლიკაზე ითამაშონ (ისედაც არ აკლებენ ხოლმე, მაგრამ მაინც) და მაქსიმალურად ისიამოვნონ ანაც დაისვენონ, რადგან ესპანეთის მეტოქე დღეს სომხეთის ნაკრებია. იოლი წარმოსადგენია, რა ხდება ერევანში!

მეორე ადგილისთვის კი ბოსნია და თურქეთი იბრძვიან და აშკარა უპირატესობა ბოსნიელთა მხარესაა, რადგან ისინი თურქებს 4 ქულით უსწრებენ და ასე ვთქვათ, მატჩ-პოინტი აქვთ. მოკლედ, თუ დღეს **ედინ ჯეკოს, ზვიეზდან მისიმოვიჩისა** და **ვედად იბიშევიჩის** გუნდი სტუმრად ესტონეთს დაამარცხებს, ბოსნია მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს! დიდხანს ვიფიქრეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ ვერც ერთი მიზეზი, რის გამოც ბოსნიის ნაკრებმა უნდა წაიფორხილოს. ჯეკოს და კომპანიას გასვლით შეხვედრებში ოთხმატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ და ბოლო გასვლითი თამაში სულაც 7:0 მოიგეს.

მიუხედავად ამისა, თურქები (მესამე ადგილი, ბოსნიასთან ოთხქულიანი ჩამორჩენა) იმედს მაინც არ კარგავენ და დღეს ბელგიიდან აპირებენ სამი ქულის წაღებას. მაგრამ თითქმის წარმოუდგენელია, რომ თურქეთის ნაკრებმა მუნდიალის საგზურის მოპოვება შეძლოს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 8 | 8 | 0 | 0 | 21-2 | 24 |
| 2. ბოსნია | 8 | 5 | 1 | 2 | 21-8 | 16 |
| 3. თურქეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 11-8 | 12 |
| 4. ბელგია | 8 | 2 | 1 | 5 | 11-18 | 7 |
| 5. ესტონეთი | 8 | 1 | 2 | 5 | 7-22 | 5 |
| 6. სომხეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 5-18 | 4 |

**ბოლო ტური**

**14 ოქტომბერი**

ბოსნია-ესპანეთი
ესტონეთი-ბელგია
თურქეთი-სომხეთი

### VI ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| ბელარუსი-ყაზახეთი | 19:00 |
| უკრაინა-ინგლისი | 20:15 |

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ხორვატიის ნაკრებმა დღეს საცოდავად უნდა უყუროს იმას, თუ როგორ გადაინაცვლებს უკრაინის ეროვნული გუნდი მეორე ადგილზე. საქმე ი სარის, რომ უკრაინელები მასპინძლობენ ინგლისს, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში უკვე განაღდებული აქვს. სხვა დროს **ფაბიო კაპელოს** გუნდზე ვერ ვივარაუდებდით, არ იბრძოლებს-თქო, რადგან ინგლისელები ყოველთვის ვაჟკაცურად თამაშობენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ასეთი სცენარის დაშვების უფლება ნამდვილად გვაქვს, რადგან ინგლისმა კიევში ვაჟკაცურად რომ იბრძოლოს, მოიგებს და ამით ხორვატიას დაეხმარება - გუნდს, რომელმაც ინგლისი არ შეიბრალა 2008 წელს, როცა ის თამაში არაფერში სჭირდებოდა, მაინც ევროპის ჩემპიონატს მიღმა დატოვა. ასე რომ, ინგლისი ხორვატიაზე სავარაუდოდ სრულფასოვნად იძიებს შურს.

მართალია, **უეინ რუნი** ამბობს, სერიის გაგრძელება გვინდა და გვსურს, რომ ტურნირის ბოლოს მხოლოდ მოგებები გვქონდესო, მაგრამ ფაქტია, რომ ის და მისი თანაგუნდელები კიევში მაინცდამაინც მოტივირებულები არ იქნებიან. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩს ინგლისელი ქომაგები ტელევიზორში არ ნახავენ, რადგან ირლანდიული ტელეკომპანია „სეტანტა", რომელსაც ეს თამაში უნდა ეჩვენებინა, გაკოტრდა. სხვა ტელევიზიებისთვის კი უკრაინა-ინგლისის ტრანსლაცია ძალიან ძვირი აღმოჩნდა (?!). ან იქნებ, არ სურთ, რომ ინგლისში ნახონ, როგორ „დაუწვებიან" კაპელოს შეგირდები უკრაინელებს? ამ მოსაზრებას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს. სხვა მხრივ, ინგლისში მატჩის რეპორტაჟი მხოლოდ ინტერნეტით და რამდენიმე კინოთეატრში გადაიცემა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 8 | 8 | 0 | 0 | 31-5 | 24 |
| 2. ხორვატია | 9 | 5 | 2 | 2 | 17-12 | 17 |
| 3. უკრაინა | 8 | 4 | 3 | 1 | 14-6 | 15 |
| 4. ბელარუსი | 8 | 3 | 1 | 4 | 15-11 | 10 |
| 5. ყაზახეთი | 8 | 2 | 0 | 6 | 10-23 | 6 |
| 6. ანდორა | 9 | 0 | 0 | 9 | 3-33 | 0 |

**ბოლო ტური**

**14 ოქტომბერი**

ანდორა-უკრაინა
ინგლისი-ბელარუსი
ყაზახეთი-ხორვატია

### VII ჯგუფი

**დღეს**

| | |
|---|---|
| ავსტრია-ლიტვა | 22:30 |
| სერბეთი-რუმინეთი | 22:30 |
| საფრანგეთი-ფარერები | 23:00 |

სერბეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისკენ მარშირებულ სვლას განაგრძობს და სავსებით სამართლიანადაც, რადგან **რადომირ ანტიჩი** სერბეთის პირველ გუნდს ძალიან თვალსასეირო, შემტევ და აგრესიულ ფეხბურთს ათამაშებს. დღეს ანტიჩის შეგირდები რუმინეთს მასპინძლობენ და სამი ქულის მოპოვება, წესით, არ უნდა გაუჭირდეთ. თუმცა სერბებს მოედანს მიღმა ემუქრებათ პრობლემები, რადგან ფიფა სერბეთის ფეხბურთის ფედერაციას მკაცრად დაემუქრა, - თუ ტრიბუნებიდან ფანების აგრესიას ისევ ექნება ადგილი, ძალიან მაგრად დაგსჯითო.

ბევრი ინვალა თუ ცოტა, საფრანგეთის ნაკრებმა მეორე ადგილი ფაქტობრივად გაინაღდა. ოფიციალურად არ გაუნაღდებია, მაგრამ რომელი გაბედავს და იტყვის, რომ **რაიმონ დომენეკის** გუნდი საკუთარ მოედანზე ფარერებს ვერ მოუგებს? და რომც მოხდეს სასწაული და ვერ მოუგოს (ფრანგებისგან არაფერია გამორიცხული), მაინც არ შეექმნება პრობლემა, რადგან ბოლო ტურში კონკურენტ(!) ავსტრიას მასპინძლობს და იმ თამაშს ხომ მაინც მოიგებს. მოკლედ, ასე იქნება თუ ისე, ფრანგებს მაინც არაფერი უჭირთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 16-6 | 19 |
| 2. საფრანგეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 10-8 | 15 |
| 3. ავსტრია | 8 | 3 | 2 | 3 | 11-11 | 11 |
| 4. ლიტვა | 8 | 3 | 0 | 5 | 7-8 | 9 |
| 5. რუმინეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 9-12 | 9 |
| 6. ფარერები | 8 | 1 | 1 | 6 | 4-12 | 4 |

**ბოლო ტური**

**14 ოქტომბერი**

საფრანგეთი-ავსტრია
რუმინეთი-ფარერები
ლიტვა-სერბეთი

გოტფრიდ **ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთი აფრიკა 2010.

შესარჩევი მატჩების წინ. სამხრეთი ამერიკა

# დიეგო მარადონა: ღმერთი გასაჭირში არ დამტოვებს

| დღეს | |
|---|---|
| არგენტინა-პერუ | 02:00 |
| კოლუმბია-ჩილე | 02:00 |
| ეკვადორი-ურუგვაი | 02:00 |
| ვენესუელა-პარაგვაი | 02:00 |
| **ხვალ** | |
| ბოლივია-ბრაზილია | 00:00 |

დღეს სამხრეთი ამერიკის კონტინენტზე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის ბოლოსწინა ტურის მატჩები გაიმართება. ბრაზილიის და პარაგვაის ნაკრებებს გარანტირებული აქვთ სამხრეთი აფრიკის საგზური, ბრძოლა დანარჩენი ორი საგზურისთვის მიდის. ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში კვლავ **დიეგო არმანდო მარადონა** და მისი გაწვრთნილი არგენტინის ნაკრები მოხვდება, რომელიც 5 ქულით ჩამორჩება მე-3 ადგილზე მყოფ ჩილეს და ქულით - მეოთხეადგილოსან ეკვადორს. არგენტინის ნაკრები აუტსაიდერ პერუს მასპინძლობს, კიდევ ერთი წაფორხილება კი შეიძლება ძალზე ძვირად დაუჯდეს მარადონას.

48 წლის მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი ადრინდელი სიტყვები ცუდად გაიგეს: *„წასვლას და ბრძოლის მიტოვებას არ ვაპირებ. არ მითქვამს, რომ გადავდგები. მხოლოდ ის ალვნიშნე, რომ საკვალიფიკაციო ეტაპის დასრულების შემდეგ ხულიო გრონდონას შევხვდები და ყველა პრობლემაზე დაველაპარაკები, რაც წლის განმავლობაში შემექმნა. როცა მართლა წავალ, პირველი მე განვაცხადებ. პრესას ვთხოვ, ცოტა პატივისცემა იქონიოს ჩემ მიმართ. მე შემეძლო გამებოლებინა სიგარა და დამესვენა, მაგრამ ახლა თქვენ გელაპარაკებით, რადგან ეს ჩემი სამუშაოა და მე პატივს გცემთ თქვენ. ძალიან კარგი იქნება, თუკი საპასუხოდაც იმავეს მივიღებ"*, - განაცხადა გაბრაზებულმა დიეგომ.

არგენტინის ნაკრებმა „ესეისას" მოედანზე მორიგი ვარჯიში გამართა. თამაშამდე 48 საათით ადრე დიეგომ უკვე გადაწყვიტა როგორ 11-ეულს დაასახელებს, თუმცა, რა თქმა უნდა, ცვლილება ბოლო წუთებშიც შეიძლება მოხდეს. მარადონამ კიდევ ერთხელ გაგვაკვირვა! დიეგო არ აპირებს ძირითადში **კარლოს ტევესის** და **სერხიო აგუეროს** დაყენებას. შემტევ სამეულს კი **პაბლო აიმარი, ლეო მესი და გონსალო იგუაინი** შეადგენს. დიახ, არ მოგესმათ - დებიუტანტ იგუაინს ეგრევე ცენტრფორვარდობას ანდობენ. კიდევ ერთი დებიუტანტი **ემილიანო ინსუა** კი მარცხენა ფლანგს ჩაიბარებს. ალარაფერს ვამბობთ, რომ ვეტერან **როლანდო სკიავიზე**, რომელიც უკვე მარადონასეული ფორმაციის შეუცვლელ წევრად იქცა. ტრავმირებულ **პაბლო საბალეტას** დაცვის მარჯვენა ფლანგზე **ენსო ნიკოლას პერესი** შეცვლის, რომელსაც დებიუტი სექტემბრის ბოლოს განასთან ამხანაგურ მატჩში ჰქონდა.

მაშ ასე, 11 თვე პოსტზე, 78 მიწვეული ფეხბურთელი, 16 გამართული მატჩი და სულ რაღაც 20 გატანილი გოლი (მესის, ტევესის და აგუეროს პატრონი გუნდი!). რის იმედზეა დიეგო? *„ძალიან ბევრჯერ უშველია ღმერთს ჩემთვის და არც ახლა დამტოვებს გასაჭირში"*, - ეს არგენტინელთა თავკაცის სიტყვებია.

### სავარაუდო შემადგენლობები

**არგენტინა (4-3-3):** *რომერო - პერესი, სკიავი, ჰაინცე, ინსუა - გუტიერესი, მასკერანო, დი მარია - აიმარი, მესი, იგუაინი.*

**პერუ (4-5-1):** *ბუტრონი - პრადო, სამბრანო, როდრიგესი, ვილჩესი - სოლანო, ტორესი, ბალონი, ვარგასი, პალასიოსი (ან სანჩესი) - ფანო.*

თუკი არგენტინას უჭირს, უმეტესად მწვრთნელის „წყალობით", სწორედ არგენტინელი მწვრთნელის, **მარსელო ბიელსას** წყალობით ჩილეს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრასთან ერთ ნაბიჯზეა. თუკი ჩილე სტუმრად კოლუმბიას დაამარცხებს, ბიელსას გუნდი სამხრეთ აფრიკაშია. ბიელსა 2004 წელს გაათავისუფლეს არგენტინის ნაკრების მწვრთნელობიდან, მან 2007-ში ჩაიბარა ახალი პოსტი, თუმცა ძალიან ცოტა თუ იფიქრებდა, რომ **მარსელო სალასის** და **ივან სამორანოს** თაობის შემდეგ ჩილეს წარმატება ექნებოდა, „ელ ლოკომ" რევოლუციით დაიწყო, ფეხბურთელებს ნაგებულის მენტალიტეტი შეუცვალა.

თავის მხრივ, კოლუმბიელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი არ დაუკარგავთ, მაგრამ ამის არავის სჯერა. *„შანსი არაა, საგზური ჩვენ მოვიპოვოთ"*, - ამტკიცებს ყოფილი ვარსკვლავი **კარლოს ვალდერამა**, გულშემატკივრებიც იმავე აზრის არიან - პირველ დღეს მედელინში ჩილესთან მატჩზე დასასწრები 134 ბილეთი გაიყიდა!

### სავარაუდო შემადგენლობები

**კოლუმბია (4-3-1-2):** *ოსპინა - სუნიგა, საპატა, იეპესი, არმერო - აგილარი, გუარინი, პაბონი - ერნანდესი - ფალკაო, ჯექსონი.*

**ჩილე (4-4-2):** *ბრავო - პონსე, მედელი, ვიდალი, კარმონა - მილარი, ბეაუსეხური, ფერნანდესი, ორელანა - სუასო, გონსალესი.*

კიტოში ძალზე მნიშვნელოვანი მატჩია, ისევე როგორც, მასპინძლებს, ეკვადორის ნაკრებს, ურუგვაელებსაც მხოლოდ 3 ქულა დააკმაყოფილებთ, სხვა შედეგი ყველაზე მეტად დიეგო მარადონას აწყობს.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ეკვადორი (4-4-2):** *ელისაგა - რეასკო, ურტადო, ესპინოსა, აიოვი - კასტილიო, ნობოა, ვალენსია, მენდესი - ბენიტესი, კაისედო.*

**ურუგვაი (3-5-2):** *მუსლერა - სკოტი, ლუგანო, კასერესი - მ. პერეირა, პერესი, გარგანო, როდრიგესი, ა. პერეირა - სუარესი, ფორლანი.*

დაბოლოს, ბრაზილიის ნაკრები ბოლივიას ეწვევა, მატჩი „ესტადიო ერნანდო სილესზე" გაიმართება, ზღვის დონიდან 3 637 მეტრზე. თუმცა **დუნგას** ნაკრებს უკვე თავი ქუდში აქვს...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 16 | 9 | 6 | 1 | 32-9 | 33 |
| 2. პარაგვაი | 16 | 9 | 3 | 4 | 22-13 | 30 |
| 3. ჩილე | 16 | 8 | 3 | 5 | 27-20 | 27 |
| 4. ეკვადორი | 16 | 6 | 5 | 5 | 21-23 | 23 |
| 5. არგენტინა | 16 | 6 | 4 | 6 | 20-19 | 22 |
| 6. ურუგვაი | 16 | 5 | 6 | 5 | 26-18 | 21 |
| 7. ვენესუელა | 16 | 6 | 3 | 7 | 22-27 | 21 |
| 8. კოლუმბია | 16 | 5 | 5 | 6 | 10-14 | 20 |
| 9. ბოლივია | 16 | 3 | 3 | 10 | 20-34 | 12 |
| 10. პერუ | 16 | 2 | 4 | 10 | 9-32 | 10 |

**ბოლო ტური**

**14 ოქტომბერი**

პერუ-ბოლივია
პარაგვაი-კოლუმბია
ბრაზილია-ვენესუელა
ჩილე-ეკვადორი
ურუგვაი-არგენტინა

ჩრ. ამერიკა და კარიბის ზღვა

# ვისი სერია დაირღვევა?



მექსიკასთან მატჩისთვის ასე უცნაურად ემზადება სალვადორის ნაკრები

| დღეს | |
|---|---|
| მექსიკა-სალვადორი | 02:00 |
| კოსტა რიკა-ტრინიდადი | 06:00 |
| ჰონდურასი-აშშ | 06:00 |

ამერიკის ნაკრებს ჰონდურასში მოგებით მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვება სურს, თუმცა ჰონდურასის ნაკრებსაც აქვს შანსი გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშოს, თუკი ეს მოხდება, კუნძულელები 1982 წლის შემდეგ პირველად ითამაშებენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ჰონდურასის ნაკრები აშშ-ს სან-პედრო სულაში მიიღებს, სადაც მასპინძელთა გუნდმა ზედიზედ 8 მატჩი მოიგო. თავის მხრივ ამერიკელებს კარგი სტატისტიკა აქვთ ჰონდურასელთა წინაალმდეგ, მათ ბოლო ხუთი მატჩი მოიგეს. *„კარგად გვესმის, რომ ეს თამაში ყველაფერს ნიშნავს ჰონდურასელი გულშემატკივრისთვის. სტადიონზე შთამბეჭდავი ატმოსფერო იქნება. შევეცდებით, ჰონდურასიდან სამი ქულა წავიღოთ"*, - განაცხადა ამერიკელთა თავკაცმა **ბობ ბრედლიმ.** სტუმრებს არ ეყოლებათ ტრავმირებული **კლინტ დემპსი**, მასპინძლებს კი დისკვალიფიკაციის გამო კაპიტანი **ამადო გევარა** დააკლდებათ.

კონკაკაფის ზონაში მექსიკის ნაკრები მეორე ადგილზეა და აშშ-ს ქულით ჩამორჩება. „ელ ტრი" სალვადორის ნაკრებს მასპინძლობს. მასპინძლებს არ ეყოლება **ხავიერ აგირეს** ეპოქაში ნახევარდაცვის ლიდერად ჩამოყალიბებული **ჯოვანი დოს სანტოსი.** მის პოზიციაზე თამაში **კვატემოკ ბლანკოს** შეუძლია, თუმცა გამოცდილი ბლანკოს თამაშიც საეჭვოა. სამაგიეროდ გუნდს კაპიტანი **რაფაელ მარკესი** უბრუნდება, რომელმაც ამას წინათ განაცხადა, რომ **სვენ გორან ერიქსონის** დანიშვნა მექსიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე უდიდესი შეცდომა იყოო.

### სავარაუდო შემადგენლობები

**მექსიკა (4-4-2):** *ოჩოა - ხუარესი, მარკესი, ოსორიო, სალსიდო - ბარერა, კასტრო, ტორადო, გუარდადო - ფრანკო, ველა.*

**სალვადორი (4-4-2):** *მონტესი - სალასარი, გონსალესი, მარდოკეო, უმანსორი - სანჩესი, ალვარესი, აგირე, კვინტანილა - კასტილიო, რეიესი.*

ბოლოსწინა ტურის მატჩები გაიმართება აფრიკის ზონის 5 საკვალიფიკაციო ჯგუფში, სადაც ჯერ მხოლოდ განის ნაკრებმა გაინალდა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური. ჩვენს ინტერესს გაბონისა და მაროკოს მატჩი იწვევს. გაბონელებს კვლავ აქვთ შანსი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვონ. საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავკაცმა **ალენ ჟირესმა** მაროკოსთან მატჩისთვის ჩვენთვის ნაცნობი ყველა გაბონელი მიიწვია **ჟორჟ აკირემის** გარდა. ნაკრებში არიან: **დიდიე ოვონო, ერნესტ აკუასაგა** და **პოლ კესანი.**

ერთი მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართება აზიის კონტინენტზეც, პლეიოფში ბაჰრეინის ნაკრები ახალი ზელანდიის გუნდს უმასპინძლებს, საპასუხო მატჩი ზელანდიაში ნოემბერშია. მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული გუნდი წავა. მატჩი მანამას ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. ზელანდიელებს 31 წლის კაპიტანი **რაიან ნელსენი** ეყოლებათ, რომელმაც ტრავმის გამო „ბლექბერნის" ბოლო მატჩი გააცდინა ლონდონის „არსენალის" წინააღმდეგ. ბაჰრეინელთაგან ყველაზე სახიფათო შემტევი ნახევარმცველი **მაჰმუდ აბდურაჰმანია**, 24 წლის დაულალავი აბდურაჰმანის შეჩერება გაუჭირდებათ ზელანდიელთა ვეტერან მცველებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 8 | 5 | 1 | 2 | 14-9 | 16 |
| 2. მექსიკა | 8 | 5 | 0 | 3 | 12-9 | 15 |
| 3. ჰონდურასი | 8 | 4 | 1 | 3 | 14-8 | 13 |
| 4. კოსტა რიკა | 8 | 4 | 0 | 4 | 9-13 | 12 |
| 5. სალვადორი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-10 | 8 |
| 6. ტრინიდადი | 8 | 1 | 2 | 5 | 8-16 | 5 |

**ბოლო ტური**

**15 ოქტომბერი**

სალვადორი-ჰონდურასი
ტრინიდადი-მექსიკა
აშშ-კოსტა რიკა

## აფრიკა

**A ჯგუფი**

| დღეს | |
|---|---|
| გაბონი-მაროკო | 18:30 |
| კამერუნი ტოგო | 18:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კამერუნი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 2. გაბონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 3. ტოგო | 4 | 1 | 2 | 1 | 2-4 | 5 |
| 4. მაროკო | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |

**ბოლო ტური**

**14 ნოემბერი**

ტოგო-გაბონი
მაროკო-კამერუნი

**B ჯგუფი**

| ხვალ | |
|---|---|
| ტუნისი-კენია | 20:00 |
| ნიგერია-მოზამბიკი | 20:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტუნისი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 2. ნიგერია | 4 | 1 | 3 | 0 | 5-2 | 6 |
| 3. მოზამბიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| 4. კენია | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |

**ბოლო ტური**

**14 ნოემბერი**

მოზამბიკი-ტუნისი
კენია-ნიგერია

**C ჯგუფი**

| დღეს | |
|---|---|
| ზამბია-ეგვიპტე | 16:00 |
| **ხვალ** | |
| ალჟირი-რუანდა | 22:15 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალჟირი | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 10 |
| 2. ეგვიპტე | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 3. ზამბია | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| 4. რუანდა | 4 | 0 | 1 | 3 | 0-5 | 1 |

**ბოლო ტური**

**14 ნოემბერი**

ეგვიპტე-ალჟირი
რუანდა-ზამბია

**D ჯგუფი**

| ხვალ | |
|---|---|
| ბენინი-განა | 19:00 |
| მალი-სუდანი | 22:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. განა | 4 | 4 | 0 | 0 | 7-0 | 12 |
| 2. მალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 3. ბენინი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 4. სუდანი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-6 | 1 |

**ბოლო ტური**

**14 ნოემბერი**

განა-მალი
სუდანი-ბენინი

**E ჯგუფი**

| დღეს | |
|---|---|
| მალავი-კოტ დ'ივუარი | 16:30 |
| **ხვალ** | |
| გვინეა-ბურკინა ფასო | 21:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოტ დ'ივუარი | 4 | 4 | 0 | 0 | 15-3 | 12 |
| 2. ბურკინა ფასო | 4 | 2 | 0 | 2 | 7-10 | 6 |
| 3. გვინეა | 4 | 1 | 0 | 3 | 6-9 | 3 |
| 4. მალავი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-9 | 3 |

**ბოლო ტური**

**14 ნოემბერი**

კოტ დ'ივუარი-გვინეა
ბურკინა ფასო-მალავი

## აზია-ოკეანეა

**პლეი ოფი**

| დღეს | |
|---|---|
| ბაჰრეინი-ახ. ზელანდია | 19:30 |

საპასუხო მატჩი 14 ნოემბერს

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამხრეთ აფრიკა 2010

VIII ჯგუფი. მეტოქეები

# ალზევების მიზერული შანსები

| დღეს | |
|---|---|
| ჩერნოგორია-საქართველო | 21:00 |
| კვიპროსი-ბულგარეთი | 21:00 |
| ირლანდია-იტალია | 23:00 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დასასრულს უახლოვდება, ჩვენს ჯგუფში კი ჯერაც ორი გუნდია, რომელსაც გამარჯვების სიხარული არ განუცდია. ჩერნოგორია და საქართველო ერთმანეთთან ბრძოლაში შეეცდებიან პირველი მოგების აქტივში ჩაწერას, ჩერნოგორიის ნაკრები საერთოდ არსებობის ისტორიაში პირველი გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

დანარჩენ ორ წყვილში გუნდები გაცილებით სოლიდური მიზნებისთვის იბრძოლებენ. ინტრიგა ორივე მატჩს აქვს, თუმცა მაინც ძნელი წარმოსადგენია, სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში გუნდების განლაგება შეიცვალოს.

მუნდიალზე ავტომატურად მოსახვედრად ირლანდიამ ჯერ შინ უნდა დაამარცხოს იტალია, შემდეგ ასევე საკუთარ მოედანზე უნდა სძლიოს ჩერნოგორიას და ამის პარალელურად იმედი უნდა ჰქონდეს, რომ იტალია სახლში კვიპროსს ვერ მოუგებს. „სკუადრა აძურას" რომ არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი უდგას, ნათელია, მაგრამ მაინც ვეჭვობთ, იმდენად დაუძლურდეს, რომ დარჩენილი შეხვედრები ირლანდიელთათვის სასურველი სცენარით წარმართოს.



იტალიის ნაკრებს იუვენტუსელი კლაუდიო მარკიზიოც დააკლდება

ირლანდია-იტალია ნებისმიერ შემთხვევაში საინტერესო იქნება, „სამყურებს" ხომ **ჯოვანი ტრაპატონი** წვრთნის, რომელსაც წლების წინ მშობლიური ქვეყნის ნაკრებიც დაუმოძღვრავს. ტრაპატონიმ, ფაქტობრივად, საუკეთესო შემადგენლობას მოუყარა თავი. თუ მანამდე რაიმე არ მოუვიდა, ირლანდიის ეროვნული გუნდის გამოცდილი გოლკიპერი **შეი გივენი** იტალიასა და ჩერნოგორიასთან თავის 99-ე და მე-100 სანაკრებო მატჩებს ჩაატარებს.

იტალიას **ფაბიო კანავარო** დააკლდება, რომელიც ყვითელი ბარათების გადაჭარბებული რაოდენობის გამო ვერ ითამაშებს. შესაძლოა, მან ამაზე გაცილებით ხანგრძლივ დისკვალიფიკაციასაც გამოჰკრას ხელი, თუ დოპინგის მილება დაუმტკიცდა. „ლელო" ამ თემაზე ვრცლად წერდა და კანავაროს ამბავს კიდევ მივუბრუნდებით... **მარჩელო ლიპის** ვერც **კლაუდიო მარკიზიო** დაეხმარება.

პლეიოფში მოხვედრის მიზერულ შანსს ინარჩუნებენ ბულგარელები. ამისთვის მათ კვიპროსსა და საქართველოსთან 6 ქულა სჭირდებათ. თუმცა არც ესაა საკმარისი და ბულგარელთა მიზანი რომ შესრულდეს, ირლანდიამ იტალიასთანაც უნდა წააგოს და ჩერნოგორიასთანაც უნდა წაიფორხილოს. დაგვეთანხმებით, მოვლენათა ამგვარი განვითარება არცთუ დასაჯერებელია. დაახლოებით ამგვარი თეორიული შანსი აქვს კვიპროსის ნაკრებს საიმისოდ, რომ მესამე ადგილზე გავიდეს.

ბულგარელებს საკადრო პრობლემები არ აკლიათ. მათ **ალექსანდარ ტუნჩევი, ჟივკო მილანოვი** და მეკარე **გეორგი პეტკოვი** დააკლდებათ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 6 | 2 | 0 | 13-3 | 20 |
| 2. ირლანდია | 8 | 4 | 4 | 0 | 10-6 | 16 |
| 3. ბულგარეთი | 8 | 2 | 5 | 1 | 10-7 | 11 |
| 4. კვიპროსი | 8 | 1 | 3 | 4 | 8-12 | 6 |
| 5. ჩერნოგორია | 8 | 0 | 5 | 3 | 7-13 | 5 |
| 6. საქართველო | 8 | 0 | 3 | 5 | 4-11 | 3 |

14 ოქტომბერი

ირლანდია-ჩერნოგორია
ბულგარეთი-საქართველო
იტალია-კვიპროსი

**ლევან ჯანეზაშვილი**



ალეშანდრე დონი

რომა

# დონი უკვე ჯანზეა

## სისინიოს მთავარ გუნდში უნდა

„რომას" გოლკიპერი **ალეშანდრე დონი** ტრავმირებული გახლდათ და გარკვეული დროით ჩამოშორებული იყო საყვარელ საქმიანობას. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბრაზილიელი მეკარე გამოჯანმრთელდა და უახლოეს დღეებში სრულფასოვან წვრთნებში ჩაერთვება. დონი უკვე გამოჩნდა „ტრიგორიაზე" და მსუბუქი ვარჯიშის შემდეგ, ჟურნალისტებს გაესაუბრა:

*„გამოვჯანმრთელდი და უკვე ვარჯიშიც შემიძლია, თუმცა თავს ჯერ მაინც სუსტად ვგრძნობ. ძალიან მინდა, რომ მომდევნო ტურისთვის კარგ ფორმაში ვიყო და „მილანთან" თამაში შევძლო. სეზონი არასტაბილურად დავიწყეთ, რაც ლოგიკურია. გუნდში სამწვრთნელო ცვლილება მოხდა, ახალ დამრიგებელს კი თავისი ხედვები და სტრატეგიები აქვს. ახლა უკეთესობაა და შედეგიც გამოსწორდა. მთავარია ტემპი არ დავაგდოთ და თითოეულ მატჩში ბოლომდე დავიხარჯოთ. მჯერა, რომ „რომას" მაღალი მიზნებისთვის შეუძლია ბრძოლა, როგორც იტალიის ჩემპიონატში, ისე ჩემპიონთა ლიგაში".*

„მილანთან" თამაშის დიდი სურვილი აქვს **სისინიოსაც**. ვინაც კარგა ხანს ტრავმირებული იყო და ახლა ფორმის აღსადგენად დუბლგუნდში ასპარეზობს. აი, რა თქვა პრესასთან საუბარში ბრაზილიელმა: *„ტრავმა კარგა ხნის წინ მოვირჩინე, მაგრამ კვლავაც დუბლებში ვთამაშობ. იმედია, კლაუდიო რანიერი მომაქცევს ყურადღებას და მთავარ გუნდში დამაბრუნებს. საკლუბო ფეხბურთში პაუზაა და ვფიქრობ, მწვრთნელს უნდა დაველაპარაკო. იმედი მაქვს, „მილანთან" შეხვედრის განაცხადში მაინც მოვხვდები და თუ სასტარტოში დამაყენეს, მაგაზე უკეთესი რა იქნება. ვფიქრობ, შემიძლია გუნდს სარგებელი მოვუტანო. მთავარია, ამის დამტკიცების საშუალება მომეცეს".*

**ლაშა ნიკლაური**

იუვენტუსი

# ამაური კრიტიკას არ იღებს

**კარვალიო ამაურის** იტალიაში კრიტიკოსები მოუმრავლდნენ, რაც ნამდვილად არ გახლავთ გასაკვირი. ბრაზილიელ ფორვარდს ამ სეზონში ჯერჯერობით გოლი არ აქვს გატანილი, რაც, დაგვეთანხმებით, კატასტროფული შედეგია. რამდენიმე დღის წინ „გაძეტა დელო სპორტში" მასზე სტატიაც გამოქვეყნდა, სადაც პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ასეთი ამაური იტალიის ნაკრებს არ სჭირდება. როგორც იცით, კარვალიო დღემდე არჩევანის წინაშეა და ფიქრობს, ითამაშოს თუ არა „სკუადრა აძურაში". თუმცა, მისი დღევანდელი ფორმიდან გამომდინარე, ძნელად წარმოსადგენია, რომ **მარჩელო ლიპის** სიმპათიები დაიმსახუროს. გუშინ, ამაური „კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტს ესაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*„არ განვეკუთვნები ისეთ ფეხბურთელთა რიცხვს, რომლებიც მხოლოდ თავიანთი გოლებით ცხოვრობენ. ყოველთვის გუნდზე ვთამაშობ და გადაცემებზე ვარ ორიენტირებული. ამიტომ, სულაც არ მაღელვებს ის კრიტიკა, რომელიც ჩემი მისამართით ისმის. თუმცა, კარგად მესმის, რომ კიდევ უფრო პროდუქტიულად უნდა გავისარჯო - ბევრს ვმუშაობ და დარწმუნებული ვარ, ეს შედეგს გამოიღებს. „იუვენტუსის" მიზანი ყველა ფრონტზე გამარჯვებაა, საამისოდ კი თითოეული ფეხბურთელის მაქსიმალური მონდომებაა საჭირო. რაც მთავარია, ენთუზიაზმის ნაკლებობას არ ვუჩივით და მთელი გუნდი ერთ მუშტად არის შეკრული".*



კარვალიო ამაური

ამაურიმ ლაღად კი მოგვაჩვენა თავი, მაგრამ მისი თანაგუნდელების კომენტარები სულ სხვა რამეზე მეტყველებს. **ვინჩენცო იაკვინტა:** *„კარვალიოს გამო ყველანი განვიცდით, გვერდში ვუდგავართ და ვცდილობთ, გავამხნევოთ. ჯერჯერობით არ მისდის თამაში, ასეთი რამ მეც დამმართნია. მთავარია გოლი გაიტანოს და ნავსი გატეხოს, შემდეგ გაიხსნება და ძველებურად ათამაშდება. ამაური ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და ეს მან კარგად იცის".*

**ლაშა ნიკლაური**



პატო და რონალდინიო

მილანი

# ერთი, პატო და რონალდინიო ათამაშდნენ...

## ტიაგო სილვა ხსნას თანამემამულეებში ხედავს

**ტიაგო სილვა** დარწმუნებულია, რომ თუ **რონალდინიო** და **პატო** ძველ ფორმას დაიბრუნებენ, „მილანი" კრიზისს დაძლევს და შედეგებსაც გამოასწორებს. ამასთან, ბრაზილიელი უკანახაზელი იმედოვნებს, რომ უკვე შემდეგ ტურში მას მოედანზე გასვლის საშუალება მიეცემა:

*„ჩვენი გულშემატკივრები აღშფოთებულები არიან და მათი კარგად მესმის. „მილანს" ნამდვილად არ ეკადრება ასეთი სუსტი ასპარეზობა. სად არის გამოსავალი? - ჩემი აზრით, ლიდერის ფუნქციები ჩემმა თანამემამულეებმა უნდა იტვირთონ და გუნდი კრიზისიდან გამოიყვანონ. რონალდინიოს და ალეშანდრე პატოს ამის ძალა ნამდვილად შესწევთ. გუნდს ყველაზე მეტად შეტევაში უჭირს და პირველ რიგში, სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრაზე უნდა ვიფიქროთ. იტალიის ჩემპიონატის დაწყებიდან უკვე გვარიანი დროა გასული, ჩვენ კი მხოლოდ ოთხი გოლი გვაქვს გატანილი. არადა, „მილანის" თავდამსხმელები თავისი პოტენციალით არავის ჩამოუვარდებიან, მთავარია საკუთარი თავის ვირწმუნოთ და გამარჯვებებიც არ დააყოვნებს. ბევრი ფიქრობს, რომ ჩემი დღევანდელი ყოფით უკმაყოფილო ვარ. არადა, რეალობა სულ სხვაგვარია - „მილანში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ და აქედან წასვლას ნამდვილად არ ვაპირებ. ტრავმის გამო სასტარტო შემადგენლობაში ადგილი დავკარგე, მაგრამ ეს დროებითია. მჯერა რომ მწვრთნელის ნდობას მალე დავიბრუნებ. თანაც, „როსონერის" დარ გუნდებში, სასტარტო შემადგენლობა პირობითი ცნებაა, აქ ყველას თავისი როლი აქვს, რომელიც მაღალ დონეზე უნდა შეასრულოს. რაც შეეხება ლეონარდოს, ვაცალოთ მუშაობა და გვერდში დავუდგეთ, მას მხარდაჭერა სჭირდება".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოპინგის საქმე



მარჩელო ლიპის ფაბიო კანავაროს პატიოსნებაში ეჭვი არ ეპარება

# რატომ არ დაურეკა ლიპიმ კანავაროს?

**ფაბიო კანავარო** სკანდალში რომ გაეხვა, გეცოდინებათ. თუმცა, შესაძლოა არც ისე მძიმედ იყოს საქმე, როგორც ამას ჟურნალისტები იუწყებიან. ტურინის „იუვენტუსს" ფეხბურთელის პოზიცია უჭირავს, კლუბის მესვეურები ერთხმად აცხადებენ, რომ ფაბიოს აკრძალული პრეპარატი აუცილებლად უნდა მიელო ალერგიის თავიდან ასაცილებლად. თავად კანავარო თურმე ძალიან განიცდის ამ აურზაურს და პრესასთან საუბრის სურვილიც არ აქვს. სამაგიეროდ, ჟურნალისტებს მისი აგენტი **გაეტანო ფედელე** გაესაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*„ძალიან მიკვირს, რომ ამ, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ ამბავს ამხელა გამოხმაურება მოჰყვა. კანავარომ ანტიალერგიული პრეპარატი მიიღო და ამის ნებართვა ექიმებისგან აიღო. რაც მთავარია, აღნიშნული ინფორმაცია მივაწოდეთ ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტსაც. როგორც ვიცი, პრეპარატ კორტიზონს ტრავმის დროსაც ხშირად იყენებენ ფეხბურთელები და ამის გამო აქამდე არავინ დასჯილა. რაც მთავარია, „იუვენტუსი" დგება იმის გარანტად, რომ კანავარომ პრეპარატი ექიმების რჩევით მიიღო და არა მისი ინიციატივით. ჩემი კლიენტი ძალიან ნწუხს, რომ ჩირქი მოსცხეს და რეპუტაცია შეულახეს; უხასიათოდ გახლავთ და ვერ ხვდება, რატომ აგორდა ეს სკანდალი".*

გუშინ საღამოს ფედერკალჩოში განაცხადეს, რომ კანავაროს დასჯას არ აპირებენ. იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში დაადასტურეს - „იუვენტუსმა" შეატყობინა შესაბამის კომიტეტს, რომ ფაბიოსთვის პრეპარატის მიცემას აპირებდნენ. კანას უბრალოებაში ეჭვი არ ეპარებოდათ **მარჩელო ლიპის** და **ჯორჯო კიელინის**, მათ ღიად დაუჭირეს მხარი სკუადრა აძურას კაპიტანს. აი, რა თქვა ლიპიმ:

*„დავურეკე თუ არა კანავაროს? - ამის საჭიროება არ დამდგარა, რადგან ყველაფერი ძალიან მალე გაირკვა. ფაბიო ნამდვილი სპორტსმენია და ვერასდროს დავუშვებ, რომ აკრძალული პრეპარატი მიიღოს. დროა, დამთავრდეს ამაზე საუბარი და სხვა უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე გავამახვილოთ ყურადღება. წინ რთული მატჩი გველის ირლანდიასთან და დღეს სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი საზრუნავი. სამწუხაროდ, ფაბიო ამ შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს. სამაგიეროდ, კვიპროსთან ასპარეზობის უფლება აქვს და კვირას უკვე გუნდთან ერთად იქნება".*

ანალოგიური პათოსი იგრძნობა კიელინის სიტყვაშიც: *„კანავარო კრისტალივით სუფთაა და დროა, მორჩეს ეს ბინძური საუბრები. აკრძალული პრეპარატი და ფაბიო? - ეს ხომ სასაცილოა. მთელი მისი კარიერა პროფესიონალიზმსა და თავდაუზოგავ შრომაზეა დაფუძნებული. ძალიან გამიკვირდა, როდესაც მითხრეს კანა დოპინგტესტზე ჩაიჭრაო, შემდეგ ინფორმაციას გავეცანი და მივხვდი, რაშიც იყო საქმე. მეც კი ვიცოდი, რომ ფაბიო ამ პრეპარატის მიღებას აპირებდა და ისიც ვიცოდი, რომ ამის შესახებ ფედერკალჩო ინფორმირებული იყო".*


ლაშა დვალიშვილის სტუდია და
ტელეკომპანია მზე გთავაზობთ
ინგლისისა და ესპანეთის საფეხბურთო
ჩემპიონატების შეხვედრებს თქვენი შერჩევით

**ინტერაქტივი ესპანეთი**

| | |
|---|---|
| დეპორტივო-სევილია | 80 44 0 10 |
| რეალი-ვალიადოლიდი | 80 44 0 11 |
| ვალენსია-ბარსელონა | 80 44 0 12 |
| მალიორკა-ხეტაფე | 80 44 0 13 |
| მალაგა-ალმერია | 80 44 0 14 |
| ოსასუნა-ატლეტიკო | 80 44 0 15 |

**ინტერაქტივი ინგლისი**

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა-ჩელსი | 80 44 01 |
| არსენალი-ბირმინგემი | 80 44 02 |
| მანჩესტერ იუნ-ბოლტონი | 80 44 03 |
| სანდერლენდი-ლივერპული | 80 44 04 |
| ბლექბერნი-ბარნლი | 80 44 05 |
| უიგანი-მანჩესტერ სიტი | 80 44 06 |


იტალიური ფეხბურთის პრობლემები

# კალჩოს სარკე

**როგორ** უნდა გავიგოთ, რამდენად კმაყოფილები არიან გულშემატკივრები ამა თუ იმ კლუბის მესვეურთა სატრანსფერო პოლიტიკით ან თუნდაც მთლიანად კურსით, რომელსაც ისინი ატარებენ? - ძალიან მარტივად, შეგვიძლია გავეცნოთ სეზონური აბონემენტების გაყიდვების სტატისტიკას და ყველაფერი ნათელი გახდება. ეს საკითხი იტალიაში განსაკუთრებულად აქტუალურია, რადგან უკვე წლებია, სტადიონებზე მაყურებლის რაოდენობა იკლებს და ეს პროცესი შეუქცევადად იქცა. ამ მხრივ, გარკვეული პროგრესი სერია A-ში „იუვენტუსის", „ნაპოლის" და „პარმას" დაბრუნებამ გამოიწვია, მაგრამ მალევე, ქომაგების რაოდენობა კვლავ კლებისკენ წავიდა. ეს ერთი მხრივ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების ბრალია, მეორე მხრივ კი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის. ეკონომიკური კრიზისის - ორი მიზეზის გამო: ერთი, ის, რომ მოქალაქეების სოციალური მდგომარეობა გაუარესდა და მეორე, თვითონ კლუბების ფინანსური პრობლემები, რამაც განაპირობა კიდეც ზაფხულში პასიური სატრანსფერო კამპანია. სეზონის წინ, სერია A მსოფლიო ფეხბურთის ორმა გამორჩეულმა ვარსკვლავმა დატოვა: კაკამ და ზლატან იბრაჰიმოვიჩმა - ბუნებრივია, ასეთ ფაქტებსაც თავისი წვლილი შეაქვს მაყურებელთა კლების პროცესში.

ერთი სიტყვით, სეზონური აბონემენტი ერთგვარი ინდიკატორია კლუბების დღევანდელი მდგომარეობის. ზაფხულში დიდი ვნებათაღელვა იყო აბონემენტების ფასებთან დაკავშირებით - ტიფოზები გაიაფებას ითხოვდნენ, თუმცა მათ სურვილს კლუბების უმეტესობამ წაუყრუა. სხვებზე მეტად „ლაციოს" მესვეურებმა გაუწიეს ანგარიში ქომაგებს და ფასი 15%-ით დაწიეს. ამასთან, იმ გულშემატკივრებმა, რომლებიც უკვე ათი წელია სტაბილურად ყიდულობენ აბონემენტს, 50%-იანი ფასდაკლება მიიღეს. ქომაგებზე „უდინეზეს" ბოსებმაც იზრუნეს და შემდეგი პრინციპი აამოქმედეს: მას, ვინც ეკონომიკური კრიზისის გამო სამსახური დაკარგა, აბონემენტის შეძენის საშუალება მესამედ ფასში მიეცა. ვფიქრობთ, თქვენთვისაც საინტერესოა, თუ რა ფასები ადევს სერია A-ს კლუბების სეზონურ აბონემენტებს.

| კლუბები | აბონ. ფასი |
|---|---|
| კატანია | 295 ევრო |
| იუვენტუსი | 265 ევრო |
| ფიორენტინა | 255 ევრო |
| რომა | 235 ევრო |
| ბარი | 220 ევრო |
| ლაციო | 220 ევრო |
| ნაპოლი | 220 ევრო |
| ჯენოა | 205 ევრო |
| ატალანტა | 200 ევრო |
| ბოლონია | 200 ევრო |
| კალიარი | 200 ევრო |
| ინტერი | 200 ევრო |
| სამპდორია | 200 ევრო |
| ლივორნო | 190 ევრო |
| მილანი | 180 ევრო |
| პალერმო | 170 ევრო |
| კიევო | 161 ევრო |
| პარმა | 150 ევრო |
| უდინეზე | 140 ევრო |
| სიენა | 110 ევრო |

როგორც ხედავთ, ყველაზე ძვირად „კატანიას" მესვეურები აფასებენ გუნდის სეზონურ აბონემენტს. გასულ წელთან შედარებით ფასი თითქმის ორჯერ არის გაზრდილი, რამაც ხალხის დიდი აღშფოთება გამოიწვია. სიცილიური კლუბის წარმომადგენლებს არ აუხსნიათ, თუ რატომ გააძვირეს აბონემენტის ფასი. საერთოდ, „კატანიას" სტადიონი თითქმის ყოველთვის სავსეა და ალბათ ამან გაათამამა კლუბის ბოსობა. ყველაზე იაფი „სიენას" აბონემენტი ფასობს, არადა, ტოსკანური კლუბი თავისი კლასით და პოტენციალით ალბათ „კატანიას" მხარდამხარ უნდა დავაყენოთ. ფასებს შორის ამხელა კონტრასტი გასაკვირია, მაგრამ რეალობა სწორედ ასეთია. მცირედით გაიაფდა „მილანის" სეზონური აბონემენტი, თუმცა ამან გაფუჭებულ საქმეს ვერ უშველა. გასულ წელთან შედარებით, ყველაზე დიდი ვარდნა სწორედ „როსონერიმ" განიცადა და ეს სრულიად ბუნებრივია. თავად განსაჯეთ, გუნდი ერთბაშად რამდენიმე საკვანძო ფიგურამ დატოვა: **კაკამ, პაოლო მალდინიმ, კარლო ანჩელოტიმ**. მილანში „როსონერის" არ სჯერათ, რაც აბონემენტების რეალიზაციის დაბალი მაჩვენებლით დასტურდება. სამაგიეროდ, გაყიდული აბონემენტების რაოდენობით რეკორდი გააუმჯობესა ორმა გუნდმა: „ჯენოამ" და „სიენამ". გენუელებს პროგრესირებადი გუნდი ჰყავთ და ქომაგთა გააქტიურებაც გასაგებია, ტოსკანელების სტიმულირება კი ალბათ დაბალმა ფასმა მოახდინა. აქვე, გავეცნოთ, თუ რამდენი აბონემენტი გაყიდეს ამ ზაფხულს სერია A-ს კლუბებმა (ფრჩხილებში მოცემულია გასული სეზონის მაჩვენებლები).

| კლუბები | რეალიზ. აბონ. |
|---|---|
| ინტერი | 40 000 (38 940) |
| ლაციო | 26 500 (24 500) |
| რომა | 24 900 (29 085) |
| მილანი | 25 000 (43 000) |
| ჯენოა | 24 000 (22 856) |
| ფიორენტინა | 21 500 (25 100) |
| სამპდორია | 20 500 (20 038) |
| იუვენტუსი | 19 500 (18 325) |
| ნაპოლი | 17 000 (23 000) |
| პალერმო | 16 156 (16 458) |
| ბარი | 15 000 (6 290) |
| უდინეზე | 13 951 (13 000) |
| პარმა | 13 215 (10 800) |
| ბოლონია | 12 583 (14 860) |
| კატანია | 10 442 (15 522) |
| კალიარი | 10 000 (8 000) |
| სიენა | 8 444 (7 748) |
| ლივორნო | 8 000 (6 700) |
| ატალანტა | 7 980 (7 503) |
| კიევო | 6 818 (8 081) |

კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ყველაზე დიდი რეგრესი „მილანმა" განიცადა, მინუს 18 000 მართლაც კატასტროფული მაჩვენებელია. შედეგად, „მილანმა" დაახლოებით ოთხი მილიონი ევრო დაკარგა. ყველაზე დიდი პროგრესი „ბარის" აქვს და ეს არც არის გასაკვირი. გუნდი გასულ სეზონში სერია B-ში ასპარეზობდა და ბუნებრივია, რომ გულშემატკივართა ინტერესი სერია A-ს მატჩებმა უფრო გამოიწვია. შარშანდელი მაჩვენებელი „ლაციოს" ტიფოზებმაც გააუმჯობესეს, რაც ასევე მოსალოდნელი იყო. „ბიანკოჩელესტემ" გასული სეზონი თასის მოგებით დააგვირგვინა, ზაფხულში კი იტალიის სუპერთასიც მოიპოვა. ტიფოზები იმედით აღივსნენ და აბონემენტებიც უხვად გაიყიდა. თუმცა, გაყიდვების მაღალი მაჩვენებელი სულაც არ არის იმის გარანტია, რომ ქომაგები აუცილებლად მივლენ სტადიონზე. იმავე „ლაციომ" ბოლო დროს პოზიციები დათმო, შედეგი? - სტადიონზე ავტომატურად იკლო გულშემატკივართა რაოდენობამ. თამაშებზე აბონემენტიანი ქომაგიც აღარ დადის. „ბიანკოჩელესტეს" ბოლო საშინაო შეხვედრაზე დაახლოებით 16 000 ტიფოზი შეიკრიბა, არადა, გაყიდული აბონემენტის რაოდენობა ათი ათასით მეტია.

შარშანდელზე უარესი შედეგი აქვს „რომას", რაც ასევე არ გახლავთ გასაკვირი. გუნდმა ბოლო პერიოდში ძალიან უკლო თამაშს და გულშემატკივარმაც მომავლის იმედი დაკარგა. საერთოდ, იტალია ინგლისი არაა, სადაც ფანები ყველა შემთხვევაში მხურვალედ ქომაგობენ საყვარელ გუნდს - აპენინებზე სულ სხვა გარემო და კულტურაა, ტიფოზებს ბოიკოტიც არაერთხელ გამოუცხადებიათ წარუმატებლად მოასპარეზე გუნდისთვის.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვა „იუვენტუსზეც" ვთქვათ - მით უმეტეს, რომ ტურინული გრანდი გაყიდული აბონემენტების რაოდენობის სტადიონის ტევადობასთან შეფარდებით, ერთ-ერთი ლიდერია. თავად განსაჯეთ, ოლიმპიურზე 27 994 ადამიანი ეტევა, მათგან 19 500 ადგილი სეზონის დაწყებამდე გაიყიდა. ასე რომ, თუ ტურინში აღმოჩნდით და „იუვენტუსის" თამაშზე დასწრება განიზრახეთ, ბილეთების შეზღუდული რაოდენობიდან გამომდინარე, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ამ სეზონში ყველაზე მეტი აბონემენტი ინტერმა გაასაღა



ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბთა ინტერესი

# მენავთობენი და ბატონი იქსი


მანჩესტერ სიტის მთავარი მწვრთნელი მარკ ჰიუზი ხალდუნ ალ მუბარაქთან (მარცხნივ), შეიხ მანსურ ბინ ზაიედ ალ ნაიანსა (მარჯვნიდან მეორე) და კლუბის აღმასრულებელ დირექტორ გერი კუკთან ერთად

ერთმა ძალიან გავლენიანმა და ფეხბურთში ღრმად ჩახედულმა ადამიანმა ახლო აღმოსავლეთიდან, ინგლისელებს მოვლენათა განვითარების ასეთი პროგნოზი შესთავაზა: მენავთობე არაბები პრემიერლიგასა თუ მასზე დაბალ დივიზიონებში კიდევ სულ მცირე ათ გუნდს იყიდიან. და ეს ადამიანი გახლავთ დოქტორი **ჰაფეზ ალმედლეჯი**, რომელიც საუდის არაბეთის პროფესიული ლიგის კომისიის თავმჯდომარეა.

ბოლო ინგლისური კლუბი, რომელიც არაბმა ბიზნესმენმა იყიდა, მოგეხსენებათ, „პორტსმუთია". მისი ახალი მფლობელია მავანი **ალი აბდულა ალ ფარაჯი**, რომელსაც ამ მოკლე წერილის ბოლოს ისევ დავუბრუნდებით, ჯერჯერობით კი თქვენს ყურადღებას იმაზე გავამახვილებთ, რომ რატომღაც, სწორედ ალ ფარაჯის ამბავმა შთააგონა სხვა საუდელებს ახალ-ახალი ინგლისური კლუბების ყიდვა. ყოველშემთხვევაში, დოქტორი ალმედლეჯი ასე ბრძანებს:

*„თუ ერთი წლის განმავლობაში რაიმე ფორსმაჟორული არ მოხდა და ყველა, ვინც ინგლისურ კლუბში ფული ჩადო გარემოს და ბიზნესს მოერგო, ერთი წლის შემდეგ უეჭველად უნდა ველოდეთ კიდევ ათ ინვესტორს. ბევრმა მათგანმა, შესაძლოა, უკვე პრემიერლიგის კი არა, ჩემპიონატის გუნდები იყიდოს. შარშან მე დამიკავშირდა რამდენიმე ადამიანი, რომელთაც სწორედ ჩემპიონატის გუნდებში მომასინჯვინეს ძალა. მათთვის რაღაცები გავიკითხე, ნიადაგი მოვსინჯე. ეს ხალხი მეტწილად ითხოვს გუნდს, რომლის თამაშებსაც ხალხი ესწრება, ინფრასტრუქტურა თავიდან ასაშენებელი არ აქვს და სასურველია, თუ ლონდონურიც იქნება".*

ბოლო ცნობა, რომელიც არაბი მილიარდერისა და ინგლისური კლუბის მოლაპარაკებებს ეხება, ასეთი გახლავთ: პრინც **ფაისალს** „ლივერპული" აინტერესებს. „სტემფორდ ბრიჯზე" გამართულ საფეხბურთო ლიდერების კონფერენციაზე გამოსვლისას დოქტორმა ალმედლეჯმა განაცხადა, რომ ინგლისელებს სანერვიულო არაფერი აქვთ. მან „მანჩესტერ იუნაიტედის" მაგალითი მოიტანა და იკითხა: განა იმით, რომ ეს კლუბი ამერიკელმა ბიზნესმენებმა იყიდეს, რამე დაშავდა?

ჰაფეზ ალმედლეჯი: *„თუკი ესა თუ ის ბიზნესმენი მოვა, ფულს მოიტანს და საფეხბურთო საქმეების მართვაში ცხვირს არ ჩაყოფს, რა იქნება ამაში ცუდი? ამ ხალხს წარმატება სწყურია და მთელი ეს ჟინიც სწორედ აქედან მოდის. არც ერთი საუდელი არ მოჰკიდებს ფეხბურთის კლუბს ხელს, თუ ამ საქმით გატაცებული არ არის. მერედა, მერწმუნეთ, ძნელია საუდის არაბეთში ისეთი ადამიანის და მათ შორის ბიზნესმენის პოვნა, რომელსაც ინგლისური ფეხბურთი არ უყვარს. თუ არ ვცდები, „არსენალის" „ემირეიტს სთედიუმზე" დაახლოებით 20 ადგილი საუდელებს აქვთ ნაყიდი, რათა როდესაც ლონდონში იქნებიან, სტადიონზე მივიდნენ".*

მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ დოქტორი ალმედლეჯის თანამემამულეებს მხოლოდ ინგლისური ფეხბურთის ელიტური ნაწილი არ იტაცებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაბალი ლიგების კლუბებით არ დაინტერესდებოდნენ. თავად დოქტორიც არ უარყოფს, რომ უახლოეს პერიოდში შესაძლოა კიდევ გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც „ნოთს ქაუნთის" ტიპის შენაძენს გააკეთებს.

*„ვფიქრობ, ყველა ბიზნესმენი პრემიერლიგის გუნდს არ მიეტანება - ამბობს ის - ზოგი დაბალი დივიზიონის კლუბს შეიძენს და მის აღზევებას შეეცდება. მეტსაც გეტყვით, ინვესტიციის თვალსაზრისით ჩემპიონატის გუნდის შეძენა და მისი პრემიერლიგაში აყვანა ჯობს".*

მაშრიყელი ბიზნესმენების მიერ აქამდე შეძენილ კლუბთაგან ყველაზე პოპულარული და სახელოვანი, რასაკვირველია, „მანჩესტერ სიტია". აბუ დაბის მმართველი ოჯახისა და კერძოდ შეიხ **მანსურის** ფულით ისტლენდელები საშუალოდან ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდად გადაიქცნენ. ბოლოს და ბოლოს, თუ ჩემპიონები ვერ გახდებიან, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვებას რომ შეეცდებიან, რად უნდა ლაპარაკი? დოქტორ ალმედლეჯი ბრძანებს:

*„ჯერ კიდევ შვიდი წლის წინ დავწერე სტატია იმის შესახებ, როგორ სთავაზობდა „მანჩესტერ სიტი" არაბ ბიზნესმენს თავს. ის წერილი რომ დაიბეჭდა, „სიტი" ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე იყო".*

დაბოლოს, ისევ „პორტსმუთის" შესახებ. მოგეხსენებათ, ინგლისელი ჩინოვნიკები კარგა ხანს არ რთავდნენ ალ ფარაჯს კლუბის შეძენის ნებას, რადგან მისი ვინაობა და რაობა აეჭვებდათ. ხელები გაასავსავა დოქტორმა ალმედლეჯმაც. მან ბრძანა, რომ ეს კაცი ინგლისში კი არა, თავად საუდეთშიც იდუმალებითაა მოცული:

*„ჩვენც ვერაფერს მოგახსენებთ. ვიცით მხოლოდ ის, რაც ბრიტანულ მედიაში წავიკითხეთ და მოვისმინეთ. მეგობრებშიც გავიკითხე, თუმცა მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მეტსაც გეტყვით, საუდეთის გაზეთებმა სამი დღის განმავლობაში ამ კაცის სურათიც კი ვერ გამოაქვეყნეს".*

მოსაზრება

# პრემიერლიგაში კარდაკარ...

ვინ არის დღეს პრემიერლიგაში პიტერ შილტონის დარი?


ჟამთა სვლა წარსული დროის ვარსკვლავებს აუცილებლად ნაცარს როდი აყრის, ბევრი უწინდელზე უფრო მეტ სიკაშკაშესაც კი იძენს და დროთა განმავლობაში ლეგენდარული ხდება, - ფიქრობს ინგლისელი ჟურნალისტი **სტივენ ჰოვარდი** და ასეთი შესავლის შემდეგ მეკარეების თემაზე გადადის. მისი აზრით, ის რომ ოდესღაც ინგლისელ მეკარეებს მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდათ, დრომ დაადასტურა. ძველთაძველ **რონ სპრინგეტს გორდონ ბენქსი** მოჰყვა, ბენქსს კი კონკურენტთა წყვილი, **პიტერ შილტონი** და **რეი კლემენსი**. მაგრამ, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დროინდელი შემადგენლობისთვის თვალის გადავლება და მისი დღევანდელთან შედარება ძალიან მარტივად გვაჩვენებს, რომ პოზიციაზე, რომელიც ბევრი სპეციალისტის აზრით, ნებისმიერ გუნდში უმნიშვნელოვანესია, ინგლისს საქმე მთლად სატრაბახოდ არ აქვს. ერთი სიტყვით, ჰოვარდის აზრით **ფაბიო კაპელოს**, სამხრეთ აფრიკაში წასაყვან გოლკიპერთა შერჩევისას დიდი ფიქრი მოუწევს და ფრთხილადაც უნდა იყოს, შეცდომა რომ არ დაუშვას.

შემდეგ ჰოვარდი ოთხ დიდებულ გოლკიპერს იხსენებს: შილტონს, **დევიდ სიმენს, კრის ვუდსსა და დეივ ბიზანტს.** ჟურნალისტის აზრით, „უიმბლდონის", „ნიუკასლის" და „ჩელსის" ყოფილი გოლკიპერი, ბიზანტი, მიუხედავად იმისა, რომ 50 წლისაა, კვლავ რომ თამაშობდეს, დნეპროპეტროვსკში, უკრაინის დონის გუნდებთან ულაპარაკოდ ჩადგებოდა კარში - მოგეხსენებათ, დღეს ინგლისელები უკრაინას ხვდებიან. არადა, ოცი წლის წინ ეს მეკარე მეოთხე იყო. და ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ პერიოდში **ნაიჯელ მარტინი და ტიმ ფლაუერსიც** თამაშობდნენ. ხალხი, რომელიც კარში ყოველგვარი შფოთვისა და ცმუკვის გარეშე იდგა. ისინი საიმედონი იყვნენ. მათი დღევანდელ ინგლისელ გოლკიპერებთან შედარება არაფრით შეიძლება, რადგან მათთან შედარებით დღევანდელები როდის რა შეცდომას დაუშვებენ, კაცმა არ იცის.

პრემიერლიგის ბოლო ტურში (ჰოი, საოცრებავ!) სხვადასხვა გუნდის კარში ექვსი (!) ინგლისელი მეკარე იდგა: **დევიდ ჯეიმსი** (პორტსმუთი), **რობერტ გრინი** (ვესტ ჰემი), **პოლ რობინსონი** (ბლექბერნი), **ბენ ფოსტერი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **კრის კირკლენდი** (უიგანი) და **ჯო ჰარტი** (ბირმინგემი). მაგრამ ამ ექვსი გუნდიდან ხუთი სადღაც ცხრილის ფსკერზე ფაფხურობს, ხოლო მეექვსე, „მანჩესტერ იუნაიტედი" მოუთმენლად ელის იმ დღეს, როდესაც ჰოლანდიელი **ედვინ ვან დერ სარი** მომჯობინდება და ინგლისელ ფოსტერს სათადარიგოთა სკამზე გადატყორცნის. მეტიც, მოსალოდნელია, რომ ფოსტერი „ოლდ ტრეფორდის" მეკარეთა შორის მესამე გახდეს, მასზე წინ მხოლოდ ვან დერ სარს კი არა, პოლონელ **ტომაშ კუშჩაკსაც** დააყენებენ.

კაცმა რომ თქვას, ინგლისური პრემიერლიგის ბევრ გუნდში ჰყავთ პირველი და მეორე მეკარე უცხოელი: **პეტრ ჩეხი** და **ილარიო** „ჩელსიში", **მანუელ ალმუნია** და **ვიტო მანონე** „არსენალში", **პეპე რეინა** და **დიეგო კავალიერი** „ლივერპულში"... ერთი სიტყვით, დასვამენ ფოსტერს სკამზე და პრემიერლიგის დიდი ოთხეულის კარს ცოტა ხანში ინგლისელი მეკარე ახლოსაც ვერ მიეკარება.

ერთი სიტყვით, ბრიტანეთის კუნძულებზე საქმე სავალალოდ შემოტრიალდა. **დევიდ ჯეიმსი**, რომელიც თითქოსდა მოქმედ ინგლისელ გოლკიპერთა შორის ყველაზე ძლიერია, უკვე 40 წლისა გახლავთ... და გავიმეორებთ, რაც ზემოთ ვთქვით: კაპელოს მართლა ძალიან რთულად აქვს საქმე. ახლა, წარმოიდგინეთ, რომ ამ თითზე ჩამოსათვლელ მეკარეთაგან რომელიმე დაშავდეს... ერთი სიტყვით, დიდი შანსია, იტალიელ მწვრთნელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ძელთა შორის ღირსეულის ჩაყენების საშუალება უბრალოდ არ მიეცეს.

არადა, ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობაზე აქვს პრეტენზია. უნდა ჰქონდეს კი? მოდი, ბოლო დიდ შეჯიბრებებს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს, უფრო სწორად კი მათ გამარჯვებულებს გადავხედოთ. 1998 წელს საფრანგეთის ნაკრების კარს **ფაბიენ ბარტეზი** იცავდა. ბარტეზი გახლდათ ფრანგთა გოლკიპერი 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზეც. ორი წლის შემდეგ, კორეასა და იაპონიაში გამართულ მუნდიალზე ბრაზილიელთა მეკარე გახლდათ **მარკოსი**, რომელიც - მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ, ბრაზილიელ მეკარეებს სისუსტეს სწამებენ - სულაც არ იყო სხვაზე ნალები. ამის დამტკიცება სტატისტიკის მოშველიებითაც ძალიან მარტივად შეიძლება: მარკოსმა მსოფლიოს ჩემპიონატზე, ყველა შეხვედრაში, ოთხად ოთხი გოლი გაუშვა, ხოლო ფინალში **ოლივერ ბირჰოფსა** და **ოლივერ ნოივილს** ნაღდ საგოლე დარტყმებს გადაავლო ცივი წყალი. ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე ბერძნების ერთ მუშტად შეკრული გუნდის უკან შეუვალი **ანტონის ნიკოპოლიდისი** ედგათ. ექვს თამაშში მან მხოლოდ ოთხი გოლი გაუშვა და ამას თავი დავანებოთ, გასულ სეზონშიც კი, 37 წლისა, „ოლიმპიაკოსის" შემადგენლობაში, დაფრინავდა. ამას „არსენალის" ქომაგები ხვეწნის გარეშე დაგიდასტურებენ.

და აი, ახლა მივადექით თანამედროვეობის ორ უდიადეს მეკარეს, იტალიელ **ჯანლუიჯი ბუფონსა** და ესპანელ **იკერ კასილიასს**. ჟურნალისტი სტივენ ჰოვარდი თავის სტატიაში ამ ორ გოლკიპერს გვერდით ვან დერ სარსა და ჩეხსაც უყენებს, მაგრამ თუკი სურვილი გაქვთ - და ეჭვი მაქვს, რომ ბევრს ექნება - შეგიძლიათ, შეედავოთ.

ბუფონი, მოგეხსენებათ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონია, ხოლო კასილიასი 2008 წლის ევროპის ჩემპიონი. ბუფონი „იუვენტუსის" გოლკიპერია, რომელსაც შვიდი წლის განმავლობაში სერია A-ს საუკეთესო მეკარედ ასახელებენ. თან, იტალიელი ჯერ მხოლოდ 31 წლისა გახლავთ.

მერედა, გავიხსენოთ, როგორ გახდა ბუფონი 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონი: მთელი ტურნირის განმავლობაში ორად ორი გოლი გაუშვა. ამ ორიდან ერთი თანაგუნდელი მცველის ავტოგოლი ანუ უბრალო უილბლობა გახლდათ, მეორე კი ფინალში **ზინედინ ზიდანის** დარტყმული **პანენკასებური** პენალტი-სიგიჟე.

და კასილასზე რაღა უნდა ითქვას? მოდი, ბავშვობიდან მოგროვებულ მის რეგალიებს ნუღარ ჩამოვთვლით, თუმცა ის კი ვთქვათ, რომ ბევრი სპეციალისტის აზრით, 28 წლის გოლკიპერი თავის მაქსიმუმს მხოლოდ ახლა უახლოვდება...

მგონი, მოტანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ მეკარის როლი ნებისმიერ გუნდში, მით უფრო კი დიდ გუნდში, ვეებერთელაა. ხოლო, თუ ინგლისს სამხრეთ აფრიკაში წარმატების მიღწევა სურს, მისი რომელიმე გოლკიპერი მეტისმეტად დიდ ტვირთს უნდა შეეჭიდოს, შესაძლოა დაუძლეველსაც კი.

სამართალი

# ბრძოლა გაგრძელდება

პოლ პოგბა


ფრანგული „ავრი" ფიფას გადაწყვეტილებას არ ეპუება და 16 წლის **პოლ პოგბას** „წართმევის" გამო „მანჩესტერ იუნაიტედთან" ბრძოლის გაგრძელებას აპირებს. „იუნაიტედმა" კი შვებით ამოისუნთქა, როდესაც ფიფას კომისიამ ავრელთა ბრალდებები უსამართლოდ ცნო და ინგლისის ჩემპიონი არ დასაჯა.

შეგახსენებთ, რომ ფრანგული მხარე მანჩესტერელებს ნიჭიერი ყმაწვილის, უფრო სწორედ კი მისი ოჯახის ფულით მოთაფვლაში სდებდა ბრალს. „ავრის" ხელმძღვანელობა ამტკიცებდა, რომ სწორედ მანჩესტერელთა ჩარევის გამო დაარღვია პოგბამ კონტრაქტი, რასაც მისი საფრანგეთიდან ინგლისში გაქცევა მოჰყვა, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედი" ბრალდებას მაგრად დაუდგა. თავის საიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ინგლისურმა კლუბმა დაწერა, რომ ფიფას მიერ დანიშნულმა მოსამართლემ გამოარკვია, რომ პოგბას „ავრთან" არანაირი კონტრაქტი არ ჰქონია გაფორმებული და შესაბამისად, წესები ვერანაირად ვერ დაირღვეოდა.

ამის მიუხედავად, „ავრი" მაინც არ თმობს პოზიციებს. კლუბის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს: *„ფიფას პოგბას ტრანსფერი ოფიციალურად არ დაუმტკიცებია, მაგრამ როგორც საერთოდ აკეთებს ხოლმე, დროებითი საერთაშორისო სერტიფიკატი მოგვცა".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

საპარლამენტო კომიტეტში



# სპორტი ცალკე მუხლად შევა კონსტიტუციაში

გუშინ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სხდომა, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის **გიორგი ასანიძის** ინიციატივით, საქართველოს სახელმწიფო კონსტიტუციაში სპორტის შესახებ ჩანაწერის შეტანის საკითხის განხილვას მიეძღვნა. განხილვას სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის **ავთანდილ დემეტრაშვილის** და მდივნის, **თენგიზ შარმანაშვილის** გარდა, ესწრებოდნენ სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საპარლამენტო კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე **ვაჟა შუბლაძე** და საბჭოს წევრები.

გიორგი ასანიძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს კონსტიტუციაში სპორტის შესახებ ჩანაწერის აუცილებლობაზე და შეკრებილთ გააცნო შესაბამისი პროექტი.

აზრთა გაზიარების შემდეგ ავთანდილ დემეტრაშვილმა წინადადება წამოაყენა, რომ კონსტიტუციაში სპორტი უნდა აისახოს არა კულტურასთან ერთად, არამედ ცალკე მუხლად, რადგან ამას სავსებით იმსახურებს საქართველო, როგორც სპორტული ქვეყანა და ერის ფიზიკური გაჯანსაღების სოციალური ამოცანა. თენგიზ შარმანაშვილმა განაცხადა, რომ სპორტთან დაკავშირებით ახალი საკონსტიტუციო მუხლის პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მასობრივი სპორტი, ანუ სპორტი ყველასათვის, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობის ფართო ფენებისთვის.

შეხვედრაზე გამოითქვა აგრეთვე რამდენიმე მოსაზრება, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ფიზკულტურის სწავლება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი ერის ფიზიკური გაჯანსაღებისა და პროფესიული სპორტის განვითარებაში.

**სხდომაზე განისაზღვრა სპორტთან დაკავშირებით კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების ძირითადი პრინციპები. კომიტეტის და საკონსტიტუციო კომისიის წევრების ერთობლივი სამუშაო შეხვედრები კვლავაც გაგრძელდება.**

თენგიზ თომაშვილი

ძიუდო

ბაქოს მსოფლიოს თასი

# კიდევ ორი დაგვაკლდა

დღეს ბაქოში იწყება ვაჟ ძიუდოისტთა მსოფლიოს თასი, რომელიც სალიცენზიო რეიტინგში ჩასათვლელ ქულებს იძლევა. ტურნირში ჩვენი ნაკრებიც იასპარეზებს, მაგრამ ავადმყოფობამ ადრინდელ შემადგენლობას ორი კაცი გამოაკლო – მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** (100) და ევროპის სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი **ალექსი დავითაშვილი** (+100). შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე ხელის ტრავმამ **ამირან ტოტიკაშვილის** რჩეულებს **გრიგოლ შინჯიკაშვილიც** (81) გამოაკლო. ამდენად, ბაქოში **ამირან პაპინაშვილი, იოსებ ნიჟარაძე** (60), **გიორგი ფერსაშვილი, ალექსანდრე იაკობაშვილი, ლევან ჩუბინიძე** (66), **ზაზა კედელაშვილი, მინდია ხომიზური, დავით კუპრაშვილი** (73), **ხვიჩა ხუციშვილი** (81), **მინდია ბოდაველი, გრიგოლ მამრიკიშვილი, საბა გავაშელიშვილი, ზვიად გოგოჭური** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი** და **ადამ ოქრუაშვილი** (+100) იჭიდავებენ.

დღეს 60, 66 და 73 კილოგრამი წონითი კატეგორიების ფალავნები იჭიდავებენ, ხვალ – დანარჩენები, ამ ტურნირზე კი ტოტიკაშვილის ოფიციალური დებიუტი შედგება ნაკრების თავკაცის რანგში.

ირაკლი თავაძე


## განცხადება

30-წლიანი გამოცდილების სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტი **ზურაბ ჯავაშვილი** გთავაზობთ სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის პროცედურებს შემდეგი მძიმე დაავადებების სამკურნალოდ:

1. ტრავმული ჰემიპარეზი;
2. სისხლის მიმოქცევის მოშლით გამოწვეული კიდურების დამბლა;
3. ავტოკატასტროფის დროს ტრავმების შედეგად სხეულის ატროფია;
4. მოტეხილობის შემდგომი კონტრაქტურები.

მაღალი შედეგისა და, უმეტეს შემთხვევაში საბოლოო განკურნებისათვის სასურველია მკურნალობის დაწყება შემთხვევიდან არა უგვიანეს 6 თვისა.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მკურნალობა ბინაზე მისვლითაც.

მიღება წინასწარი ჩაწერით.

მისამართი: დ. ჭიჭინაძის №11

ყოველდღიური ახალი სპორტული ამბები

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ვებგვერდზე:

www.sportandyouth.ge


კრივი

# ოთხი მედალი ანაპიდან

რუსეთის ქალაქ ანაპაში მოსწავლეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა, სადაც ქართველმა მოკრივეებმა საკმაო წარმატებით იასპარეზეს. ბრინჯაოს მედლის მოპოვება ოთხმა ქართველმა შეძლო. ამ წარმატებას მიაღწიეს შუახეველმა **გიორგი ამაღლობელმა** (40 კგ), ქუთაისელმა **ჯემალ შალამბერიძემ** (50 კგ), მისმა თანაქალაქელმა **ირაკლი ქათამაძემ** (65 კგ) და გურჯაანელმა **დავით ფურცელაძემ** (მძიმე წონა).

ლევან ჯანეზაშვილი

ხრიდოლი

# ხრიდოლი უკვე გორშია

სასიხარულოა, რომ ჩვენს ქვეყანაში ხრიდოლის გეოგრაფია ფართოვდება. ოქტომბრის დამდეგიდან ამ ძირძველი სახეობის ჯგუფმა ფუნქციონირება გორშიც დაიწყო. ხრიდოლით იქ ბევრი ბავშვია დაინტერესებული. მალე ჯგუფი ასაკობრივ კატეგორიებად დაიყოფა, უახლოეს პერიოდში კი ხრიდოლის სამჭიდში შეჯიბრებაც მოეწყობა.

ლევან ჯანეზაშვილი

ხელბურთი

# ჩემპიონატი ნოემბერში დაგეგმეს

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეროვნული ჩემპიონატი ნოემბერში დაიწყება. ჯერჯერობით მონაწილეთა ვინაობა დაუდგენელია, რადგან, სავარაუდოდ, ფინანსური პრობლემების გამო ზოგ გუნდს ქვეყნის პირველობაზე ასპარეზობა გაუჭირდება. ჩვენი ინფორმაციით, ახალი სეზონისთვის მზადება მხოლოდ საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა "თბილისმა" განაახლა. იმედია, მას მალე სხვებიც შეუერთდებიან და ახალი ჩემპიონატი წინაზე საინტერესო იქნება. შეგახსენებთ, უსახსრობის გამო განვლილ ჩემპიონატში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა სტუ-"შევარდენმა" ვერ იასპარეზა, რამაც ტურნირი, ფაქტობრივად, ინტრიგის გარეშე დატოვა.

ლევან ჯანეზაშვილი

მის სპორტი



მარცხნიდან მარჯვნივ, მზევინარ სამუკაშვილი და ქეთი ხატიაშვილი

# ყველაზე დიდი სილამაზე ტანვარჯიშშია

ზაფხულში გამართული "მის სპორტის" კონკურსი "ლელომ" ოპერატიულად გააშუქა. ახლა კი ამ თემას იმიტომ მივუბრუნდით, რომ შესაძლებელი იყო, საქართველოს "მის სპორტი" **მზევინარ სამუკაშვილი** ამ თვეში ლას-ვეგასში, "მის მსოფლიო სპორტის" კონკურსზე გამგზავრებულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო, საამისო ლიცენზიის ალება ამ ეტაპზე ვერ მოვახერხეთ.

შეგახსენებთ, კონკურსზე განსაკუთრებულ წარმატებას მხატვრულმა ტანმოვარჯიშეებმა მიაღწიეს. "მის სპორტი" **მზევინარ სამუკაშვილი** გახდა, "ვიცე-მისის" წოდება კი **ქეთი ხატიაშვილმა** მოიპოვა.

კონკურსის იდეა **კახა ბასილიას** ეკუთვნის. წლეულს "მის სპორტი" უფრო ორგანიზებული და დახვეწილი იყო. კასტინგი 200-მდე გოგონამ გაიარა, უშუალოდ კონკურსისთვის კი 25 სპორტსმენი შეირჩა. ბოლო ეტაპზე 6 რჩეულიდან საუკეთესოთა ამორჩევა ჟიურის ძალიან გაუჭირდა.

მზეო და ქეთი კონკურსის პერიპეტიებს დღესაც სიამოვნებით იხსენებენ. ამბობენ, რომ ყველაზე მეტად პოდიუმზე სიარულში ვარჯიში გაუჭირდათ. სპორტსმენებისთვის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ისედაც უჩვეულოა, ხოლო როცა ქუსლებზე 181 სმ სიმაღლის სამუკაშვილი შედგა, ამან კონკურსის მონაწილეებსა და მაყურებლებში განსაკუთრებული ეფექტი მოახდინა. მზეოსთვის ეს პირველი კონკურსი იყო, ქეთი კი გამოცდილია, "მის საქართველოს" მონაწილეცაა და არაერთ სარეკლამო რგოლშიც გადაუღიათ.

გოგონების მწვრთნელი **ფიქრია ფანქველაშვილი** საკუთარი აღსაზრდელებით უსაზღვროდ ამაყობს, მხოლოდ იმითაა "შეწუხებული", რომ მათი თაყვანისმცემლების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა ისიც კარგად იცის, რომ გოგონები ნამდვილი პროფესიონალები არიან და სილამაზის კონკურსზე წარმატება მათ სპორტულ შედეგებზე უარყოფითად არ აისახება. ის კი არა, შესაძლოა, "მის სპორტის" ტიტულებს დიდი სპორტული გამარჯვებებიც მოჰყვეს.

ლევან ჯანეზაშვილი

ავტორის ფოტო

ქართული ჭიდაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ჭიდაობის დიდი ოჯახის ღვაწლმოსილი და თვალსაჩინო წარმომადგენლის, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივნის

ომზარ შოშიტაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამოსათხოვარი



# ომზარ შოშიტაშვილი

საკმაოდ მძიმე დაავადებებს დიდხანს ებრძოდა ვაჟკაცური შემართებით, ბოლო წამებამდე არ ნებდებოდა ბედისწერას... ფარ-ხმლის დაყრა, გატეხა და მოდუნება მის ხასიათში არ იყო. ამიტომაც არ იმჩნევდა ავადმყოფობას და ღიმილს ძველებურად არავისთვის იშურებდა. იშვიათად, ვინმე ასე ერთპიროვნულად იხვეჭდეს გარშემო მყოფთა სიყვარულს. არა უბრალოდ პატივისცემას, არამედ – სიყვარულს! თან ამას ისეთი უბრალოებით, უშუალობით აკეთებდა, მის ქცევაში არაფერი იყო ყალბი და არაბუნებრივი. ადამიანებთან ურთიერთობის, სიკეთის გაცემის საოცარი ნიჭი ჰქონდა. დიდთან დიდი და პატარასთან პატარა ყოველთვის ინარჩუნებდა „ოქროს შუალედს" - არც ხაზგასმულ სიდარბაისლეს კარგავდა. ყველასთან დინჯი, მშვიდი, წყნარი, სასიამოვნო და სასურველი მოსაუბრე იყო.

დროთა განმავლობაში მისი სახელი და ჭიდაობა სინონიმებად იქცა. სპორტით ბავშვური ხალისი მერე პროფესიულ გატაცებად იქცა და ახალგაზრდებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა. აგრონომის პროფესიას დაეუფლა, მაგრამ სპორტშივე დარჩა – ჯერ სსრ კავშირის ასაკობრივ გუნდებში იმუშავა, მერე კი საქართველოს ნაკრები ჩაიბარა. ამას ფუნქციონერობა მოჰყვა - საქართველოს სპორტკომიტეტში საჭიდაო სახეობებს მეთვალყურეობდა, იქიდან საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში გადაინაცვლა, სადაც ფედერაციის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან ილვწოდა და ლამის ორი ათეული წელიწადი გაატარა გენერალური მდივნის პოსტზე.

ბევრს მისი სახელი აოცებდა, რაც იმდროინდელმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა – მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას დაბადებულს, ომზარი, ანუ ომის ზარი დაარქვეს. დღეს კი მისი სახელი გლოვის ზარს უკავშირდება.

წლევანდელი ევროპის პირველობის მერე ფედერაციაში ახალი არჩევნები ჩატარდება, მაგრამ კენჭს აღარ ვიყრიო, - განუცხადა მეგობრებს. მიზეზად ჯანმრთელობის გაუარესებას ასახელებდა. მართალს ამბობდა – ბოლო თვეებში შესამჩნევად მოტყდა. ბუნებით თავმდაბალმა უხმაუროდ არჩია წასვლა – ევროპის ჩემპიონატისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე თქვეს მისი გადაწყვეტილების შესახებ და გაწეული ღვაწლისთვის მადლობაც გადაუხადეს.

ასე წავიდა ყველასთვის საყვარელი კაცი ჯერ ჭიდაობიდან, მერე – ცხოვრებიდან – წყნარად, უხმაუროდ, პომპეზურობის გარეშე, მაგრამ ალალად ნაკეთები ქართული საქმის შარავანდედით მოსილი. ის ახალ ცხოვრებაში გადავიდა, აქ კი მის გარეშე დაიწყო ახალი ათვლა...

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს.

მეგობრები და კოლეგები

## კალათბურთი

ტრანსფერი

# ცქიტიშვილმა პანიონიოსი შეარჩია



საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ნიკოლოზ ცქიტიშვილმა** ბერძნულ "პანიონიოსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა – ასეთი ინფორმაცია გაავრცელეს ბერძნულმა წყაროებმა.

ნიკა უკვე საბუთებს აწესრიგებს, ამ დღეებში საბერძნეთში გაემგზავრება და ახალ კლუბს შეუერთდება. "პანიონიოსის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ქართველი კალათბურთელის დახმარების იმედი აქვს, როგორც ფარქვეშ, ისე პერიმეტრზე.

ბერძნულ საიტებზე ნიკას კარიერის ყველა კლუბია ჩამოთვლილი, ჩვენ კი "პანიონიოსის" კარიერას გადავხედოთ. ეს გუნდი "პანათინაიკოსსა" და "ოლიმპიაკოსს" ვერ უტოლდება, მაგრამ საბერძნეთში ოთხეულში მოხვედრის პრეტენდენტად ყოველთვის განიხილება. "პანიონიოსმა" 2007 და 2008 წლებში ბერძენთა პირველობაში მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო გასული სეზონი მეექვსე პოზიციაზე დაასრულა. ნიკას ახალმა კლუბმა სეზონში ევროლიგაზე ითამაშა, თუმცა წლეულს მხოლოდ საბერძნეთის ჩემპიონატში ცდის ძალებს.

ნიკა ცქიტიშვილი მეოთხე წელია, ამერიკიდან ევროპაში ჩამოვიდა და მას შემდეგ სამი კლუბი გამოიცვალა. 2006 წელს ესპანეთის "კახასოლში" თამაშობდა, 2007-08 წლების სეზონი იტალიურ "ტერამოში" გაატარა, ხოლო 2008-09 წლებში ესპანეთში დაბრუნდა და "ფუენლაბრადას" ღირსებას იცავდა. სკიტა 2009-10 წლების სეზონს "პანიონიოსთან" ერთად დაიწყებს. პირველ ტურში, 24 ოქტომბერს ცქიტიშვილის თანაგუნდელები "პერისტერს" ეწვევიან.

ბერძნულ საიტ "გოლდეიში" ერთ-ერთი ჟურნალისტი სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე საუბრისას ერთ ქვეთავს ასე ასათაურებს, "ქართული რევოლუცია", სადაც ვკითხულობთ: *"პირველი ქართველი კალათბურთელი საბერძნეთში შარშანწინ ვიხილეთ (შევასწორებთ: მანამდე იქ რამაზ გოგობერიშვილიც თამაშობდა) – გორდონ ჰერბერტის "არისში" ვლადიმერ ბოისა ჩაირიცხა. მან საბერძნეთში სულ ოთხი თვე გაატარა. მოახლოებული სეზონის წინ ნამდვილ ქართულ რევოლუციასთან გვაქვს საქმე: უმაღლესი ლიგის გუნდებში ერთბაშად სამი ქართველი კალათბურთელი ითამაშებს – გიორგი ცინცაძე "ტრიკალას" ღირსებას დაიცავს, ნიკოლოზ ცქიტიშვილი – "პანიონიოსის", ხოლო გიორგი შერმადინი - "პანათინაიკოსის".*

რევოლუციაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ნამდვილად საინტერესო იქნება ელადაში ჩვენიანთა პაექრობების ხილვა. პირველი ქართული დუელი 19 დეკემბერს შედგება – "პანათინაიკოსი" "ტრიკალას" უმასპინძლებს. მომდევნო ტურში, 2 იანვარს "პანათინაიკოსი" ცქიტიშვილის "პანიონიოსს" ესტუმრება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# 11 ნოემბერს არჩევნებია

გუშინ, კალათბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელზეც იმსჯელეს საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის და საპრეზიდენტო არჩევნების საკითხებზე.

გადაწყდა, რომ არჩევნები 11 ნოემბერს გაიმართება. საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში 14 საათზე დაიწყება.

კალათბურთის ფედერაციის პრესრელიზი გვამცნობს, რომ არჩევნებში მონაწილეობას ფედერაციის 57 ფიზიკური და 17 იურიდიული პირი მიიღებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ბესიკ ლიპარტელიანი

## ჩოგბურთი

# ლორენდონთან ვერც ოქსანამ ივარგა

საფრანგეთის ქალაქ ლიმოჟის ქალთა საერთაშორისო ტურნირს (25 ათასი $) ერთეულთა თანრიგში ქართველი ჩოგბურთელი აღარ შემორჩა. გუშინ მეოთხედფინალურმა მატჩებმა ტურნირი ერთ-ერთი ფავორიტის გარეშე დატოვა - მე-3 ნომრად განთესილმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** (185) მასპინძელ **ანაის ლორენდონთან** (308) წააგო - 5:7, 3:6. თითოეული სეტი 45 წუთს გაგრძელდა, ოქსანას ანგარიშზე ორი ეისია. ფრანგი საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაება ასპარეზობაში და ბევრი ვერ იფიქრებდა, რომ ის ძირითად ბადეში მიყოლებით ორ განთესილ ქართველს დაამარცხებდა.



ოქსანას დღეს მნიშვნელოვანი მატჩი ელის წყვილთა თანრიგში - ფინალში კალაშნიკოვა და **ელენა ჩალოვა** (175), რომლებიც პირველ ნომრად არიან განთესილები, ფრანგულ დუეტს ეთამაშებიან, მე-2 ნომრად განთესილ **ფლორენს ჰარინგს** (427) და **ვიოლეტ ჰუკს** (290). არ არის გამორიცხული, კალაშნიკოვას ხვალვე მოუწიოს სხვა ტურნირში თამაშმა. საქმე იმაშია, რომ ოქსანა ჟუე ლე ტურის საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი $) აპირებს თამაშს. წინასწარი მონაცემებით, ის ძირითად ბადეში ვერ ხვდება და საკვალიფიკაციოში პირველ ნომრად განთესავენ. საკვალფიკაციოში მასთან ერთად **სოფიო ქვაცაბაიაც** (510) ითამაშებს. თუმცა ერთი ჩოგბურთელიც რომ დააკლდეს ძირითად ბადეს, ოქსანა ძირითად ბადეში გადავა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მაშ, წუწურაქიო?!

## კალათბურთის ბედი საქართველოში, ანუ ხვანჭკარის ქვეყანაში ადესას ვეწაფებით

გუშინ წაიკითხავდით **ზაზა ფაჩულიას** ნააზრევს ხვანჭკარაზე...

**მანუჩარ** და **გიორგი მარკოიშვილები** მამას, ბატონ ნუგზარს რაჭაში, საკუთარ ვენახში ხვანჭკარის მოყვანასა და ღვინის დაყენებაში ეხმარებიან...

საფერავსაც ბევრი მოვლა უნდა... სამაგიეროდ, ძვირად იყიდება. მოკლედ, თუ სხვლაში, საწამლი აპარატის ზურგით ტარებაში, გაფურჩქნასა და კრეფაში ოფლი არ დაღვარე, ღირებულს ვერაფერს მოიწევ.

მანუჩარ მარკოიშვილი, ზაზა ფაჩულია, **ვლადიმერ ბოისა** და სხვა ქართველი ლეგიონერები თამაშობენ ისეთ კლუბებში, სადაც პრეზიდენტით დაწყებული დამლაგებლით დამთავრებული, თავდაუზოგავად შრომობენ, რათა მიიღონ ხვანჭკარის მსგავსი ხარისხიანი პროდუქტი.

კარგი მოსავლის მისაღებად "ვირტუსის", "ატლანტას", "ზადარის" ხელმძღვანელობა თანამედროვე საწამლ აპარატს ყიდულობს, ვაზის წამალშიც ძვირს იხდის... შედეგად, მათ პროდუქტში ხალხი ქინქლასავით ვარდება, ძვირფასი სასმელი ათასობით ადამიანს ათრობს, ართობს – კარგად შეკრულშეფუთული ბრენდების, "პანათინაიკოსის", "ატლანტას", "ზადარის" თამაშებზე ტრიბუნები ბოლომდე ივსება, ყველას უხარია.

■ ■ ■

...და რა ხდება ამ დროს საქართველოში? ღვინის სამშობლოში ამ სასმლის ფასი არ იციან – იმის ნაცვლად, რომ ოფლი მოიდინონ, ძვირფასი წამლები შეიძინონ და ხარისხიანი ღვინო დააყენონ, ქართველები უწამლ ვაზს შეჰყურებენ: მაგალითად, "ადესას" (რუსები "იზაბელას" უწოდებენ), რომელიც არც მაინცდამაინც გასხვლას მოითხოვს, არც შეწამვლა უნდა, ერთადერთი, რაც სჭირდება, მოკრეფაა. "ადესის" ჯიშის ღვინოს არათუ ევროპაში ვერ გაიტან, საქართველოშიც არავინ ყიდულობს – ჰოდა, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ "ადესის" დონის ქართულ საკალათბურთო კლუბების თამაშისას ტრიბუნებზე არავინ ზის.

აბა, ვინ მივა იმ გუნდის სანახავად, რომელიც ყველასთან აგებს... იმიტომ აგებს, რომ სათანადო ხარისხის კალათბურთელები არ ჰყავს... კალათბურთელები იმიტომ არ ჰყავს, რომ ფული არ აქვს... ფული შეიძლება ჰქონდეს



და ენანებოდეს, ან არ ჰქონდეს, მაგრამ ზემოდან ჰქონდეს დავალებული, გუნდი გააკეთეო, ან სურვილი ჰქონდეს, მაგრამ საშუალება არა...

აი, ასეთ წარმონაქმნებთან გვაქვს საქმე. თავად განსაჯეთ: ორშაბათს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან 12 მსურველი მივიდა, რომელთაგან ნახევარს ჯერაც არ გაურკვევია, ითამაშებს თუ არა სუპერლიგაში. გუნდები რომ არ შეუკრიბავთ, ეს აღარაა გასაკვირი. არადა, ჩემპიონატი 31 ოქტომბერს იწყება. სხვათა შორის, ამ სტატიის დაწერა ერთმა გარემოებამ გადამაწყვეტინა: ჯერ სტუ-ს გუნდის წარმომადგენლებს დავურეკე და შევიტყვე, რომ სუპერლიგაში თამაში ჯერ არ გადაუწყვეტიათ, შეიძლება, სულაც ახალგაზრდულ პირველობაზე ვითამაშოთო... შემდეგ "საქართველოს ინსტიტუტის" წარმომადგენელმა მითხრა, სამ დღეში დარეკე, ყველაფერს გავარკვევ და მერე დავილაპარაკოთო... "ავიამშენის" საქმეც არაა გარკვეული, იქაც ერთ-ორ დღეში უნდა დავრეკო... ბათუმშიც ზუსტად სამი დღით მოცდა მირჩიეს, გუნდის სუპერლიგაში თამაში ჯერ არ გადაწყვეტილაო... თსუ-ს უფროსობამ ფორმები შეიძინა, სამონაწილეო თანხა გადაიხადა, თუმცა, კალათბურთელებს ხელფასს ვერ მივცემთ, იურიდიულად გვეკრძალებაო...

სხვა გუნდების "პრეზიდენტებს" ღვინის დაყენების სურვილი კი აქვთ, მაგრამ შეწამვლა ეზარებათ და ამიტომ უხარისხო "ადესას" შეჰყურებენ. მეტსაც გეტყვით, ყურძნის მოსაკრეფად ხუთი მუშის (კალათბურთელის) დაქირავებაც არ სურთ. ისევ ვიტყვი - ფული ან არ აქვთ, ან ენანებათ...

თუ "პანათინაიკოსს" ვერა, რუსთავის "ენერჯის" მაინც მიჰბაძონ, რომელიც "მეადესეთა" შორის პირველია: მუშებისთვის არ ენანება ფული, უფრო სწორად, ხურდა ფული... "ზოგი კიდევა ამბობს წუწურაქიაო, ესაო, ისაო..."

...ხურდების ჩხრიალით კი, "ადესიდან" ელიბოს მარნის საფერავზე ვერასოდეს გადავალთ. არადა, საქართველოში არის რესურსი ხვანჭკარის ხარისხის კალათბურთელებით საექსპორტო გუნდის დაყენებისა. ვითომ, საამისო ფული ჯიბეში არავის უდევს? ...ხურდა არა, ქალალდისა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ანამ ტიტული ვერ დაიცვა

19 წლის **ანა ტატიშვილი** (191) ბოლო დროს ჩვეული შემართებით ვერ თამაშობს - ვანკუვერის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ მან ძირითად ბადეში ორთვიანი პაუზის მერე ტროაში გაიმარჯვა, მაგრამ ეს წარმატებაც დროებითი აღმოჩნდა. ტროას ტურნირი (50 ათასი $) შარშან ანამ მოიგო, წლეულს ქართველი იქ მე-5 ნომრად



ანა ტატიშვილი

განთესეს, მაგრამ ჩვენებურმა ვერ შეძლო ტიტულის დაცვა. მერვედფინალში ანას მეტოქე ამერიკელი **ელისონ რისკე** (319) იყო. ტატიშვილი ფავორიტის რანგში გავიდა კორტზე და სამ სეტში დამარცხდა - 2:6, 6:1, 4:6.

ქართველმა ჩოგბურთელმა 10 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა - შარშანდელი 70-ის სანაცვლოდ ვერაფერი კომპენსაციაა. ანა საერთოდ დაემშვიდობა ტროას, წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში ის და რუსი **რეგინა კულიკოვა** (154) არ გამოუცხადნენ პირველ ნომრად განთესილებს, რუმინელ **ედინა გალოვიცს** (93) და არგენტინელ **ხორხელინა კრავეროს** (229). ანა ტატიშვილი პროფესიულ კარიერაში რეიტინგში ყველაზე მაღლა მარტში იყო, როცა მსოფლიოს 150-ე ჩოგანი გახდა. სამწუხაროდ, მოწინავე ასეულში შესაღწევად ბრძოლის ნაცვლად ჩვენებურს დაღმასვლა დაეწყო და საქართველოს პირველი ჩოგნის სტატუსიც დაკარგა. თუმცა სეზონის მიწურულს ქართველს დაკარგული პოზიციის დაბრუნება ჯერ კიდევ შეუძლია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ვერცხლი იანძის ნაპირებიდან

აზიის კონტინენტს არ ახსოვს ისეთი მაღალი დონის ტურნირები, რომლებსაც 27 სექტემბრიდან მდინარე იანძის ნაპირებზე მდებარე ნანცზინმა — ჩინეთის სამხრეთ დედაქალაქმა (სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება ქალაქის სახელწოდება) უმასპინძლა. 6 ვაჟი ფიდეს 21-ე კატეგორიის სუპერტურნირში მონაწილეობდა, ხოლო 12-მა მანდილოსანმა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის გრან-პრის გათამაშებაში იასპარეზა. მათ შორის იყო ქართველი დიდოსტატი **ნანა ძაგნიძე**, რომელმაც ტურნირი ჩინებულად დაიწყო, მაგრამ გზად ნაფორხილება საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ბოლო ტურის წინ ჩინელ **სიუ იუჰუას** მისთვის ნახევარი ქულით გაესწრო. გადამწყვეტ პარტიაში ძაგნიძემ ყველაფერი იღონა წარმატების მისაღწევად, თუმცა ჩინელი **ჟაო სიუს** წინააღმდეგობა ვერაფრით დაძლია და 103-ე სვლაზე, როცა მეტოქეები თითო მსუბუქი ფიგურის ამარა დარჩნენ, იძულებული გახდა, ზავისთვის მოეწერა ხელი. საბოლოოდ, 7,5-მა ქულამ მას მხოლოდ მეორე ადგილი მოუტანა, რადგან გუშინ ერთპიროვნული ლიდერი სიუ იუჰუა 47-ე სვლაზე ფრანგ **მარი სებაგს** დაუზავდა და 11 შესაძლებლიდან 8 ქულით მთავარი პრიზიც დაიმსახურა.



მე-11 ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ცზიუ ვენცზიუნი-ბაჰუიანგ მონგონთუული** 1:0, **ბეთულ ილდიზიმარტა ფიერო** 1:0, **ჟუ ჩენი — ლილით მკრტიჩიანი** 0,5:0,5, **ირა კოვანოვა-შენ იანი** 0,5:0,5.

7 ქულით მესამე საპრიზო ადგილი ჟაო სიუს ხვდა. მეოთხე-მეთორმეტე ადგილებზე გავიდნენ მკრტიჩიანი (სომხეთი), სებაგი (საფრანგეთი), ვენცზიუნი (ჩინეთი) — 6,5-6,5, შენ იანი (ჩინეთი) — 6, მონგონთუული (მონგოლეთი) — 5,5, კოვანოვა (რუსეთი) — 5, ჟუ ჩენი (ყატარი) — 4,5, ფიერო (ეკვადორი) — 2, ილდიზი (თურქეთი) — 1 ქულა.

რაც შეეხება ვაჟთა ტურნირს, ორწრიანი მარათონი შესანიშნავად განვლო ნორვეგიელმა **მაგნუს კარლსენმა**, რომელმაც 10 პარტიაში 8 ქულა მოაგროვა (6 მოგება, 4 ყაიმი), რითაც 2,5 ქულით გაუსწრო უახლოეს მდევარს, მეორე ადგილზე გასულ ბულგარელ **ვესელინ ტოპალოვს**. 4,5 ქულით მესამე ადგილი ჩინელმა **ვან იუემ** დაიკავა. 4-4 ქულით მეოთხე-მეექვსე ადგილები აზერბაიჯანელმა **თეიმურ რაჯაბოვმა**, უნგრელმა **პეტერ ლეკომ** და რუსმა **დ მიტრი იაკოვენკომ** გაიყვეს.

ვაჟა დანელია

ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

# ცივი შხაპი მუშათა კლასისგან

გუშინ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე, რომელსაც მაკედონიური ოჰრიდი მასპინძლობს, მე-6 ტურის შეხვედრები გაიმართა. განსაკუთრებულ ინტერესს, ცხადია, ლიდერთა ორთაბრძოლები იწვევდა. თბილისის „სამაია" რუდოვცის „რადნიჩკის" ("მუშათა კლასს") დაუპირისპირდა. პირველი ქულა ჩვენს გუნდს **სოფიკო ხუხაშვილმა** მოუტანა, რომელმაც თეთრებით 31-ე სვლაზე **სვეტლანა პეტრენკოს** საათი გააჩერებინა. თუმცა სერბებმა მალევე აღადგინეს წონასწორობა — **ანა ბანდერასმა** მეოთხე დაფაზე **სალომე მელიას** დააყრევინა ფარ-ხმალი, არადა, რეიტინგში ქართველი დიდოსტატი მეტოქეს 156 პუნქტით უსწრებს.

**მაია ლომინეიშვილი** თეთრებით **ქრისტინა ფოიშორს** ეთამაშებოდა. მართალია, პარტიის ბოლოსთვის მას ორი ზედმეტი პაიკი ჰყავდა, მაგრამ სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში ამ უპირატესობის გამოყენება ვერ შეძლო და ყაიმს დასჯერდა. მატჩის ბედი პირველ დაფაზე **ლელა ჯავახიშვილისა** და **ირინა ჩელუშკინას** პარტიას უნდა გადაეწყვიტა. სამწუხაროდ, ქართველმა დიდოსტატმა ეს ორთაბრძოლა დათმო და "სამაია" 1,5:2,5 დამარცხდა, რის გამოც მხოლოდ საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი შეინარჩუნა.

ერთპიროვნულად გალიდერდა ვიდნოეს "სპარტაკი", რომლის შემადგენლობაშიც, როგორც გაუწყეთ, ევროპის სამი ჩემპიონი (**ტატიანა კოსინცევა, კატერინა ლაჰნო** - მათ ორ-ორჯერ მოიპოვეს ოქროს მედლები - და **ანტუანეტა სტეფანოვა**) თამაშობს. გუშინ სპარტაკელებმა ჩერნოგორიის "პოდგორიცას" 3,5:0,5 მოუგეს და, ფაქტობრივად, ჩემპიონობა გაინაღდეს, რადგან ბოლო ტურში, თუნდაც ნაგების შემთხვევაში, კლუბის წევრთა მიერ მოგროვებული ჯამური ქულებით "სამაია" მას ვერ დაეწევა, სხვებს კი გუნდური ქულებით "სპარტაკთან" გათანაბრება არ შეუძლიათ.

სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ ვარსკვლავებით დახუნძლული მონაკოს გუნდი იოლად დაჯაბნიდა ერევნის "მიკას", მაგრამ ევროპის პირველობის 2006 წლის გამარჯვებულმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ან უკვე ექსჩემპიონ "მონტე კარლოს" - ოთხივე დაფაზე პარტიები ყაიმით დამთავრდა.

მეექვსე ტურის შედეგები

| | |
|---|---|
| **სამაია (საქ.)–რადნიჩკი (სერბეთი)** | **1.5:2.5** |
| ლელა ჯავახიშვილი-ირინა ჩელუშკინა | 0:1 |
| მაია ლომინეიშვილი-ქრისტინა ფოიშორი | 0,5:0,5 |
| სოფიკო ხუხაშვილი-სვეტლანა პეტრენკო | 1:0 |
| სალომე მელია-ანა ბანდერასი | 0:1 |
| **სპარტაკი (რუს.)–პოდგორ. (ჩერ.)** | **3.5:0.5** |
| ტატიანა კოსინცევა-ჰოანგ თრანგი | 1:0 |
| ანტუანეტა სტეფანოვა-ვიქტორია ჩმილიტე | 0,5:0,5 |
| ნადეჟდა კოსინცევა-ალისა მარიჩი | 1:0 |
| კატერინა ლაჰნო-ეკატერინა კოვალევსკაია | 1:0 |
| **მიკა (სომხეთი)–მონტე კარლო (მონ.)** | **2:2** |
| ელინა დანიელიანი-ჰამფი კონერუ | 0,5:0,5 |
| პარიკა დრონავალი-ალექსანდრა კოსტენიუკი | 0,5:0,5 |
| ნინო ხურციძე-პია კრამლინგი | 0,5:0,5 |
| ლილით გალოიანი-ელმირა სკრიპჩენკო | 0,5:0,5 |
| **პოლიტექნიკა (რუმ.)–ბას (სერბეთი)** | **2:2** |
| ქეთევან არახამია-ინა გაპონენკო | 0:1 |
| ელენა დემბო-ნატაშა ბოიკოვიჩი | 0,5:0,5 |
| კორინა პეპტანი-ტატიანა ვასილევიჩი | 1:0 |
| ალინა მოტოცი-ანჟელიკა სტოიანოვიჩი | 0,5:0,5 |
| **ვანდუვ ეში (საფრ.)–ეკონომ. (რუს.)** | **1:3** |
| ანა რუდოლფი-ანა მუზიჩუკი | 0:1 |
| ფიონა სთეილ-ანტონი-ოლგა ილიუშინა | 0,5:0,5 |
| ვენკე ჰენრიხი-ანა უშენინა | 0,5:0,5 |
| მარი ვეიგელი-მარია კურსოვა | 0:1 |

სატურნირო მდგომარეობა ასეთია: სპარტაკი – 10 (18), სამაია 8 (13,5), მონტე კარლო – 7 (15,5), ეკონომისტი – 7 (13), პოდგორიცა – 7 (13), პოლონია – 7 (11), რადნიჩკი 7 (10), მიკა – 6 (11), პოლიტექნიკა – 6 (11), ბას – 5 (10,5), ვანდუვ ეში – 2 (5,5).

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: რადნიჩკი-სპარტაკი, პოლონია-სამაია, ეკონომისტი-მიკა, მონტე კარლობას, პოლიტექნიკა-ვანდუვ ეში. ისვენებს პოდგორიცა, რომელსაც ავტომატურად 2:0 მოგება დაეწერება

ვაჟა დანელია



მარცხნიდან: მაია ლომონეიშვილი, სოფიო ხუხაშვილი და სალომე მელია

რაგბი

ევროპის ჩემპიონატი. U 19

# კოიმბრაში ევროპის ჩემპიონობისთვის

25 ოქტომბერს პორტუგალიის ქალაქ კოიმბრაში ცხრამეტწლამდელ მორაგბეთა FIRA AER-ის ევროპის ჩემპიონატის პირველი შეხვედრები გაიმართება. უმცროსი ბორჯღალოსნების პირველი მეტოქე გერმანიის ნაკრები იქნება.

14 ოქტომბრიდან ჩვენი გუნდი საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში შეიკრიბება, სადაც, სავარაუდოდ, „ტულონის" ცხრამეტწლამდელთა გუნდთან ორ საწვრთნელ შეხვედრას გამართავს.



საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა **ლევან მაისაშვილმა** და **მიხეილ სუჯაშვილმა** ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელები დაასახელეს. 26 მორაგბეს შორის სამი ლეგიონერია. **დავით ლოსაბერიძე** და **კონსტანტინე მიქაუტაძე** „აუენის" ესპუართა გუნდში წლევანდელი სეზონის წინ გადავიდნენ. **გიორგი ჯიმშელაძე** კი, რომელიც „კლერმონის" ესპუართა ღირსებას იცავს, ბავშვობიდან საფრანგეთში იზრდებოდა.

ქართული კლუბებიდან ყველაზე მეტი, 10 მორაგბე ნაკრებში „ლელომ" მიავლინა, რომელიც ჭაბუკთა B ლიგის შარშანდელი გამარჯვებული და A ლიგის წლევანდელი გათამაშების ფინალისტია. ოთხ-ოთხი მორაგბე ჰყავთ ნაკრებში ქუთაისის „აიას" და თბილისის „ყოჩებს", ორიც თბილისის „აკადემიას". თითო მორაგბე მიიწვიეს თბილისის „უნივერსიტეტიდან", თბილისის „ივერიადან" და „ბათუმი XV" - დან.

შეგახსენებთ, რომ გერმანიასთან გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენი ნაკრები რუსეთისა და პოლონეთის გუნდებს შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება.

**საქართველოს ნაკრები:**

**ბადრი ფოფხაძე, ვასილ კვერნაძე, გიორგი ჭყონიძე, ანზორ ხიპაშვილი, გიორგი მენაბდიშვილი, გიორგი გაბელია, უშანგი მჭედლიშვილი, ბაჩანა კოლელიშვილი, ჯიმი ლამბაშიძე, ნოდარ ჭეიშვილი** (ყველა ლელო), გაგა სინაურიძე, მიხეილ ნარიაშვილი, ზურაბ გოგლიჩაძე, თორნიკე ლომიძე (ყველა აია), ვანო გაბროშვილი, გიორგი ჭუაძე (ორივე აკადემია), დავით ბარბაქაძე, შალვა მამუკაშვილი, გიორგი ტყეშელაიძე, ერეკლე მეტრეველი (ყველა ყოჩები), ბექა ბინაძე (ივერია), გიორგი თხილაშვილი (ბათუმი XV), რამაზ ჯინაშვილი (უნივერსიტეტი), დავით ლოსაბერიძე, კონსტანტინე მიქაუტაძე (ორივე აუენი), გიორგი ჯიმშელაძე (კლერმონი).

**25 ოქტომბერი. მეოთხედფინალი**

საქართველო-გერმანია, იტალია-პორტუგალია, რუსეთი-პოლონეთი, ბელგია-ესპანეთი.

**28 ოქტომბერი. ნახევარფინალი**
**31 ოქტომბერი. ფინალი**

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს ჩემპიონატი

# ვინ იქნება ბზის თასის ახალი მფლობელი?



დღეს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს მორაგბეთა ჩემპიონატის დიდი ფინალია. ბზის თასს ახალი მფლობელი ეყოლება. უკვე ექსჩემპიონი „ლოკომოტივი" მესამე ადგილს დასჯერდა. ჩემპიონის ტიტულისთვის შარშანდელი ფინალისტი თბილისის „ლელო" და გათამაშების დებიუტანტი „ბათუმი XV" იბრძოლებენ.

„ლელო" ერთადერთი გუნდია, რომელსაც მიმდინარე გათამაშებაში ნაგების სიმწარე არ განუცდია. გუნდმა რეგულარული გათამაშება დამაჯერებლად მოიგო და ბზის თასისთვის ბრძოლაშიც ფავორიტია.

„ლელოსა" და „ბათუმი XV"-ის პირველი შეხვედრა წლეულს პირველივე ტურში გაიმართა და ლელოელთა დიდი უპირატესობით წარიმართა. თბილისელებმა მატჩი 61:19 მოიგეს. მეორე შეხვედრა კი მეორე წრეში, ბათუმელთა მოედანზე „ლელომ" მხოლოდ 11 ქულის სხვაობით მოიგო - 39:28.

ახლა ეს ყველაფერი მხოლოდ სტატისტიკაა, თუმცა გარკვეული დასკვნების გაკეთება აქედანაც შეიძლება. ფინალი ან ძალიან დაძაბული, უშეღავათო გამოვა, სადაც გამარჯვებულის ვინაობა მატჩის მიწურულსღა გაირკვევა, ან „ლელო" იოლად, დიდი ანგარიშით გაიმარჯვებს.

რა შეიძლება დაუპირისპირონ ბათუმელებმა წლეულს თითქმის უნაკლოდ მოთამაშე, ბრწყინვალედ მომზადებულ თბილისურ გუნდს? ვფიქრობთ, ერთადერთი უპირატესობა ბათუმელთა მძიმე შერკინებაა. სტატიკაში მათ პრობლემა არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ „ლელოს" შერკინების ხაზი უფრო დინამიკურია და, შესაბამისად, ღია თამაშში მეტოქე, წესით, უნდა დაჩაგროს.

ძნელი სათქმელია, შეძლებდა თუ არა **ლევან მგელაძე** ერთი კვირის განმავლობაში თავისი გუნდის თამაშში ყველა ხარვეზის აღმოფხვრას, მაგრამ ფაქტია, „ლოკომოტივთან" დაპირისპირებაში აშკარა იყო ბათუმელთა სუსტი თამაში დერეფანში. თუ ამ კომპონენტშიც „ლელომ" იმძლავრა, მაშინ შავიზღვისპირელებს წარმატების მიღწევა ძალიან გაუჭირდებათ.

რაც შეეხება უკანა ხაზს, ადრეც ვწერდით, რომ „ლელოს" საქართველოში ყველაზე ძლიერი ხაზის მოთამაშეები ჰყავს. ბათუმელთა გამოცდილ შუამარბებს, **თორნიკე აშვეთიასა** და **გოჩა ხონელიძეს** საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრების მოთამაშეების, **გიგა კორკელიასა** და **გიორგი ლომინაძის** წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ.

„ლელოს" უპირატესობა აქვს გარემარბების პოზიციაზეც. მარჯვნიდან ბათუმელებს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი **ალექსანდრე თოდუა** შეუტევს, მარცხნიდან კი - ცხრამეტწლამდელთა ნაკრების გარემარბი **უშანგი მჭედლიშვილი.**

ლელოელთა ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილი**, ვფიქრობთ, სულაც საუკეთესო მორაგბეა მიმდინარე გათამაშებაში. საინტერესო იქნება მგეზავების **ლაშა ხმალაძისა** (ლელო) და **მამუკა ნინიძის** (ბათუმი XV) დუელი, ისევე, როგორც ცხრა ნომრების, **გიორგი კაჭარავასა** (ლელო) და **ზურაბ კიკაჩეიშვილის** (ბათუმი XV) დაპირისპირება.

ერთი კია, ბათუმელები ფსიქოლოგიურად მეტოქეზე უკეთეს მდგომარეობაში არიან. მათ შესაძლებლობების მაქსიმუმზე მეტი უკვე გააკეთეს და ფინალში უმთავრეს ფავორიტთან დამარცხების შემთხვევაში, სასაყვედუროდ ენა არავის მოუბრუნდება. აქედან გამომდინარე, უფრო ლაღად, თავისუფლად და თამამად უნდა ითამაშონ.

დასაკარგი აღარც „ლელოს" დარჩა რამე. აქამდე ტრიუმფით განვლო გზა და, ალბათ, არც ფინალში დათმობს რამეს.

შეგახსენებთ, რომ მატჩი 16 საათსა 30 წუთზე დაიწყება.

**10 ოქტომბერი. ფინალი**

**ლელო-ბათუმი XV**

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლელო: (15-9) ყიასაშვილი, მჭედლიშვილი, კორკელია, ლომინაძე, თოდუა, ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) მირცხულავა, ჭყონია, სუჯაშვილი, აზალაძე, დ.დაუშვილი, ი.მაისურაძე, კოლელიშვილი, იორდანიშვილი.

ბათუმი XV : (15-9) სვინტრაძე, ევგენიძე, აშვეთია, ხონელიძე, ცისკარიშვილი, ნინიძე, კიკაჩეიშვილი. (1-8) ღლონტი, აბესლამიძე, მოქია, კუნჭულია, ბერიძე, გუგუშვილი, თხილაშვილი, სირბილაძე.

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი

# სერენას ფედერაციის თასიც უნდა

მსოფლიოს ახალმა პირველმა ჩოგანმა **სერენა უილიამსმა** ფედერაციის თასის ფინალში თამაში გადაწყვიტა. ქალთა არაოფიციალური გუნდური ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში ამერიკას მოქმედ ჩემპიონ - იტალიასთან ელის შეხვედრა. აშშ-ის ეროვნულმა გუნდმა



ფინალამდე გზა დები **უილიამსების** გარეშე გაიკვალა, მაგრამ ახლა სერენა ნაკრებისთვის დახმარების გაწევას აპირებს. ეს კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მდგომარეობაში იქნება უმცროსი უილიამსი დოჰას წლის შემაჯამებელი ტურნირის შემდეგ.

*„რა თქმა უნდა, ფინალში თამაში ძალიან მინდა. მაგრამ ახლა რთულია იმის წინასწარმეტყველება, როგორ ვიგრძნობ თავს დოჰას ტურნირის შემდეგ: შევძლებ სიარულს თუ ინვალიდის სავარძელში ამოვჩნდები. თუ ყველაფერი წესრიგში იქნა, ნაკრებს აუცილებლად შევუერთდები“*, - მოჰყავს სერენას სიტყვები სააგენტო „როიტერს“.

*„მაგრამ თუ იტალიასთან თამაში ვერ შევძელი, ჩვენს გუნდს ისედაც ბრწყინვალე ჩოგბურთელები ჰყავს: მელანი ოუდინი, რომელიც დარწმუნებული ვარ, შეძლებს დიდი სამსახური გაუწიოს ჩვენს გუნდს და ლიზელ ჰუბერი, რომელიც ამჟამად წყვილებში საუკეთესო მოთამაშეა. ჩვენ შესანიშნავი ნაკრები გვყავს და სიმართლე გითხრათ, ჩემ გარეშეც მიაღწევს წარმატებას, დამაინც, ძალიან მინდა ფედერაციის თასის მოგება“*, - განაცხადა ამერიკელმა.



# ამელიმ სეზონი დაამთავრა... კარიერაც?

ავსტრალიის ღია პირველობისა და უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი **ამელი მორესმო** ამ სეზონში კორტზე აღარ გავა. უფრო მეტიც, სახელგანთქმული ფრანგი კარიერის დასრულებაზე სერიოზულად ფიქრობს. მორესმომ ბოლო ოფიციალური მატჩი 2 სექტემბერს ჩაატარა - ამერიკის ღია პირველობის მეორე წრეში კანადელ **ალექსანდრა ვოზნიაკთან** წააგო.

*„ამერიკის ღია პირველობის შემდეგ ძალების აღდგენასა და ვარჯიშის განახლებას ვცდილობდი, მაგრამ საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ ტურნირებში თამაშის სურვილი არ გამაჩნია,* - ამბობს ფრანგი ჩოგბურთელი. - *არ მინდა მოვლენები დავაჩქარო, ამიტომაც კარიერის განახლების ან დასრულების გადაწყვეტილებას გარკვეული დროის შემდეგ მივიღებ“.*

მორესმომ პროფესიული კარიერა 1993 წელს დაიწყო. WTA-ის ტურნირებში მას 25 ტიტული აქვს მოპოვებული, მათ შორის „დიდი სლემის“ ორი ჩემპიონატი - ავსტრალიის ღია პირველობა და უიმბლდონი (ორივეჯერ 2006 წელს). რეიტინგში ფრანგი ჩოგბურთელის საუკეთესო მიღწევა პირველი ადგილია. კლასიფიკაციის მწვერვალზე ის 2004 წლის 13 სექტემბერს ავიდა.

ამ სეზონში ამელის ანგარიშზეა - 27 მოგება და 14 წაგება. 2009 წლის თებერვალში მან პარიზში საშინაო ტურნირი მოიგო, როცა ფინალში რუსი **ელენა დემენტიევა** დაამარცხა - 7:6(7), 2:6, 6:4.

პროფესიულ კარიერაში ფრანგ ჩოგბურთელს 15 022 476 დოლარი აქვს გამომუშავებული.

# ჯოკერის შანსი

ჩინეთის ღია პირველობაზე გადამწყვეტი მატჩების დრო დადგა. გუშინ პეკინის კორტებზე ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. კაცებს შორის ცენტრალური მატჩი სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და ესპანელ **ფერნანდო ვერდასკოს** შორის გაიმართა.

ამ შეხვედრამდე ჯოკოვიჩს ზედიზედ ოთხჯერ ჰქონდა მოგებული ვერდასკოსთვის. ესპანელმა ვერც ამჯერად შეძლო ამ სერიის შეწყვეტა, თუმცა მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გაუწია.

სერბმა შეხვედრა კარგად დაიწყო და ბრეიკით დაწინაურდა - 2:0. მაგრამ იქვე ფერნანდომაც შეძლო მოწინააღმდეგის გეიმის აღება და ანგარიში გაათანაბრა. 2:2-ზე ჯოკოვიჩმა ისევ მოუმატა ტემპს, რაც ზედიზედ სამი გეიმის მოგებაში გამოიხატა - 5:2. მეცხრე გეიმში „ჯოკერმა“ დამაჯერებლად ითამაშა საკუთარ მოწოდებაზე და პირველი სეტი მოიგო - 6:3.

მეორე სეტის პირველი გეიმი 10 წუთი გაგრძელდა, რომლის დროსაც ვერდასკომ სამი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და მესამე გეიმ-ბოლიდან აიღო თავისი მოწოდება. შემდეგ გეიმში სიტუაცია განმეორდა, იმ განსხვავებით, რომ უკვე ნოვაკმა მოიგერია სამი ბრეიკ-პოინტი და დიდი გაჭირვებით გაათანაბრა ანგარიში. 2:1-ზე ესპანელმა მაინც შეძლო ბრეიკის აღება და წინ გაიჭრა. სერბის თამაში მთლიანად მოიშალა და მან სეტის ბოლომდე ერთი გეიმიც ვერ მოიგო.

მესამე სეტში გულშემატკივრები დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. პირველ გეიმში ფერნანდომ ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ, ჯოკოვიჩმა მეტოქის გეიმის აღების პირველივე შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა და 2:0 გავიდა წინ. ამის შემდეგ ვერდასკო მორალურად გატყდა და პრაქტიკულად შეწყვიტა ბრძოლა. ერთადერთი, რაც ესპანელმა შეძლო, 0:5-ზე ერთი გეიმის მოგება იყო.

ჯოკოვიჩი ნახევარფინალში გავიდა და იქ მოგების შემთხვევაში, მესამე ადგილს დაიბრუნებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში, რომელიც რამდენიმე თვის წინ ბრიტანელ **ენდი მიურეის** დაუთმო.

*„დღევანდელ მატჩში ჩავარდნაც მქონდა და წარმატებული მონაკვეთებიც,* - აღნიშნა მატჩის შემდეგ სერბმა. - *მეორე სეტის ბოლოს სპეციალურად შევინახე ძალები გადამწყვეტი პარტიისთვის და არ შევმცდარვარ. ვერდასკო კი პირიქით, მეორე პარტიაში მთლიანად დაიხარჯა და ამის შემდეგ ბრძოლა ველარ შეძლო“.*

ნახევარფინალში ჯოკოვიჩის მეტოქე იქნება ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი **რობინ სიოდერლინგი**. შვედმა გუშინ ორ სეტში მოუგო ხორვატ ვეტერანს **ივან ლუბიჩიჩს**. აქამდე ATP-ის ტურნირებზე სიოდერლინგისა და ჯოკოვიჩის გზები სამჯერ გადაიკვეთა და სკანდინაველის ანგარიშზე ერთადერთი მოგებული სეტი მოდის.

მეოთხედფინალური ეტაპიდან გამოეთიშა ბრძოლას ორი რუსი ჩოგბურთელი. ჯერ **ნიკოლაი დავიდენკომ** ერთნაირი ანგარიშით (3:6) დათმო ორი სეტი ხორვატ **მარინ ჩილიჩთან**. ამით შეწყდა რუსის შვიდმატჩიანი მოგებათა სერია. შეგახსენებთ, რომ წინა კვირას დავიდენკომ კუალა ლუმპურის ტურნირი მოიგო.

დიდი ინტერესი გამოიწვია ესპანელი **რაფაელ ნადალისა** და რუსი **მარატ საფინის** შეხვედრამ. ეს უკანასკნელი წელს თავის ბოლო სეზონს ატარებს და საუკეთესო ფორმაში სწორედ პეკინის ტურნირზე შევიდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ საფინმა წინა წრეში ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** დაამარცხა - ასეთი დონის მეტოქისთვის წელს მას არ მოუგია. ამიტომაც ეგონათ, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი შეძლებდა რაფასთვის წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ ასე არ მოხდა.

შეხვედრა საათსა და 17 წუთს გაგრძელდა. პირველ სეტში საფინმა ასე თუ ისე იბრძოლა და სამი გეიმი მოიგო, მეორეში კი რაფამ ერთადერთი გეიმი გაიმეტა მეტოქისთვის და თითქმის უბრძოლველად გააღწია ნახევარფინალში. დღეს მსოფლიოს მეორე ჩოგანი ჩილიჩს შეხვდება. ეს ამ ჩოგბურთელების პირველი ოფიციალური ორთაბრძოლა იქნება.

■ ■ ■

პეკინში ქალების ტურნირზეც გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. არსებობდა იმის შანსი, რომ ამ ეტაპზე ოთხ რუს ჩოგბურთელს გაეღწია, მაგრამ მათ სანახევროდ დააკომპლექტეს ნახევარფინალისტთა შემადგენლობა.

მოულოდნელად წააგო თავისი შეხვედრა **ელენა დემენტიევამ**. პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონს პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** ორ სეტში მოუგო. პირველ პარტიაში რუსის უპირატესობა შეიმჩნეოდა და ელენა 5:4-ზე სეტზე აწვდიდა, მაგრამ ზედიზედ სამი გეიმი და სეტი დათმო. მეორეში ყველაფერი მერვე გეიმში გადაწყდა, როცა რადვანსკამ 4:3-ზე ბრეიკი გააკეთა და მატჩი უპრობლემოდ მიიყვანა გამარჯვებამდე.

მეორე რუსი, რომელმაც გუშინ წააგო, **ვერა ზვონარევა** იყო. მან ფაქტობრივად აჩუქა გამარჯვება ფრანგ **მარიონ ბარტოლის**. სხვა სახელს ვერ მოვუძებნით იმას, რაც ზვონარევამ ამ მატჩში გააკეთა. პირველი სეტის მოგების შემდეგ, რუსმა მეორეში 5:1 წაიყვანა ანგარიში და ერთი გეიმი სჭირდებოდა ნახევარფინალში გასასვლელად. ამის გაცვლად, ვერამ ზედიზედ 9(!) გეიმი წააგო და ეს სერია მესამე სეტში 0:3-ზე შეწყვიტა. ბარტოლის აღარ გასჭირვებია დემორალიზებული მეტოქის გზიდან ჩამოცილება. ფრანგი ნახევარფინალში აგნიეშკა რადვანსკას შეხვდება, მეორე წყვილში რუსები - **სვეტლანა კუზნეცოვა** და **ნადია პეტროვა** ითამაშებენ.



სხვადასხვა

მძლეოსნობა

## ჯონსის საქმე დეკემბერში გაირკვევა

ამერიკელი მორბენლის **მერიონ ჯონსის** მიერ 2000 წლის ოლიმპიადაზე მოპოვებული მედლების ბედი დეკემბერში გადაწყდება.

შეგახსენებთ, რომ 2007 წლის დოპინგსკანდალის შემდეგ, ჯონსს ჩამოართვეს სიდნეის ოლიმპიადის ოქროს მედლები 100 და 200 მეტრ დისტანციაზე და ბრინჯაოს მედლები სიგრძეზე ხტომასა და 4x100 მეტრზე ესტაფეტაში.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მთავარ პრობლემას ესტაფეტაში მოპოვებული მედლები წარმოადგენს, რადგან ჯონსის თანაგუნდელებმა სოკ-ში აპელაცია შეიტანეს და მისი საბოლოო შედეგი 18 დეკემბერს გახდება ცნობილი.

კალათბურთი

## მაგლოირი დაისაჯა

„მაიამი ჰიტის“ ცენტრი **ჯამალ მაგლოირი** რეგულარული ჩემპიონატის ორ მატჩს გამოტოვებს დეტროიტელ **ჯონას ჯერებკოსთან** ჩხუბის გამო. ინციდენტი, რომელიც ერთ-ერთი წინასასეზონო მატჩში მოხდა, მაიამელი კალათბურთელის მიერ იყო ინსპირირებული - მაგლოირმა ჯერებკოს სახეში გაარტყა. ეს უკანასკნელი ერთი მატჩით არის დისკვალიფიცირებული, რადგან ოპონენტს დარტყმითვე უპასუხა.

აღსანიშნავია, რომ დარღვევა არ ვრცელდება იმ მატჩებზე, რომლებსაც კალათბურთელები ტრავმის გამო გამოტოვებენ. ასე რომ, მაგლოირი, რომელიც ტრავმის გამო ვერ ითამაშებს რეგულარული ჩემპიონატის სტარტზე, დისკვალიფიკაციას იმ მომენტიდან მოიხდის, როცა სრულად აღიდგენს ფიზიკურ კონდიციებს.

## ილგაუსკასი 2010 წელს წავა?

„კლივლენდ კავალიერზის“ ლიტველმა ცენტრმა **ჟიდრუნას ილგაუსკასმა**, რომელიც 2010 წლის შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდება, შესაძლოა, მომავალ ზაფხულს კარიერის დასრულება გადაწყვიტოს.

*„არ არის გამორიცხული, ეს სეზონი ჩემთვის ბოლო იყოს. ახალგაზრდა აღარ ვარ, ტრავმები მაწუხებს. ვნახოთ, როგორ ვიგრძნობ თავს ერთი წლის შემდეგ“*, - ამბობს ილგაუსკასი.

ტრიატლონი

## ლენსი ტრიატლონისტი გახდება

ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი **ლენს არმსტრონგი** 2011 წელს ტრიატლონის მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ტურნირი - Ford Ironman World Championship ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია სპორტის ამ სახეობაში.

ამერიკელი თავის ასაკობრივ კატეგორიაში გამოვა. Ironman-ის შეჯიბრება ჰავაის კუნძულებზე გაიმართება. სპორტსმენებს 3.8 კილომეტრი ცურვა, 180 კილომეტრი ველორბოლა და მარათონი (42 კმ) ელის.

ჩოგბურთი

## ანჩიჩი დაბრუნებას არ ჩქარობს

ხორვატმა ჩოგბურთელმა **მარიო ანჩიჩმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მალე მიიღებს ექიმებისგან ვარჯიშების განახლებისა და კორტზე გასვლის უფლებას. ანჩიჩი ტურში დაბრუნებას იანვარში ვარაუდობს, მაგრამ ჯერ არ გადაუწყვეტია, - მიიღებს თუ არა მონაწილეობას ავსტრალიის ღია პირველობაზე. ხორვატმა, შესაძლოა, დასაბრუნებლად უფრო მოკრძალებული ტურნირი აირჩიოს.

*„აჩქარებას არ ვაპირებ და ტურში მაშინ დავბრუნდები, როცა ასი პროცენტით ვიქნები მზად“*, - ამბობს ანჩიჩი.

წლევანდელი სეზონი ხორვატმა ასევე ავსტრალიაში დაიწყო, მაგრამ მაისში იძულებული გახდა, ჩამოშორებოდა ATP-ის ტურის ტურნირებს, რადგან ექიმებმა მონონუკლეოზის დაავადება დაუდგინეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი

# დომინატორი ვანკუვერის კანდიდატია



ჩეხური ჰოკეის ორი სუპერვარსკვლავი - მეკარე **დომინიკ ჰაშეკი** და თავდამსხმელი **იარომირ იაგრი** ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვდნენ. გუნდის ხელმძღვანელებმა იმ 60 ჰოკეისტის გვარი დაასახელეს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ვანკუვერის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე.

44 წლის ჰაშეკს საბოლოო შემადგენლობაში მოსახვედრად შვიდი თანაამპლუელი კონკურენტი ჰყავს. როგორც იცით, 2008 წელს „დომინატორმა" „დეტროიტი" დატოვა, წლევანდელ გაზაფხულზე კი საცდელი კონტრაქტი გააფორმა ჩეხეთის ლიგაში მოთამაშე „პარდუბიცესთან". სეზონის პირველ შეხვედრაში დომინიკმა 34-დან 33 დარტყმა მოიგერია, მისმა კლუბმა კი შეხვედრა ბულიტების სერიით წააგო.

უფრო ადრე ჩეხეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმირ რუჟიჩკამ** გამოაცხადა, რომ ვანკუვერში მისი გუნდის პირველი ნომერი „ფლორიდა პანტერზის" მეკარე **ტომაშ ვოკოუნი** იქნება.

### ბოსტონი-ანაჰაიმი 1:6

1:0, 0:3, 0:3

**გოლები:** 1:0 შტურმი-2 (სავარი-3, ვიდემანი-1), 1:1 სელიანე-1 (ს. ნიდერმაიერი-1), 1:2 სელიანე-2 (პერი-2, ს. კოივუ-1), 1:3 პერი-1 (ვიშნიევსკი-3), 1:4 არტიუხინი-2 (ლუპული-1, ვიშნიევსკი-4), 1:5 რაიანი-1 (ს. ნიდერმაიერი-2), 1:6 პერი-2 (ლუპული-2).

### ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი 3:4 (ბ)

0:1, 1:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 პარიზე-1 (ზაიაცი-1, მარტინი-1), 1:1 სტემკოსი-1 (სენტ ლუისი-2, ჰედმანი-2), 1:2 პანდოლფო-1 (კლარკსონი-3, რ. ნიდერმაიერი-1), 2:2 სტემკოსი-2 (სენტ ლუისი-3, ლეკავალიე-2), 3:2 ფედორუკი-1 (ჰედმანი-3, ოლუნდი-2), 3:3 ზაიაცი-2 (როლსტონი-1, პარიზე-2).

**ბულიტები გაიტანეს:** პარიზე (ნიუ ჯერსი), ლანგენბრუნერი (ნიუ ჯერსი).

### დეტროიტი-ჩიკაგო 3:2

0:0, 3:1, 0:1

**გოლები:** 0:1 შარპი-3 (ვერსტეეგი-3, სიბრუკი-4), 1:1 ლიდსტრიომი-1 (ჯეისონ უილიამსი-2, ზეტერბერგი-3), 2:1 დრეიპერი-1 (მიოლტბი-2, ჯ. ერიქსონი-1), 3:1 ფრანცენი-1 (ჰოლმსტრიომი-1, დაციუკი-1), 3:2 ვერსტეეგი-1 (შარპი-2, ბარკერი-1).

### სტ. ლუისი-ატლანტა 2:4

1:2, 0:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ტკაჩუკი-3 (ბოიესი-2, ჯეკმენი-2), 1:1 ბულტონი-1 (ტორნბურნი-2, სალმელა-1), 1:2 კოვალჩუკი-3 (ლიტლი-3, ენტსრიომი-3), 1:3 ე. კეინი-1 (პევერლი-2, კ. არმსტრონგი-1), 2:3 პოლაკი-1 (ტკაჩუკი-3, ე. ჯონსონი-3), 2:4 კოვალჩუკი-4 (რისონერი-1, კუბინა-2).

### ნეშვილი-კოლორადო 3:2

0:0, 1:1, 2:1

**გოლები:** 0:1 ქუინსი-1 (ლაილსი-2, ჰეიდუკი-4), 1:1 არნოტი-2 (სალივანი-1, ჰორნქვისტი-2), 1:2 სვატოსი-1 (ჰენსიკი-1, ტაკერი-1), 2:2 ჰორნქვისტი-1 (სუტერი-1, არნოტი-2), 3:2 ჰორნქვისტი-2 (შ. უებერი-1, სუტერი-2).

### ედმონტონი-კალგარი 3:4 (ბ)

2:0, 0:1, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 მორო-1 (ბრული-1, გრებეშკოვი-2), 2:0 ვიშნოვსკი-1 (კომრი-2, ო'სალივანი-2), 2:1 ლენგკოუ-1 (ბურკი-3, ჯორდანო-2), 2:2 დეივსი-1 (ს. კრონვალი-2, ბურკი-4), 3:2 ჰემსკი-1 (ჰორკოფი-1, გრებეშკოვი-3), 3:3 ბურკი-2 (ბოუმისტერი-3, ფანოფი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** ო'სალივანი (ედმონტონი), ო. იოკინენი (კალგარი), დეივსი (კალგარი).

### ლოს ანჯელესი-მინესოტა 6:3

3:0, 1:2, 2:1

**გოლები:** 1:0 რ. სმიტი-2 (ჯ. ჯონსონი-1, სკუდერი-1), 2:0 ჯასტინ უილიამსი-1 (დაუტი-3, კოპიტარი-4), 3:0 კოპიტარი-3 (რ. სმიტი-3, ჯასტინ უილიამსი-2), 3:1 ჰავლატი-1 (ბრუნეტი-2, მ. კოივუ-2), 4:1 ჰანძუში-1 (ფროლოვი-2, სიმონდსი-1), 4:2 შულტცი-1 (ბელანჟე-3, ნოლანი-1), 4:3 კ. იონსონი-1 (მიეტინენი-1, პუიო-1), 5:3 პურსელი-2 (სტოლი-3, დ. ბრაუნი-3), 6:3 რ. სმიტი-3 (კოპიტარი-5, ჯასტინ უილიამსი-3).

### ბაფალო-ფინიქსი 2:1

0:0, 0:0, 2:1

**გოლები:** 0:1 ლომბარდი-2 (ა. ოკუანი-2, დოუნი-2), 1:1 მაკარტური-1 (მაიერსი-1), 2:1 ვანეკი-1 (მაკარტური-1, დ. როუ-2).

### ოტავა-აილენდერსი 3:2 (ო)

1:0, 1:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 რეგინი-2 (ნილი-1, კარკნერი-1), 2:0 კარკნერი-1 (ჩიჩუ-1, პიკარი-1), 2:1 ოკსოპო-1 (მოულსონი-2, მაიერი-1), 2:2 მოულსონი-1 (უეიტი-1, ტავარესი-1), 3:2 ფიშერი-1 (ალფრედსონი-1, ვოლჩენკოვი-1).

### ფილადელფია-პიტსბურგი 4:5

1:2, 2:2, 1:1

**გოლები:** 0:1 მალკინი-2 (გონჩარი-3, ლეტანგი-3), 1:1 ბრიერი-2 (ქობურნი-2, ჯ. კარტერი-2), 1:2 ჯ. სტაალი-1 (მალკინი-2), 2:2 ბრიერი-3 (ჯ. კარტერი-3, კ. ტიმონენი-4), 2:3 გერინი-1 (კუნიტცი-1, გოლიგოსკი-3), 2:4 გოლიგოსკი-1, 3:4 ჯ. კარტერი-3 (მ. რიჩარდსი-1, პრონგერი-4), 3:5 კენედი-2 (მ. კუკი-1), 4:5 ჯ. კარტერი-4 (მ. რიჩარდსი-2, მ. კარლი-6).

### ვაშინგტონი-რეინჯერსი 3:4

1:0, 0:2, 2:2

**გოლები:** 1:0 სიომინი-5 (პოტიე-1), 1:1 კელეჰანი-1, 1:2 კოტალიკი-2 (ანისიმოვი-1, ლისინი-1), 2:2 ბექსტრიომი-1 (სლოუნი-1), 3:2 ბექსტრიომი-2 (ლეიჩი-4, სიომინი-4), 3:3 გაბორიკი-3 (პროსპალი-3), 3:4 გაბორიკი-3 (დელ ზოტო-2).

### სან ხოსე-კოლამბუსი 6:3

0:0, 4:2: 2:1

**გოლები:** 0:1 ნეში-1 (პუსელიუსი-2, ვერმეტი-2), 1:1 ბოილი-1 (ჯ. ტორნტონი-5, დ. მიურეი-1), 2:1 ჰიტლი-2 (სეტოგუჩი-1, ჯ. ტორნტონი-6), 2:2 ჩიმერა-1 (მ. როი-2, ჰეიდა-1), 3:2 ელასიჩი-1 (ბოილი-3, ჯ. ტორნტონი-7), 4:2 ჰიტლი-3 (ბოილი-4), 5:2 სეტოგუჩი-4 (ჯ. ტორნტონი-8, ჰიტლი-5), 5:3 ტორესი-2 (ტიუტინი-3, ნეში-4), 6:3 ჰიტლი-4 (ბულიტი).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## სხვადასხვა

### ჰოკეი

# ჩელიოსი არ ნებდება

„დეტროიტ რედ უინგზისა" და ამერიკის ნაკრების ყოფილი მოთამაშე, ლეგენდარული მცველი **კრის ჩელიოსი** არ აპირებს კარიერის დასრულებას. 47 წლის ჰოკეისტი წლევანდელ სეზონს, სავარაუდოდ, AHL-ის ლიგის კლუბ „ჩიკაგო ვულვში" ჩაატარებს.

ვეტერანი მცველი ამ გუნდის ვარჯიშებს ორშაბათიდან შეუერთდება. „ვულვის" ხელმძღვანელთა სიტყვებით, კონტრაქტის გაფორმებაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი.

გასულ სეზონში ჩელიოსმა ფეხის ტრავმის გამო მხოლოდ 28 მატჩი ჩაატარა, წლევანდელ ზაფხულს კი თავისუფალი აგენტი გახდა. სულ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 25 სეზონი ჩაატარა და სამჯერ მოიგო სტენლის თასი.

### ფორმულა 1

# სპა ორ წელში ერთხელ

**ბელგიის** მთავრობა ფორმულა 1-ის ეტაპის ორ წელიწადში ერთხელ ორგანიზებას ვარაუდობს. ეს იდეა „დიდი ცირკის" მთავარ პრომოუტერ **ბერნი ექლსტოუნს** ეკუთვნის. მისი მიხედვით, „სპას" ავტოდრომზე რბოლას გერმანიის „ნიურბურგრინგი" ჩაენაცვლება.

ბელგიის გრან-პრის ორ წელიწადში ერთხელ გამართვა იქაური ავტოდრომის ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება. 2009 წელს, „სპამ" 791 ათასი ევროს ოდენობის ზარალი ნახა.

# უებერი ფეტელს დაეხმარება

„რედ ბულის" პილოტი მარკ უებერი, რომელმაც სინგაპურის გრან-პრის შემდეგ დაკარგა ტიტულის მოპოვების თეორიული შანსი, დარჩენილ ეტაპებზე თავის გერმანელ პარტნიორს - **სებასტიან ფეტელს** გაუწევს დახმარებას. ეს უკანასკნელი ფინიშამდე ორი რბოლით ადრე 16 ქულას აგებს ლიდერ **ჯენსონ ბატონთან**.

*„მარკი გუნდური მოთამაშეა და კარგად ესმის, რომ ახლა ფეტელს უნდა დაეხმაროს"*, - ამბობს ავსტრიული საჯინიბოს შეფი **კრისტიან ჰორნერი**.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### მსოფლიოს ჩემპიონატი

**Under 20**

| | |
|---|---|
| კორეა-განა | 2:3 |
| იტალია-უნგრეთი | 1:1 დ.დ. 2:3 |

#### ევრო 2010

**Under 21**

| | |
|---|---|
| ლატვია-რუმინეთი | 5:1 |
| ესტონეთი-შვეიცარია | 1:4 |
| ლიხტენშტაინი-პოლონეთი | 0:5 |
| ფინეთი-ჰოლანდია | 0:1 |
| ისლანდია-სან მარინო | 8:0 |
| სერბეთი-კვიპროსი | 2:0 |
| უკრაინა-ბელგია | 1:1 |
| მალტა-საფრანგეთი | 0:2 |
| საბერძნეთი-პორტუგალია | 2:1 |
| ინგლისი-მაკედონია | 6:3 |

#### ევრო 2010

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| პოლონეთი-ავსტრია | 2:4 |
| ისრაელი-სომხეთი | 6:1 |

#### ამხანაგური მატჩი

**Under 21**

| | |
|---|---|
| გერმანია-სლოვენია | 3:0 |

#### ინგლისი

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ჰარტლპული-ბრენტფორდი | 0:0 |
| საუთენდი-საუთჰემპტონი | 1:3 |

#### ჰოლანდია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰელმონდი-გრააფსხაპი | 0:2 |
| დორდრეხტი-ემენი | 5:0 |
| ეინდჰოვენი II-ფორტუნა | 2:2 |
| ომნივორლდი-ცვოლე | 0:0 |
| ვოლენდამი-ტოპ ოსი | 1:0 |
| იგლზი-აპელდოორნი | 0:0 |
| ჰაარლემი-ექსელსიორი | 0:1 |
| მაასტრიხტი-ტელსტარი | 2:0 |
| როსენდაალი-დენ ბოში | 0:3 |
| ვეენდამი-კამბური | 2:2 |

#### ბელგია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლიერსი-ბევერენი | 6:0 |

#### პორტუგალია

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| აკადემიკა-ბეირა მარი | 0:0 |

#### საბერძნეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოფი-პანსერაიკოსი | 2:2 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| დერი-შემროკი | 0:1 |
| ბოჰემიანსი-დროგედა | 4:0 |
| ბრეი-კორკი | 3:2 |
| დანდალკი-სტ. პატსი | 0:0 |
| სლიგო-გალვეი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეთლონი-ფინ ჰარპსი | 0:6 |
| ლიმერიკი-კილდეირი | 2:3 |
| მერვუ-ლონგფორდი | 0:1 |
| სპორტინგი-შელბურნი | 2:2 |
| უნივერსიტი-უექსფორდი | 2:0 |
| უოტერფორდი-მონეგანი | 0:2 |

#### უელსი

| | |
|---|---|
| ბალა თაუნი-რილი | 0:4 |
| სეფნი-ქერსოუსი | 1:1 |
| ნითი-ლანელი | 2:1 |

#### ჩეხეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ზლინი-ვიტკოვიცე | 4:1 |
| დუკლა-ტრშინეცი | 0:1 |
| იჰლავა-სპარტა II | 3:2 |

#### არგენტინა

| | |
|---|---|
| ჩაკარიტა-სან ლორენსო | 0:2 |

### კალათბურთი

#### ევროლიგა

**საკვალიფიკაციო**

| | |
|---|---|
| ორლეანი-ბენეტონი | 80:82 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-დიუსელდორფი | 80:67 |
| ულმი-ტელეკომი | 81:89 |
| ერტლანდი-გეტინგენი | 75:73 |
| ჰესენი-ფინიძსი | 77:83 |
| ტრირი-სკაილაინერსი | 71:67 (ო) |
| ტიუბინგენი-მიტელდოიჩე | 91:95 (ო) |

#### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| როანი-ვილერბანი | 72:67 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| ვიტიაზი-სპარტაკი | 4:5 |
| ტორპედო-მვდ | 6:2 |
| ცსკა-ლოკომოტივი | 1:1 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| აკრონი-ზაგრები | 2:3 |
| გრაცი-ალბა | 3:2 |
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 6:2 |
| ოლიმპია-ვილახი | 3:0 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| აისბარენი-ფრანქფურტი | 2:6 |
| ჰამბურგი-ინგოლშტადტი | 3:5 |
| კიოლნი-ვოლფსბურგი | 4:2 |
| კრეფელდი-ჰანოვერი | 5:1 |
| მანჰაიმი-შტრაუბინგი | 3:3 |
| ნიურნბერგი-აუგსბურგი | 5:5 |

#### დანია

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-ესბერგი | 0:3 |
| სონდერიისკი-როდოვრე | 4:2 |
| ჰერნინგი-ტოტემპო | 2:0 |
| ფრედერიკშავნი-ოლბორგი | 4:1 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-პოპრადი | 6:3 |
| ჟილინა-ზვოლენი | 1:6 |
| ნიტრა-სლოვანი | 3:4 |
| ნოვა ვესი-სლოვაკეთი (U20) | 7:3 |
| ტრენჩინი-მიკულაში | 5:3 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ილვესი-ტაპარა | 0:2 |
| იუვიასკიულა-სეიპა | 3:4 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ზლინი-პარდუბიცე | 4:2 |
| ტრშინეცი-სლავია | 3:1 |
| ლიტვინოვი-ბუდეიოვიცე | 5:2 |
| კარლოვი ვარი-კლადნო | 2:1 |
| სპარტა-ვიტკოვიცე | 3:3 |
| პლზენი-ბრნო | 2:1 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბერნი-დავოსი | 4:4 |
| ბილი-კლოტენი | 1:3 |
| ჟენევა-ლანგნაუ | 8:2 |
| რაპერსვილი-ლუგანო | 3:2 |
| ფრიბურგი-ამბრი პიოტა | 3:1 |

### ჩოგბურთი

#### ATP. პეკინი

| | |
|---|---|
| დავიდენკო-ჩილიჩი | 4:6, 4:6 |
| ჯოკოვიჩი-ვერდასკო | 6:3, 1:6, 6:1 |
| სიოდერლინგი-ლუბიჩიჩი | 7:6, 6:4 |
| ნადალი-საფინი | 6:3, 6:1 |

#### ATP. ტოკიო

| | |
|---|---|
| ჰიუიტი-როჟე ვასელენი | 6:4, 6:0 |
| გულბისი-ცონგა | 6:4, 4:6, 3:6 |
| იუჟნი-ბერდიხი | 6:2, 7:6 |
| ვავრინკა-მონფილსი | 6:2, 3:6, 4:6 |

#### WTA. პეკინი

| | |
|---|---|
| კუზნეცოვა-პავლიუჩენკოვა | 6:3, 6:3 |
| პეტროვა-პენგი | 6:7, 6:3, 6:2 |
| დემენტიევა-ა. რადვანსკა | 5:7, 3:6 |
| ზვონარევა-ბარტოლი | 6:3, 5:7, 2:6 |

## TV პროგრამა

### 10 ოქტომბერი. შაბათი

#### I არხი

14:00 რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი (LIVE).
17:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:55 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ჩერნოგორია-საქართველო (LIVE).

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბაიერნი-იუვენტუსი.
09:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
10:00 სპორტკლუბი.
11:00 100% დინამო.
11:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი.
13:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:15 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. აბუ დაბი, საემიროები.
15:15 ფეხბურთი. ევროგის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სპორტინგი-ჰერტა.
17:05 ფეხბურთი. FootBrazil.
17:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-დალასი.
19:25 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
20:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ესტონეთი-ბოსნია (LIVE).
22:00 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
22:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. საბერძნეთი-ლატვია (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-სან პაულუ
02:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ლუქსემბურგი-შვეიცარია.
04:05 ფეხბურთი. ევროგის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. სელტიკი-რაპიდი.
05:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი.

#### SPORT 2 (უკრაინა)

07:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:05 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. დოჰა. კატარი.
11:35 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
12:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ანაჰაიმი.
13:50 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
14:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბარსელონა-დინამო.
16:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი.
17:50 100% დინამო.
18:15 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. აბუ დაბი, საემიროები.
19:10 ფეხბურთი. FootBrazil.
19:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ლუქსემბურგი-შვეიცარია (LIVE).
21:45 ფეხბურთი. ევროგის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. შახტარი-პარტიზანი.
23:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-უნგრეთი (LIVE).
01:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-დალასი.
03:30 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
04:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. დოჰა. კატარი.
06:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT

11:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პეკინი, ჩინეთი (LIVE).
13:45 სნუკერი. გრან-პრი. 1/4 ფინალი. გლაზგო, შოტლანდია.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. პეკინი, ჩინეთი (LIVE).
16:45 სნუკერი. გრან-პრი. 1/2 ფინალი. გლაზგო, შოტლანდია (LIVE).
18:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/4 ფინალი. ეგვიპტე (LIVE).
20:30 სნუკერი. გრან-პრი. 1/2 ფინალი. გლაზგო, შოტლანდია.
22:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/4 ფინალი. ეგვიპტე (LIVE).
00:00 სნუკერი. გრან-პრი. 1/4 ფინალი. გლაზგო, შოტლანდია (LIVE).
01:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
02:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
02:45 სნუკერი. გრან-პრი. 1/2 ფინალი. გლაზგო, შოტლანდია.

### 11 ოქტომბერი. კვირა

#### რუსთავი 2

12:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ანაჰაიმი.
09:35 სპორტული სამყარო.
10:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-უნგრეთი.
11:50 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ჩეხეთი-პოლონეთი.
13:45 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-სან პაულუ
15:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ცსკა-ბეშიქთაში
17:40 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ლუქსემბურგი-შვეიცარია.
19:25 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. სან დიეგო. აშშ.
20:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-კიოლნი.
22:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ვაშინგტონი.
23:50 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-უნგრეთი.
01:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
02:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ფიორენტინა-ლივერპული.
03:50 ფეხბურთი. ევროგის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვალენსია-ჯენოა.
05:50 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. სან დიეგო. აშშ.
06:35 100% დინამო.

#### SPORT 2 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. ევროგის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ვერდერი-ბილბაო.
08:45 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
09:15 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. დოჰა. კატარი.
12:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-დალასი.
14:10 სპორტული სამყარო.
14:35 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ესტონეთი-ბოსნია.
16:20 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-სან პაულუ
18:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. მანჩესტერ იუნ-ვოლფსბურგი.
20:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. საბერძნეთი-ლატვია.
21:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ჩეხეთი-პოლონეთი.
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
00:00 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. სან დიეგო. აშშ.
00:50 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-სან პაულუ
02:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ანაჰაიმი.
04:25 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. დოჰა. კატარი.

#### EUROSPORT

10:30 კარტინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მაკაო.
11:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
12:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ბელგია-თურქეთი.
13:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. სერბეთი-რუმინეთი
14:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. რუსეთი-გერმანია.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. პეკინი, ჩინეთი (LIVE).
17:00 ველოსპორტი. პრო-ტური. პარიზის ტური. საფრანგეთი (LIVE).
19:00 სნუკერი. გრან-პრი. ფინალი. გლაზგო, შოტლანდია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. ბელგია-თურქეთი.
21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. სერბეთი-რუმინეთი
21:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი. რუსეთი-გერმანია.
22:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
23:00 სნუკერი. გრან-პრი. ფინალი. გლაზგო, შოტლანდია (LIVE).
02:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი ტურნირი.
03:00 არმრესტლინგი.

FM 107.9
საქართველოს ხმა

ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00

რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები და ანალიზი, სტუდიის სტუმარი, სატელეფონო ზარები, ვიქტორინა და პრიზები - გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსა და ირაკლისთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერია სპორტული გაზეთი „ლელო"





# რაგბი, გოლფი და როგე

## შვიდკაცა რაგბი და გოლფი ოლიმპიურ ოჯახში მიიღეს. ბელგიელი ქირურგი კიდევ ოთხი წლით უხელმძღვანელებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს

კოპენჰაგენში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 121-ე სესიაზე ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის პოსტზე ხელმეორედ აირჩიეს **ჟაკ როგე**. ბელგიელი სოკ-ს 2013 წლამდე უხელმძღვანელებს. პრეზიდენტის არჩევნები გუშინ გაიმართა და 67 წლის ჩინოვნიკი ერთადერთი კანდიდატი იყო. მას 88 ადამიანმა მისცა ხმა, წინააღმდეგი კი მხოლოდ ერთი წავიდა.

რვა წლის წინ, მოსკოვში გამართულ სესიაზე ბელგიელმა ქირურგ-ორთოპედმა კორეელ **იუნ-ენ კიმთან**, კანადელ **დიკ პაუნდთან**, უნგრელ **პალომ შმიტთან** და ამერიკელ **ანტინა დეფრანცთან** კონკურენციაში მოიპოვა პრეზიდენტის პოსტი. მაშინდელ სესიაზე სოკ-მა პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო: პრეზიდენტი რვა წლით აირჩეოდა და ამ ვადის გასვლის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა უფლებამოსილების კიდევ ოთხი წლით გაგრძელება. ასე რომ, წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როცა სოკ-ს პრეზიდენტები განუსაზღვრელი ვადით ხელმძღვანელობდნენ ოლიმპიურ მოძრაობას. ასე მაგალითად, როგეს წინამორბედი ესპანელი **ხუან ანტონიო სამარანჩი** 21 წელი ედგა სათავეში ოლიმპიურ კომიტეტს.

სოკ-ის 100-წლიანი ისტორიის განმავლობაში, როგე ამ ორგანიზაციის მხოლოდ მერვე პრეზიდენტი გახდა და პირველი, ვინც მოქმედი სპორტსმენის რანგში მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებზე. სამჯერ - მეხიკოში, მიუნხენსა და მონრეალში გენტელი იახტსმენი ოლიმპიადის საიაფროსნო რეგატაში იღებდა სტარტს. გარდა ამისა, როგე ბელგიის მორაგბეთა ნაკრების წევრი იყო. ამას ხელი არ შეუშლია მისთვის მაღალკვალიფიციური ქირურგი გამხდარიყო.

როგეს მთავარი ღირსება, რამაც მას 2001 წელს არჩევნები მოაგებინა, პატიოსანი სახელი იყო. ბელგიელი არასოდეს შეუნიშნავთ კორუფციულ გარიგებებში, რაც ასე მომრავლებული იყო ოლიმპიურ კომიტეტში.

მის მიერ რვა წლის წინ გახმოვანებული პროგრამა ბევრს უტოპიად მოეჩვენა, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც საქმე დოპინგთან ბრძოლას ეხებოდა. მიუხედავად ამისა, როგე ჯიუტად და თანამიმდევრულად ნერგავდა მას ცხოვრებაში.

კოპენჰაგენში მიმდინარე სესიაზე ვერავინ გაბედა ბელგიელისთვის ბრძოლის გამოცხადება. ისიც კი გასაკვირია, რომ დარბაზში აღმოჩნდა ერთი ადამიანი, რომელმაც სესიაზე როგეს კანდიდატურას „არა" უთხრა. სხვათა შორის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი **ჟოაო აველანჟი** როგეს ღია კენჭისყრას სთავაზობდა, მაგრამ ბელგიელმა დაიჟინა, რომ ხმის მიცემა ფარული ყოფილიყო.

როგეს მმართველობის რვაწლიან პერიოდში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემოსავალი ოთხჯერ გაიზარდა. ეს სარეკორდო თანხები ნაწილდება ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებსა და საერთაშორისო ფედერაციებზე, აგრეთვე ხმარდება ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამას, რომელიც სპორტსმენების ფინანსურ დახმარებასა და მათი სწავლის ხარჯების ანაზღაურებას ითვალისწინებს.

კენჭისყრის შემდეგ როგემ მადლობა გადაუხადა სოკ-ის წევრებს ნდობისთვის და აღნიშნა, რომ მათთან ერთად უკვე ძალიან ბევრს მიაღწია. შემდეგ კი მომავალი ოთხი წლის გეგმები გააცნო დელეგატებს. სოკ-ის პრეზიდენტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იუნიორთა ოლიმპიადებს. ზაფხულის თამაშები მომავალ წელს სინგაპურში გაიმართება, ზამთრის - 2012 წელს ინსბრუკში. კვლავაც დღის წესრიგშია დოპინგთან მკაცრი ბრძოლა. მთავარ ამოცანად კი როგე საერთო ადამიანური ღირსებების სისტემაში სპორტის ორგანულად შერწყმას ასახელებს.

ყველანაირ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ თავისი მოღვაწეობით სოკ-ის პრეზიდენტმა უამრავი მტერი შეიძინა, როგეს უნარიანმა დიპლომატიურმა მოღვაწეობამ გადაუსვა ხაზი. შესაბამისად, მას ალტერნატივა ვერავინ წარუდგინა.

■ ■ ■

ახლა კი სესიის გუშინდელი სხდომის იმ საკითხის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებდათ რაგბის ქართველ გულშემატკივრებს. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ასევე კენჭისყრის მიხედვით უნდა გამოევლინა სპორტის ის ორი სახეობა, რომელიც 2016 წლის ზაფხულის თამაშების პროგრამაში დაიკავებდა ადგილს.

პრეტენდენტი შვიდი იყო: შვიდკაცა რაგბი, გოლფი, სქვოში, გორგოლაჭებიანი სახეობები, კარატე, სოფტბოლი და ბეისბოლი. სესიამდე რამდენიმე თვით ადრე, სოკ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა გოლფისა და რაგბის კანდიდატურებს დაუჭირა მხარი და პრინციპში გუშინდელი კენჭისყრა ფორმალობა გახლდათ.

საბოლოოდ, რაგბის სასარგებლოდ ოლიმპიური კომიტეტის 81-მა წევრმა მისცა ხმა, წინააღმდეგი იყო - რვა. გოლფმა 63 ხმა მოიპოვა და წინააღმდეგ 27 წევრი წავიდა. სპორტის ორივე სახეობა 2016 წელს რიო-დე-ჟანეიროს თამაშების პროგრამაში იქნება წარმოდგენილი. მათ 2020 წელსაც ვიხილავთ ზაფხულის თამაშებზე. 2017 წელს კი სოკ გადახედავს ამ დუეტის ოლიმპიურ სტატუსს.

ფინალურ პრეზენტაციაზე ამ ორი სახეობის ვარსკვლავები იყვნენ წარმოდგენილნი: **ჯონა ლომუ** (რაგბი), **პედრეიგ ჰარინგტონი** და **მიშელ ვუ** (გოლფი).

სავარაუდოდ, შვიდკაცა რაგბიში ტურნირი ოთხ დღეს გაგრძელდება და მასში მამაკაცთა და ქალთა 12-12 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას.

რაგბი 1900-24 წლებში იყო წარმოდგენილი ოლიმპიურ თამაშებზე (ოთხი ოლიმპიადა კლასიკური რაგბის ფორმატით), ხოლო გოლფს ოლიმპიადაზე 1900 წელს თამაშობდნენ.

ოლიმპიური კომიტეტის ზოგიერთი წევრი უკმაყოფილო დარჩა არჩევნების პროცესით - კენჭისყრა მხოლოდ რაგბისა და გოლფს შეეხო.

*„ეს სხვა სახეობების მიმართ უპატივცემულობის გამოხატულება იყო. არჩევნების პროცესი გამჭვირვალე არ ყოფილა"*, - განაცხადა WADA-სა და სოკ-ის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა **რიჩარდ პაუნდმა**.

2016 წლის ოლიმპიადაზე სპორტის 28 სახეობა იქნება წარმოდგენილი. 2012 წლის თამაშების შემდეგ, პროგრამიდან ბეისბოლსა და სოფტბოლს ამოიღებენ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ლონდონში გოლფი და რაგბი არ იქნება წარმოდგენილი სპორტის სადემონსტრაციო სახეობებად, რადგან სოკ-მა გადაწყვიტა, უარი ეთქვა ასეთი პრაქტიკაზე.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**





